სიტუაცია კონტროლს ექვემდებარება A2

ამონარიდები ზვიად გამსახურდიას გამოსვლიდან A8

"ხალხის პირისპირ" - ანკეტა B6



www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური


© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 13 აგვისტო, 2004 წელი. №191 (740)

ფასი 50 თეთრი

# ნერვების გამოცდა

## გამოუცხადებელი ომი

### რომლისკენაც ასე ისწრაფვიან სეპარატისტები და მათი რუსი მფარველები და რომელიც ასე არ უნდა საქართველოს




იური ლობოდინის ფოტო

*ქართული მოსახლეობა ფეხის მოცვლას არ აპირებს. გუშინ ქალებმა ბავშვები კონფლიქტის ზონას გაარიდეს, ისევ უკან დაბრუნდნენ და ქმრების და შვილების გვერდით ჭიუტად ელოდებიან მოვლენების განვითარებას.*

## ცხინვალის მოვლენები და გამოხმაურება უცხოურ პრესაში

ნინო გომართელი

მიუხედავად საქართველოს ხელისუფლების პოზიციების სიმტკიცისა, რაც ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტისკენაა მიმართული, სამხრეთ ოსეთში, ბოლო რამდენიმე დღეა, ყოველ ღამე ორმხრივი სროლებია. ცხინვალში ღამით შეტაკება ერთი და იგივე სცენარით იწყება, ვიღაც ისვრის, შემდეგ კი იცხრილება ქართული სოფლები. მაგრამ მთავარი არის ის, რომ ყოველ დილით ღამეული ომი კვლავ მთავრდება, თანაც ისე, რომ გადაწყვეტით ვერავინ ამბობს, თუ ვისი წამოწყებულია იგი, ყოველ ინციდენტზე ორივე მხარეს საკუთარი ვერსია აქვს, ამასთანავე, რუსეთის პოზიცია თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პოზიციის იდენტურია.

გუშინ ვითარება ძალიან დაიძაბა და თითქმის კონტროლიდან გამოვიდა, იყო მსხვერპლიც.

ქართული მხარის განცხადებით კი, ყველაფერი ასე დაიწყო: გვიან ღამით, ოსური მხარე დიდი ლიახვის ხეობის დაბომბვას ახორციელებს, მთელი ღამის განმავლობაში ისინი მძიმე ტექნიკის მობილიზებას ახდენენ დიდი ლიახვის სოფლების მახლობლად მაღლობებზე და იწყებენ ქართული სოფლების - ქურთას, აჩაბეთის, თამარაშენის და ხეთას მასიურ დაბომბვას მსხვილკალიბრიანი იარაღებიდან, ტანკებიდან და ბმპ-2-დან. სეპარატისტების ზოგიერთი საცეცხლე წერტილი უშუალოდ რუსეთის სამშვიდობოების მახლობლად არის განლაგებული.

გაგრძელება A3 გვერდზე

## ჩაფიქრებული იყო ეთნიკური წმენდა

ლელა მჭედლიძე

გუშინ პრეზიდენტმა ადრე განსაზღვრული გეგმები არ შეცვალა და თურქეთის პრემიერ-მინისტრ ერდოგანთან ერთად ბათუმში გაემგზავრა. გამგზავრებამდე, მიხეილ სააკაშვილთან უშიშროების საბჭოს წევრები, პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრები თათბირობდნენ. შეხვედრაზე დასასწრებად მოსული მთავრობის წევრები არსებულ ვითარებაზე კომენტარს თავს არიდებდნენ. გამონაკლისი პარლამენტის თავმჯდომარე აღმოჩნდა. ნინო ბურჯანაძის შეფასებით, პანიკის საფუძველი არ არსებობს.

**"მაშინ, როცა იბომბება ქართული სოფლები, ჩნდება კითხვა, არის კი საჭირო რუსი სამშვიდობოების ამ ზონაში ყოფნა?"** – საკმაოდ არაორაზროვანი კომენტარი გააკეთა პარლამენტის თავმჯდომარემ რუსი ცისფერჩაფხუტიანების მისამართით. ბურჯანაძემ გუშინ დაადასტურა ასევე ცნობა იმის შესახებ, რომ თბილისი მოსკოველი სტუმრების მოლოდინშია.

რუსი მშვიდობისმყოფელების კონფლიქტის ზონაში დატოვება-არდატოვების საკითხს ჟვანია დიდად აქტუალურად არ მიიჩნევს. ჩვენს ხელისუფლებას სხვა მიზნები და გეგმები აქვს.

გაგრძელება A2 გვერდზე

## დღეს საქართველოს ხელისუფლება მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მიიღებს

ვერიკო თევზაძე

*დღეს საქართველოს ხელისუფლებამ სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის დარეგულირებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს.*

წუხელ კანცელარიაში თავდაცვის მინისტრს გიორგი ბარამიძეს პრეზიდენტ სააკაშვილთან მნიშვნელოვანი შეხვედრა ჰქონდა. ბარამიძის განცხადებით, ამ შეხვედრის შესახებ ინფორმაცია დღეს გახმაურდება, **"გაფორმდება შესაბამისი დოკუმენტები,"** - განუცხადა ჟურნალისტებს მინისტრმა. მისივე განმარტებით, **"საქმე შეეხება კონფლიქტის დარეგულირების მექანიზმებს, უფრო კონკრეტულად ამის შესახებ ხვალ შეიტყობთ"...**

საქართველოს უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, დასავლეთი და ამერიკის ადმინისტრაცია ყოველმხრივ მხარს უჭერს საქართველოს პოზიციას. **"ჩვენ ახლა ველოდებით რუსეთის რეაქციას,"** - აცხადებენ ისინი. ქართულმა მხარემ **"რუსეთის პირველ დადებით რეაქციად"** შეაფასა ამ ქვეყნის საგანგებო დავალებათა ელჩების ვიზიტი საქართველოში. აეროპორტში რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ **"ჩაერევიან კონფლიქტის პოლიტიკური მეთოდებით გადაწყვეტაში".** თუმცა, ისინი აცხადებენ, რომ რუსი სამშვიდობოები თავიანთ მოვალეობას ასრულებენ. რუსი ელჩები ვერც სამშვიდობოების ინტერნაციონალიზაციის საჭიროებას ხედავენ იმ პირობებში, როცა, მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ, კონფლიქტის ზონაში საკმარისად იმყოფებიან რუსების, ქართველების, ოსების და ეუთოს წარმომადგენლები.

ელჩები დღეს დაესწრებიან შერეული კომისიის სხდომას. **"სხდომაზე შევიმუშავებთ იმ მექანიზმებს, რომლის საფუძველზეც ორივე მხარემ უნდა გამოიყვანოს შეიარაღებული ფორმირებები და ამით შეასრულონ 16 ივლისის ინიციატივა",** – განაცხადეს მათ აეროპორტში.

თუმცა, როგორც საქართველოს უშიშროების მინისტრის მოადგილემ გიგი უგულავამ განაცხადა, ფორმატით გაუთვალისწინებელი შეიარაღებული ფორმირებები ქართულ მხარეს კონფლიქტის ზონაში არ გააჩნია.

გაგრძელება A2 გვერდზე

### პოლიტიკა

#### წარსული გამოცდილების უგულებელყოფით ვერ გავამთლიანებთ საქართველოს



უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი სიტყვა, როგორც აუგი, ასევე გაუმართლებლად "რბილი" იმთავითვე გამოყენებულ იქნება სეპარატისტთა და მათი მოსკოველი მფარველების მიერ.

A3

### ეკონომიკა

#### საქართველოს ენერგოსექტორი გრძელვადიან კრედიტებს მიიღებს



აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) "საქართველოს ენერგოუსაფრთხოების ინიციატივის" პროგრამის ფარგლებში, ცხრა სოფლისათვის ენერგეტიკის სექტორის განვითარების მიზნით, საქართველოს ბანკის დახმარებით გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტები გაიცემა.

A4

### უცხოეთი

#### ბინ ლადენის შემდეგი საეთერო გამოსვლა ტერაქტების სერიით დაგვირგვინდება



ალ ქაიდა ტაქტიკას ცვლის. ტერორისტები ხმაურიანი პოლიტიკური მკვლელობების სერიას გეგმავენ. დეტალები უკვე დამუშავებულია. მთავარი სამიზნეები ევროპელი და ამერიკელი ლიდერები არიან.

A5

### ამინდი

| | 13/8 | 14/8 |
|---|---|---|
| თბილისი | 28 | 33 |
| ქუთაისი | 26 | 36 |
| ბათუმი | 23 | 34 |
| სოხუმი | 23 | 32 |
| ფოთი | 24 | 34 |
| თელავი | 27 | 31 |
| ზუგდიდი | 25 | 35 |
| გორი | 23 | 30 |
| ახმეტა | 27 | 31 |
| ჭიათურა | 24 | 35 |
| გაგრა | 23 | 29 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8350 |
| ევრო | 2.2490 |
| გირვანქა სტერლ. | 3.3610 |
| რუბლი | 0.0627 |


A2 ამბები | A3 მთავარი თემა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 არქივიდან

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ანკეტა | B7 კვირის TV პროგრამა | B8 სხვადასხვა

## დღეს საქართველოს ხელისუფლება მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მიიღებს

პირველი გვერდიდან

ქართული მხარე აცხადებს, რომ მისთვის ამ ეტაპზე უმთავრესი მიზანი რუსეთთან წარმატებული დიალოგია. გუშინვე გიორგი ბარამიძე ესაუბრა რუსეთის შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსს: **"საუბარი ეხებოდა ცხინვალში სიმშვიდის შენარჩუნებას. ვისაუბრეთ კონკრეტულ მექანიზმებზე, რომელთა საშუალებითაც უნდა მივაღწიოთ სიმშვიდეს."**

საქართველოს ხელისუფლება გამორიცხავს ქართული სოფლებიდან მოსახლეობის ევაკუაციას. პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია გუშინ ქართულ სოფლებში სპეციალურად ჩავიდა იქაური მოსახლეობის დასამშვიდებლად. ოთხმხრივი, შერეული საკონტროლო კომისიის სხდომაზე მყოფი გოგა ხაინდრავა წუხელ აცხადებდა, რომ ცეცხლის შეწყვეტის გარდა, სხდომაზე განსახილველი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იქნება ჟვანიასა და კოკოითის სასწრაფო შეხვედრა. ჟვანიამ დიალოგისთვის მზადყოფნა რამდენჯერმე დააფიქსირა, ხოლო კოკოითის პოზიცია ამის თაობაზე კვლავ გაურკვეველი რჩება.

ბარამიძე ხაზგასმით აცხადებს, რომ საქართველოს შეიარაღებულ ძალებს შესწევთ უნარი, ნებისმიერი შეტევა მოიგერიონ. მიუხედავად ამისა, ჩვენი ხელისუფლების ნება ურყევია: იგი ცხინვალის რეგიონის თავისი იურისდიქციის ქვეშ დაბრუნებას მხოლოდ და მხოლოდ კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებით აპირებს. ბარამიძის თქმით, სამხრეთ ოსეთის დაბრუნება **"თვეების საქმეა".** მიხეილ სააკაშვილი შიდა ქართლის მოსახლეობას სიმშვიდისკენ მოუწოდებს. მთავარია, მოვითმინოთ და მტერი ვერ დაგვამარცხებს, – აცხადებს სააკაშვილი.

წუხელი ცხინვალში მიმდინარეობდა შერეული კომისიის სხდომა, რომელსაც ესწრებოდა გოგა ხაინდრავა. ზურაბ ჟვანია კი, ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად, ღამით კონფლიქტის ზონის ქართულ სოფლებში დარჩა.

## შეხვედრა პარლამენტის თავმჯდომარესთან

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე თურქეთის პრემიერ-მინისტრისგან იმ კომერციული სტრუქტურების გემებისთვის ლიცენზიის ჩამორთმევას მოითხოვს, რომლებიც საქართველოს ტერიტორიული წყლების აფხაზეთის აკვატორიას დაარღვევენ.

ნინო ბურჯანაძემ აღნიშნული განცხადება რეჯებ ერდოგანთან პარლამენტში გუშინ გამართულ პირისპირ შეხვედრაზე გააკეთა.

**"ჩვენ ერთობლივად უნდა ვეცადოთ, მინიმუმამდე იქნას დაყვანილი იმგვარი ფაქტები, რომელიც საქართველოს პრობლემებს შეუქმნის აფხაზეთთან დაკავშირებით. გვესმის, რომ კომერციულ სტრუქტურებს, ძნელია, სახელმწიფომ აქტიურობა აუკრძალოს, მაგრამ ან ლიცენზიის ჩამორთმევით, ანდა სხვა ფორმით, აღნიშნული გემებისათვის ცნობილი უნდა იყოს, რომ საქართველოს ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად სხვა ქვეყნის აკვატორია უკანონოდ არ უნდა დაარღვიონ,"** - აღნიშნა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარემ.

და აი, უკვე მერამდენედ, ქართული მხარე ფხაზეთის აკვატორიაში უკანონოდ მცურავ კატარღებს აკავებს. გუშინ, სანაპირო დაცვის ფოთის დივიზიონის საპატრულო კატარღებმა საქართველოს ტერიტორიული წყლების აფხაზეთის მონაკვეთში გაგიდის ნაოსნობისთვის დახურულ ზონაში თურქეთის მშრალტვირთმზიდი გემი "ერთუგი" დააკავეს. ქართული მხარე თურქეთის გემს ნაოსნობის წესების დარღვევაში ადანაშაულებს და 50 ათასი ლარის ოდენობით ჯარიმას აწესებს.

თურქეთის პრემიერ-მინისტრი და ნინო ბურჯანაძე გუშინ ცხინვალის რეგიონში განვითარებულ მოვლენებზეც საუბრობდნენ. რეჯეფ ერდოგანმა კონფლიქტის ზონაში არსებულ სიტუაციას სამწუხარო და დამაფიქრებელი უწოდა. მისი თქმით, ის პროცესები, რაც კონფლიქტის ზონაში მიმდინარეობს, და შეიარაღებული დაპირისპირება არ არის კონფლიქტის მოგვარების სწორი გზა მაშინ, როდესაც აღნიშნული საკითხი, შესაძლოა, დიალოგის გზით იქნას განხილული.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, შეიარაღებული დაპირისპირების გზით სასურველი შედეგის მიღწევა ძალიან ძნელია. ერდოგანი დაჰპირდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, რომ თურქეთი აუცილებლად დაუთმობს სათანადო ყურადღებას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას, მით უმეტეს, რომ შეიარაღებული დაპირისპირება კავკასიაში მეზობელი ქვეყნების უსაფრთხოებასაც შეუშლის ხელს.

ნინო ბურჯანაძე კი ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში განახლებულ საომარ მოქმედებებში ცხინვალის სეპარატისტულ ხელისუფლებას ადანაშაულებს და მსხვერპლის შესახებ გავრცელებულ განცხადებას ადასტურებს.

**"ჩემი ინფორმაციით, დაბომბვის დროს ერთი თუ ორი ადამიანი დაიღუპა, თუმცა ჩვენთვის თითოეული ადამიანის სიცოცხლე ძვირფასია და ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ კონფლიქტის შემდგომი ესკალაცია არ მოხდეს,"** - განაცხადა ბურჯანაძემ.

ამასთანავე, საქართველოს ხელისუფლება აპირებს მიმართოს საერთაშორისო საზოგადოებას, იგი საერთაშორისო საზოგადოებისგან და მეგობართა ჯგუფის ქვეყნებისგან განგაშის ატეხვას მოითხოვს.

ბურჯანაძის შეფასებით, გარკვეულ ძალებს სურთ, რომ საქართველო ფართომასშტაბიან პროვოკაციულ ომში ჩაითრიონ.

პარლამენტის თავმჯდომარემ და მეზობელი ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა საქართველოში თურქი მესხების ჩამოსახლებასთან დაკავშირებით ევროსაბჭოს წინაშე აღებული ვალდებულებაც გაიხსენეს.

**"ჩვენ იმედს ვიტოვებთ, რომ თურქი მესხების ჩამოსახლებასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტი აქტიურად იმუშავებს და მოამზადებს საკანონმდებლო ბაზას, რათა საქართველოს მიერ ევროსაბჭოს წინაშე აღებული ვალდებულებები საბოლოოდ შესრულდეს,"** – აღნიშნა შეხვედრაზე თურქეთის პრემიერ-მინისტრმა.

*24 საათი*

### ორი სიტყვით

**თბილისი.** ლენტეხის მაღალმთიანი რაიონის რამდენიმე სოფელი ძლიერი წვიმებისა და წყალდიდობების შედეგად გარე სამყაროს მოწყვეტილია. დატბორილია სასოფლო-სამეურნო ნაკვეთები, მწყობრიდან გამოსულია ელექტროგადამცემი ხაზები, რის გამოც დასახლებულ პუნქტებთან დაკავშირება ვერ ხერხდება. დანგრეულია საავტომობილო და საცალფეხო ხიდები. მოსახლეობის განცხადებით, მსგავსი ძლიერი წვიმები რაიონს ბოლო 60 წლის განმავლობაში არ ახსოვს. დგინდება ზარალი. ადამიანთა შორის მსხვერპლი არ არის. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი**.საქართველოს პარლამენტის 2004 წლის 2 ნოემბრის არჩევნებში გამარჯვებული იმ მაჟორიტარი დეპუტატების შემცვლელთა ვინაობა, რომლებიც აღმასრულებელ ხელისუფლებაში სხვადასხვა თანამდებობებზე დაინიშნენ, 24 ოქტომბერს გაირკვევა.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ თბილისის კრწანისის, დიდუბის, გორისა და ზესტაფონის საარჩევნო ოლქებში განმეორებითი არჩევნები სწორედ ამ დღეს დანიშნა.

ამ საარჩევნო ოლქებში დეპუტატობის კანდიდატებმა განაცხადი 12 სექტემბრამდე უნდა წარადგინონ. არჩევნების ჩასატარებლად კი ცესკო სახელმწიფო ბიუჯეტიდან 447.858 ლარს ითხოვს. **მედია-ნიუსი**

# ჩაფიქრებული იყო ეთნიკური წმენდა

პირველი გვერდიდან

**"ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რათა მშვიდობიანი მოსახლეობა დაცული იყოს და მათი ადგილებიდან აყრა, ეთნიკური წმენდა ვერავინ შეძლოს. ვერავინ შეძლოს ჰუმანიტარული კატასტროფის შექმნა კონფლიქტის ზონაში; არ უნდა დავუშვათ ბანდიტების მიერ კონტრაბანდის განახლება, რაც საქართველოს ეკონომიკას ძირს გამოუთხრის. მესამე ამოცანა კი გარე ძალების მიერ დასახული გეგმის ჩაშლაა, რაც შეიარაღებულ კონფლიქტში საქართველოს ჩათრევას გულისხმობს,"** - ხელისუფლების ეს სამოქმედო პროგრამა მიხეილ სააკაშვილმა უშიშროების საბჭოს სხდომის დასაწყისშივე განმარტა.



ზურაბ ჟვანია და მიხეილ ქარელი კონფლიქტის ზონაში.



დაჭრილი ჯარისკაცები.

პრეზიდენტთან გამართული თათბირის შემდეგ ხელისუფლების პოზიცია უფრო ვრცლად პრემიერ-მინისტრმა გააჟღერა.

ჩვენი ხელისუფლება საერთაშორისო თანამეგობრობას დახმარებას სთხოვს. **"საქართველოს ხელისუფლების უპირველესი მიზანი თავისი თითოეული მოქალაქის უსაფრთხოების უზრუნველყოფაა. აუცილებელია გაიმართოს მოლაპარაკება უმაღლეს დონეზე. სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა გაემგზავრება ცხინვალში და შერეული საკონტროლო კომისიის სხდომაში მონაწილეობას მიიღებს, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. ჩვენ იგივეს ვითხოვთ, რასაც ადრე ვითხოვდით. რაზეც ბოლო ორი კვირის განმავლობაში არანაირი პასუხი არ ყოფილა - ცხინვალის რეგიონის სრულ დემილიტარიზაციას, რაც სამშვიდობო ძალების გარდა, ყველა შეიარაღებული შენაერთის გამოყვანას ნიშნავს და რაც, რეალურად, მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის ერთადერთი გზაა. გვინდა, საერთაშორისო თანამეგობრობას კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო კონტინგენტის გაზრდა ვთხოვოთ. ვთხოვთ ჩვენს მეგობრებს, პარტნიორებს მთელ მსოფლიოში, გამოიყენონ თავიანთი გავლენა, ყველა შესაძლო ბერკეტი, უზრუნველყონ მაღალი დონის შეხვედრის გამართვა უახლოესი საათების განმავლობაში".** უმაღლესი დონის მოლაპარაკებებში ერთ-ერთ მონაწილე მხარედ, ბუნებრივია, რუსეთის წარმომადგენელი უნდა იყოს. კონკრეტული ფიგურა პრემიერ-მინისტრს გუშინ არ დაუსახელებია. მისი შეფასებით, ეს ის პიროვნება უნდა იყოს, ვისაც რეალურად რაიმე გადაწყვეტილების მიღება შეეძლება, გარკვეული უფლებებით იქნება აღჭურვილი. ქართულ მხარეს თავად პრემიერ-მინისტრი წარმოადგენს.

მაინც რა მოხდა გუშინწინ კონფლიქტის ზონაში? **"მთავარი არსი ოპერაციისა, რომლის ჩატარებასაც 11 აგვისტოს სეპარატისტები და მათი მხარდამჭერი რუსული ძალები ცდილობდნენ, შემდეგშია: უნდა გადაკეტილიყო ე.წ. შემოვლითი გზა ლიახვის ხეობისაკენ, რაც, ფაქტობრივად, ხეობის ქართული სოფლების ბლოკირებას, ეთნიკური წმენდის დაწყებას ნიშნავდა. იქ განლაგებულმა ჩვენმა შეიარაღებულმა ძალებმა საოცარი სიმამაცე გამოიჩინეს. საქართველოს ხელისუფლების სახელით ქედს ვიხრი სამი დაღუპული მებრძოლის ხსოვნის წინაშე, რომლებმაც უკან არ დაიხიეს არაადამიანური სროლის მიუხედავად და ბოლომდე დაიცვეს პოსტები,"** - განაცხადა ზურაბ ჟვანიამ. უშიშროების მინისტრის მოადგილის კახა უგულავას განმარტებით, დაღუპული სამი სამხედრო მოსამსახურიდან ორი სოფელ ქურთაში დაიღუპა. იმ ტერიტორიაზე, რომელიც, თავად ოსების შეფასებით, კონფლიქტში არ ჩარეულა და ამ ტერიტორიიდან საკმაოდ მოშორებით მდებარეობს.

გუშინწინ ღამის განმავლობაში ჟვანია რამდენიმეჯერ ესაუბრა რუსეთის ელჩს საქართველოში. სეპარატისტებთან პირდაპირი კონტაქტის ორგანიზების და ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტის მოთხოვნას შედეგი არ მოჰყოლია. პრემიერ-მინისტრი მიიჩნევს, რომ **"დღეს მთელი მსოფლიოსათვის გასაგებია, რომ ეს არის სეპარატისტებისა და რუსეთში მათი მხარდამჭერი ძალების პოლიტიკა, ყოველღამე მოაწყონ მორიგი პროვოკაციები, რომლის მიზანი ქართული სოფლების მოსახლეობისაგან გაწმენდაა. ბინძური სისხლიანი სცენარის მიზანი ჩვენი მოთმინებიდან გამოყვანა, შეიარაღებულ კონფლიქტში ჩათრევაა. ჩვენ 1993 წლის აფხაზეთის სისხლიანი გამოცდილება გვაქვს და ამ შეცდომას არასოდეს გავიმეორებთ."**

ჟვანიას განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტი გუშინ უნდა დაკავშირებოდა როგორც აშშ-ს, ისე სხვა ქვეყნების ლიდერებს ამ საკითხებთან დაკავშირებით. რადგან დღეს ჩვენ გვჭირდება დახმარება, იმისათვის, რომ მხარეები მოლაპარაკებების მაგიდასთან დასხდნენ. საქართველოს ხელისუფლება თავის ძირითად მიზნად საქართველოს ნებისმიერი მოქალაქის, პირველ რიგში კი, კონფლიქტის ზონაში მაცხოვრებლების უსაფრთხოების დაცვას მიიჩნევს. გუშინ ეს ზომები არავის დაუკონკრეტებია. ჟვანია საზოგადოებას დაჰპირდა, რომ ხელისუფლება "ნებისმიერ გადაწყვეტილებას მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის გათვალისწინებით მიიღებს". კახა უგულავას განმარტებით, საქართველოს ხელისუფლებას საკმარისი ძალები აქვს თავის დასაცავად, თავდასხმას კი არავისზე ვაპირებთ. ბოევიკების რაოდენობა "სამხრეთ ოსეთში" მცირეა, ვინაიდან კონფლიქტი დროში გაიწელა, მათი დიდი ხნით იქ ყოფნა მოსახლეობისათვის არ არის სასურველი, რადგან იყო დაყაჩაღების, გაუპატიურების მცდელობები და მათი რაოდენობა მინიმუმამდეა დაყვანილი. კონფლიქტის ზონაში ქართველების მიერ დამატებითი ძალების შეყვანა არ იგეგმება, მით უფრო, რომ საქართველოს ხელისუფლება რეგიონში სრული დემილიტარიზაციის მომხრეა.

# სიტუაცია კონტროლს ექვემდებარება

### ცხინვალის კონფლიქტის პოლიტიკური შეფასებები

ნინო გომართელი

საქართველოს პოლიტიკური სპექტრი უდიდეს შეშფოთებას გამოთქვამს ცხინვალის რეგიონში ბოლო დღეებში არსებული უკიდურესად დამძიმებული ვითარების გამო და ხაზგასმით საუბრობს კონფლიქტში რუსეთის როლზე.

პარლამენტის წევრები და პოლიტიკოსები ერთიანნი არიან იმ საკითხში, რომ კონფლიქტის ზონიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანას ალტერნატივა არ აქვს.

საქართველოს მთავრობის პოზიცია უცვლელია, კონფლიქტი მშვიდობიანი გზით უნდა დარეგულირდეს, თუმცა ცეცხლის გახსნისათვის ოსური მხარე პასუხს აგებს.

**"ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ ძალიან სერიოზული შეტევა განახორციელა, ჩვენი პირობისამებრ მათ უმკაცრეს პასუხს გავცემთ, არ შევიკავებთ თავს რადიკალური ნაბიჯებისგან და მათი ზარალი გაცილებით დიდი იქნება,"** – განაცხადა "24 საათთან" ინტერვიუში პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ გივი თარგამაძემ.



დაბომბვის შემდეგ მოსახლეობა სოფლის ცენტრში შეიკრიბა.

იგი დარწმუნებულია, რომ სიტუაცია კონტროლირებადია და საქართველოს ხელისუფლება შეძლებს მშვიდობის შენარჩუნებას და მისი მოსახლეობის დაცვას. მოქმედებისას კი პრიორიტეტები იქნება ზონის დემილიტარიზაცია, რეალური მოლაპარაკება მაღალ დონეზე რუსეთის მონაწილეობით, ეუთოს დამკვირვებელთა რაოდენობის მაქსიმალური გაზრდა და სამშვიდობო ძალების ინტერნაციონალიზაციის მიღწევა.

რაც შეეხება საპარლამენტო უმრავლესობას მოწყვეტილ ზვიად ძიძიგურს, იგი კვლავინდებურად მიიჩნევს, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალები კონფლიქტის ზონაში ვითარების დაძაბვის პროვოცირებას ახდენენ და ამიტომაც უმთავრესი საკითხი არის ანულირება დაგომისში, 1992 წელს, საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტებს შორის მიღწეული შეთანხმებისა, რომლის საფუძველზეც ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში შევიდნენ რუსი სამშვიდობოები.

**"რუსეთი არის კონფლიქტის მონაწილე მხარე, რუსეთის დუმის და პოლიტიკური ფიგურების ქმედებები ამას ცხადყოფს. სამშვიდობოების გაყვანას ალტერნატივა არ აქვს, სხვა მხრივ, ყოველი გადადებული დღე ახალგაზრდების დაღვრილი სისხლი იქნება,"** – აღნიშნავს იგი.

ამასთანავე, "ეროვნულ ძალთა გაერთიანების" ლიდერი ზვიად ძიძიგური უკმაყოფილოა იმით, თუ როგორ შუქდება მოვლენები, იგი მიიჩნევს, რომ ცხინვალში მიმდინარეობს რეალური პოზიციური ომი ყველანაირი ტექნიკის გამოყენებით.

შეშფოთებულია საპარლამენტო ოპოზიცია.

**"საშინელებაა ის, რაც დღეს ცხინვალში ხდება. ეს სხვა არაფერია, თუ არა რუსეთის და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების ერთობლივი პროვოკაცია. ახლა მთავარია, ჩვენ არ წამოვეგოთ მასზე,"** – აცხადებს ჩვენთან საუბარში საპარლამენტო ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიცია – მრეწველები, ახლების" ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ ტყემალაძე.

ოპოზიციას მიაჩნია, რომ მთავრობამ უპირველესად უნდა დაიცვას საკუთარი მოსახლეობა და ქმედითი ზომები გაატაროს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად.

ამასთან, "სახალხო ფრონტის" თავმჯდომარე ნოდარ ნათაძე სამხრეთ ოსეთის კონფლიქტთან დაკავშირებით ხელისუფლების მიერ დეკლარირებულ პროგრამას აბსურდულს უწოდებს. მისთვის მიუღებელია პოზიცია, რომ კონფლიქტის ზონაში მხოლოდ შერეული სამშვიდობო ძალების კონტინგენტი უნდა დარჩეს და მიაჩნია, რომ ქართულ მოსახლეობას იარაღი უნდა დაურიგდეს.

**"მაშინ, როდესაც სახეზეა ცხინვალის რეგიონში საომარი მოქმედებების დაწყების ნიშნები, ხელისუფლებამ ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა უნდა გამოაცხადოს. ყოველგვარ დემილიტარიზაციაზე საუბარი შექმნილ ვითარებაში შეცდომა და აბსურდია,"** - აცხადებს იგი.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# წარსული გამოცდილების უგულებელყოფით ვერ გავამთლიანებთ საქართველოს

ლევან ალექსიძე

დიდი ყურადღებით ვადევნებდი და ვადევნებ თვალს ე.წ. სამხრეთ ოსეთში მიმდინარე მოვლენებს. კმაყოფილებით აღვნიშნავ ხელისუფლების მიზანდასახულ, თანმიმდევრულ და, ამავდროულად, მტკიცე პოლიტიკას, რომელიც კონფლიქტის მოგვარების გზად ჰუმანიტარული ასპექტის ამუშავებას, ოსი და ქართველი ხალხის სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, მათ შორის ურთიერთნდობის დანერგვასა და განმტკიცებას მიიჩნევს. სწორედ ამან გამოიწვია სეპარატისტული რეჟიმისა და მისი მოსკოველი მფარველების აგონია, რასაც შეიარაღებული კონფლიქტის განახლების საშიშროება მოჰყვა.

განახლდა პროპაგანდა რუსეთის მასმედიაშიც და, რაც უფრო საყურადღებოა, სახელმწიფო დუმაში, რომელიც ისევ და ისევ ულტრაიმპერიალისტურ პოზიციებს იცავს და აქტიურად ეყრდნობა ულტრარეაქციონერების მოსაზრებებს. ასეთ ულტრარეაქციონერთა შორის არიან ისეთი პიროვნებები, როგორიცაა ზატულინი, ალქსნისი და სხვები. ისინი აფხაზეთსა და ოსეთში კონფლიქტის გაღვივების მიზნით არა მხოლოდ გეგმავდნენ და ამზადებდნენ, არამედ აქტიურად უზრუნველყოფდნენ მოვლენების დეზინფორმაციასა და სეპარატისტული ძალების მხარდაჭერას.

აქვე, არ შემიძლია არ გამოვხატო შეშფოთება იმ არგუმენტების შინაარსის თაობაზე, რომლითაც ქართული და სეპარატისტული მხარეები აწარმოებენ ბრძოლას. აღსანიშნავია, რომ, ქართული მხარისაგან განსხვავებით, სეპარატისტთა პოზიცია საკმაოდ ნათელია: შეიქმნა ოსეთში მცხოვრები ხალხის "ნების გამომხატველი" დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომლის მიზანია შეუერთდეს... ჩრდილოეთ ოსეთს.

თუმცა, აქ ერთი საკითხია გასარკვევი: ნუთუ სეპარატისტები ქმნიან დამოუკიდებელ სახელმწიფოს, რათა უმალვე დაკარგონ იგი: ჩრდილოეთ ოსეთი ხომ რუსეთის ფედერაციის განუყოფელი სუბიექტია, რომელსაც წართმეული აქვს ფედერაციიდან გამოსვლის უფლება?! პარადოქსია, მაგრამ ფაქტია!

რა შედეგი მოჰყვა ჩეჩნების მცდელობას, გასულიყვნენ რუსეთის ფედერაციიდან კი კარგად არის ცნობილი.

ამასთანავე საყურადღებოა ის გარემოება, რომ მიმდინარეობს მასიური იდეოლოგიური შეტევა, რომლის მიზანია, "დაამტკიცოს" ოსების ისტორიული უფლება შიდა ქართლის მიწა-წყალზე. კოკოითი სულ რამდენიმე დღის წინ, მოსკოვში, ტელეკამერების წინაშე აცხადებდა ამას, რაზედაც გ. ხაინდრავას იქვე მოუხდა საპირისპიროს მტკიცება. ჩვენი მხრიდან კი ჯერჯერობით ზოგადი ფრაზების გარდა არაფერი ისმის. გასაგებია, რომ გვინდა მშვიდობიანად მოვაგვაროთ კონფლიქტი თვითმარქვია რეჟიმთან, რომელიც საქართველოს ძირძველ ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა, **მაგრამ რა საწყისი წერტილიდან ვიწყებთ ათვლას?!**

საქართველოს ხელისუფლების და ზოგიერთ პოლიტოლოგთა მხრიდან ინტენსიურად ისმის საყვედური 1990 წელს პირველად დემოკრატიულად არჩეული პარლამენტის ხელმძღვანელის, ზვიად გამსახურდიას მიმართ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების გამო, რაც, თითქოსდა, საფუძვლად დაედო შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებას.

**მე კატეგორიულად არ ვეთანხმები ასეთ პოზიციას. ის, რაც გაკეთდა 1990 წლის 11 დეკემბერს, იყო ერთადერთი სწორი გზა კანონთა იმ ომის დასასრულებლად, რომელშიც სეპარატისტები და მოსკოვი ერთ მხარეს გამოდიოდნენ. მოვლენები იმავე სცენარით ვითარდებოდა, როგორც შემდგომ აფხაზეთში. მოსკოვმა, გრძნობდა რა საქართველოს ეროვნული მოძრაობის გაძლიერებას და დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლის გააქტიურების გარდუვალობას, იმთავითვე ჩართო წამზომი იმ აფხაზური და ოსური ნაღმების ასაფეთქებლად, რომლებიც, ჯერ კიდევ საქართველოში ინტერვენციის დროს ჩაიდო (1921წ.). საჭირო იყო ყველა ასპექტის გამომზეურება, რათა ისტორიულად და სამართლებრივად დაგვემტკიცებინა სეპარატისტთა უსაფუძვლო პრეტენზიები დამოუკიდებლობაზე.**

სეპარატისტთა პრეტენზიები, შეექმნათ სუვერენული, დამოუკიდებელი სახელმწიფო, გამოიხატა ავტონომიური ოლქის ხელისუფლების დეკლარაციებსა და კანონებში. მოსკოვი სდუმდა, თუმცა 1989-1990 წლებში საქართველო ჯერ კიდევ სსრ კავშირის მოკავშირე რესპუბლიკად ითვლებოდა. უფრო მეტიც, მოსკოვში ღებულობდნენ კანონებს, რომლებიც აშკარად არღვევდა რესპუბლიკების, და მათ შორის საქართველოს, ტერიტორიულ მთლიანობას (1990 3 აპრილის კანონი). ეს კანონები ღიად აქეზებდა ავტონომიებს, დაეტოვებინათ მოკავშირე რესპუბლიკები, თუ ეს უკანასკნელნი გაბედავდნენ, გამოეყენებინათ სსრ კავშირიდან გასვლის უფლება, რომელიც თავად სსრ კავშირისა და მათი კონსტიტუციებით იყო გათვალისწინებული.



*უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი სიტყვა, როგორც აუგი, ასევე გაუმართლებლად "რბილი" იმთავითვე გამოყენებულ იქნება სეპარატისტთა და მათი მოსკოველი მფარველების მიერ.*

გახდა აუცილებელი, დაუყოვნებლივ გაძლიერებულიყო კონტრპროპაგანდა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ისტორიულ-სამართლებრივი არგუმენტებით დაცვა. ამ მიზნით, ჯერ კიდევ 1989 წლის საქართველოში შეიქმნა სამთავრობო კომისია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქართველმა და საქართველოს და სხვა რაიონებში მცხოვრებმა ოსი ეროვნების მეცნიერებმა, საზოგადო მოღვაწეებმა, კინოსა და თეატრის გამოჩენილმა მუშაკებმა.

სამწუხაროდ, ცხინვალის წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს აღნიშნულ კომისიაში მონაწილეობაზე, რომლის მიზანი იყო, განესაზღვრა სამხრეთ ოსეთის სამომავლო სტატუსი.

სწორედ ამ მასალებზე დაყრდნობით და 1990 წლის დეკემბრისათვის ჩამოყალიბებული სიტუაციიის გათვალისწინებით მომზადდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ზვიად გამსახურდიას მოხსენება, რომელიც ერთსულოვნად მიიღო უზენაესი საბჭოს ყველა წევრმა - როგორც "მრგვალმა მაგიდამ", აგრეთვე "სახალხო ფრონტმა" და კომუნისტების საკმაოდ მრავალრიცხოვანმა ფრაქციამ.

ვფიქრობ რა, რომ მკითხველისათვის საინტერესო იქნება ზ. გამსახურდიას მოხსენებიდან ამონარიდების გაცნობა, გადავწყვიტე "24 საათისთვის" (***იხ. A8 გვერდი. – რედ.***) გადამეცა ეს მასალა ("საქართველოს რესპუბლიკა", 1990 წლის 12 დეკემბერი.). ვიმედოვნებ, რომ "24 საათი" გამოაქვეყნებს მას, რაც მკითხველს საშუალებას მისცემს, სწორად შეაფასოს იმხანად განვითარებული მოვლენები.

ზემოხსენებულ მოხსენებაში კარგად არის ნაჩვენები, თუ რატომ ცდილობდა საქართველოს ხელისუფლება, "დაეშოშმინებინა" აზვირთებული სეპარატისტები, რამდენჯერ გააფრთხილა, არ შეექმნათ ე.წ. რესპუბლიკა, არ ჩაეტარებინათ არჩევნები, რომელიც, პირველ რიგში, თავად სსრ კავშირის კონსტიტუციას ეწინააღმდეგებოდა. მოხსენებაში ასევე აღნიშნულია, თუ რა ფართო უფლებები გააჩნდა ყოფილ ავტონომიურ ოლქს, რამდენად მდგრადი იყო ოსი მოსახლეობის კულტურული, ეკონომიკური, და სხვა უფლებები, რომელთაც არაფერი ემუქრებოდა.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ სწორედ "დამოუკიდებელი რესპუბლიკის" და მისი პირვანდელი ბაზის - ავტონომიური ოლქის გაუქმება, რასაც ოლქის ტერიტორიის სამართლებრივად გადახალისება მოყვა, აძლევს დღეს ჩვენს მხარეს ქართულ და ქართულ-ოსურ სოფლებში შესვლის საშუალებას. თუმცა, სეპარატისტები დღესაც აცხადებენ "სუვერენიტეტს" ამ მიწებთან მიმართებაში.

დასანანია, რომ სეპარატისტებმა შეძლეს ქართველთა სამხედრო კონფლიქტში ჩათრევა, ისევე, როგორც ეს შემდგომ მოხდა აფხაზეთში - თავს დაესხნენ უდანაშაულო მილიციელებს და მანქანაში ჩაცხრილეს. დაიწყო სასტიკი, ულმობელი ომი, რომელიც გამოირჩეოდა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევებით, რასაც, ორივე, ვიმეორებ, ორივე მხრიდან ჰქონდა ადგილი.

აქვე მინდა ხაზი გავუსვა, რომ, როგორიც არ უნდა ყოფილიყო სეპარატისტთა ბოევიკების სასტიკი ქმედებები, ქართველთა რამდენიმე შეიარაღებული ჯგუფის სისასტიკე სამარცხვინო ლაქად დარჩება საქართველოს ბრძოლაში ტერიტორიული მთლიანობის აღდეგენისათვის. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ ქართულმა მხარემ შესთავაზა სეპარატისტებს ომის დანაშაულების ფაქტების ერთობლივი გამოძიება, რაზედაც უარი მიიღო.

კიდევ ერთი გარემოება: მოსკოვსა და ცხინვალში, საქართველოშიც, იხსენიებენ ლოზუნგს - "საქართველო ქართველებისათვის" და თვლიან, რომ სწორედ მას მიუძღვის თითქმის გადამწყვეტი ბრალი კონფლიქტის გაჩაღებაში. არადა, ზემოხსენებული ლოზუნგი იმ მოქმედებების პასუხად დაიბადა, რომლებსაც აფხაზი და ოსი სეპარატისტები ახორციელებდნენ. ჯერ კიდევ 1980-იან წლებამდე ისინი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მიმართული იდეოლოგიური სამზადისით იყვნენ დაკავებულნი (ე.ი. გაცილებით ადრე, ვიდრე დაისმებოდა საკითხი სსრ კავშირიდან საქართველოს გასვლის შესახებ). ზ. გამსახურდიას, მთელი უზენაესი საბჭოს ულტრანაციონალიზმში დადანაშაულება მაშინდელი მოვლენების კონტექსტიდან ერთ-ერთი ეპიზოდის ამოგლეჯის ტოლფასია. ნუ დაგვავიწყდება, რომ იგივე ხელისუფლება, ე.წ. ნაციონალისტები, აფხაზეთში სეპარატისტული მოძრაობის მშვიდობიანად მოსაწესრიგებლად უპრეცედენტო კომპრომისზე წავიდა და აფხაზეთის ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში აფხაზებს უფრო მეტი ადგილი მიაკუთვნა, ვიდრე ქართველებს. თუმცა, ქართული მოსახლეობაც, რომელიც თითქმის სამჯერ აღემატებოდა მათ, საკუთარი უფლებების დაცვის მტკიცე გარანტიებით უზრუნველყო.

იგივე ხდებოდა ე.წ. სამხრეთ ოსეთში, თუმცა იქ მცხოვრები 60 000 ოსი მხოლოდ მცირედი ნაწილი იყო საქართველოს სხვა რაიონებში მცხოვრები ოსი ეროვნების მოსახლეობისა (100 000), რომლებიც ინტეგრირებულნი იყვნენ ქართულ საზოგადოებაში და არავითარ შევიწროებას არ განიცდიდნენ.

არც ის არის დასამალი, რომ იმ დროს, ისევე როგორც დღეს, საქართველოში არსებობდნენ და არსებობენ ულტრანაციონალისტები, რომლებიც მოხერხებულად იყენებენ ეთნიკურ და რელიგიურ კუთვნილებას არსებული სიტუაციის გასამწვავებლად.

1990-1991 წლებში, იმ საბაბით, რომ რამდენიმე ოსურ ოჯახში აღმოჩენილ იქნა იარაღი, ხოლო წევრები ეჭვმიტანილნი იყვნენ სეპარატისტებისათვის დახმარების გაწევაში, აღნიშნულმა ძალებმა შეძლეს ფართომასშტაბიანი მოძრაობის ორგანიზება საქართველოში მცხოვრები ოსების წინააღმდეგ, რასაც მათი ემიგრაცია მოჰყვა. ეს იყო საქართველოსათვის თავს მოხვეული კონფლიქტის კიდევ ერთი სამარცხვინო მოვლენა.

დეპუტატი ნოდარ ნათაძე და მე ვეცადეთ, ეს პრობლემა უზენაესი საბჭოს წინაშე დაგვესვა; სამწუხაროდ, ამას რეალური შედეგი არ მოჰყოლია. აღნიშნულმა, ბუნებრივია, უარყოფითად იმოქმედა პირველი ეროვნული ხელისუფლების იმიჯზე, რომელიც ისედაც შელახული იყო მოსკოვის მიერ წარმოებული საინფორმაციო ომის შედეგად.

სამწუხაროდ, რაც შეეხება დემოკრატიას, სიტყვის თავისუფლებას და ოპოზიციისადმი დამოკიდებულებას, "მრგვალი მაგიდის" ხელმძღვანელობა არ იდგა სათანადო დონეზე, რისთვისაც სერიოზულ კრიტიკას იმსახურებდა.

დარწმუნებული ვარ, რომ ბატონი პრეზიდენტი, საქართველოს ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები, გაეცნობიან რა მოხსენებაში აღნიშნულ 1990 წლის ფაქტებს, შენიშნავენ ბევრ მსგავსებას დღევანდელობასთან – იგივე ქედმაღლობას, ცინიზმს, დაუსჯელობის სინდრომს, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ აშკარად აგრესიულ დამოკიდებულებას, უარის თქმას "დამოუკიდებელი სამხრეთ ოსეთის სტატუსის" განხილვაზე.

საქმე გვაქვს შეიარაღებულ პროვოკაციასთან, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება ჯერჯერობით ზომიერად, თავდაჭერილად პასუხობს, თუმცა ზოგჯერ იძულებულია, ძალით დაუპირისპირდეს სეპარატისტულ რეჟიმს.

თუმცა, რაც უფრო ინტენსიური იქნება "მშვიდობიანი იერიში", მით უფრო ცინიკური გახდება რუსეთის პოლიტიკოსებისა და მასობრივი ინფორმაციის უმეტესი საშუალებების გამოხტომები; იმატებს ადგილზე ორგანიზებულ პროვოკაციათა რიცხვი.

ჩვენ ეს უკვე გავიარეთ, მაშინ, როდესაც დამოუკიდებლობის აღდგენის კარიბჭესთან მდგომი პირველი დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლება იწყებდა ქვეყანაში მოსკოვის მიერ ინსპირირებული სეპარატისტული მოძრაობების ალაგმვას.

ვიმედოვნებ, რომ მარტოოდენ რეალურ ფაქტებზე და მათ სამართლებრივ შეფასებაზე აგებული წინამდებარე დოკუმენტი შესაძლებლობას მისცემს დღევანდელ ხელისუფლებას, უფრო ღრმად შეისწავლოს ისტორიული მოვლენები, კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები და მათი გავლენა აწმყოზე, შეაძლებინებს სამართლებრივად გაამყაროს საკუთარი პოზიცია მთელი მსოფლოს თვალში, რაც, თავის მხრივ, დააჩქარებს რეგიონში კონფლიქტის სამართლიან მოგვარებას.

და კიდევ ერთი: **ეს კონფლიქტი არა "ქართულ- ოსური კონფლიქტია", არამედ "კონფლიქტი ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე", საქართველო.** ისევე როგორც გაეროს, ეუთო-ს და სხვა ორგანიზაციების ოფიციალურ დოკუმენტებში ფიგურირებს ტერმინი "კონფლიქტი აფხაზეთში, საქართველო", თუმცა, სამწუხაროდ, მასმედია გულმოდგინედ იყენებს ტერმინს: " ქართულ-აფხაზური კონფლიქტი".

თვითმარქვია საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის და მისი ბაზის - სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმება არაფრით უშლის ხელს კონსტრუქციულ მოლაპარაკებებს, ახალი სტატუსის შემუშავებას, მხოლოდ არსებული რეალობის გათვალისწინებით. საქართველოს ხელისუფლებამ იურიდიულად დაასაბუთა ამ აქტების უსაფუძვლობა, რის შედეგადაც, კონფლიქტის მხარეებია: საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება და თვითმარქვია სეპარატისტული რეჟიმი, რომელიც არ სცნო არც ერთმა ქვეყანამ, არც ერთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ. სწორედ ამიტომ, ყოფილი ოლქის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ბედის გადაწყვეტა, რომელიც ამჟამად სეპარატისტული რეჟიმის მიერ კონტროლდება, შეიძლება მხოლოდ საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, რომელიც კრძალავს ეროვნული უმცირესობების დისკრიმინაციას და, ამავდროულად, კატეგორიულად კრძალავს ეროვნულ უმცირესობათა მხრიდან ისეთ ქმედებებს, რომლებიც პირდაპირ არღვევს გაერო-ს პრინციპებსა და მიზნებს, მათ შორის, სახელმწიფოთა სუვერენულ თანასწორობას, იმ ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობასა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, სადაც ისინი ცხოვრობენ ("გაეროს 1992 წლის 28 დეკემბრის დეკლარაცია ეროვნულ, ეთნიკურ, რელიგიურ და ენობრივ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირთა შესახებ" [მ.8] )".

თუ გავითვალისწინებთ, რომ არსებული საერთაშორისო სამართლებრივი პარამეტრების მიხედვით ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე კომპაქტურად მცხოვრები ოსები ეროვნული უმცირესობის კლასიკური მაგალითია, ნათელი ხდება, რომ ამ რეგიონისთვის, აფხაზებისაგან განსხვავებით, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ერთეულის სტატუსის მინიჭება დაუშვებელია, რაც არ გამორიცხავს ფართო კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური (თუნდაც განსაკუთრებული ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე) უფლებების განმტკიცებას.

დღეს ბევრი რამ თავიდან შესასწავლია, სახელდობრ, მსოფლიო საზოგადოებრიობის საინფორმაციო ვაკუუმში მოქცევის მიზნით 1989-1990 წლებში და შემდგომ, მოსკოვის მიერ წარმოებული აქტიური საინფორმაციო ომი საქართველოს წინააღმდეგ, განსაკუთრებით კი ქვეყანაში მიმდინარე ფაქტების ბლოკირება და დამახინჯება, მოგვიანებით არც ქართველები იწუხებდნენ თავს იმ პერიოდის მოვლენების რეალური შეფასებით. ეს ტენდენცია გრძელდება დღესაც. არ წყდება მოსკოვის მხრიდან ინფორმაციული ტერორიზმიც დღევანდელობასთან დაკავშირებით, თუმცა შეინიშნება გარკვეული პროგრესიც.

დაბოლოს, უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი სიტყვა, როგორც აუგი, ასევე გაუმართლებლად "რბილი" იმთავითვე გამოყენებულ იქნება სეპარატისტთა და მათი მოსკოველი მფარველების მიერ.

ერთი რამ უდავოა - არ უნდა აღვრიოთ ერთმანეთში სეპარატისტთა ხროვა და ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე, ასევე დანარჩენ საქართველოში მცხოვრები ოსი მოსახლეობა. ქართველ და ოს ხალხთა შორის არსებული მრავალსაუკუნოვანი მეგობრული და ნათესაური კავშირები საქართველოს გამთლიანების საიმედო გარანტიაა.

*02. 08. 2004*

*იხილეთ A8 გვერდი*

## ცხინვალის მოვლენები და გამოხმაურება უცხოურ პრესაში



"მშვიდობისმყოფელები".

პირველი გვერდიდან

სოფელ თამარაშენში და აჩაბეთში სახლების უმრავლესობა სერიოზულად არის დაზიანებული. მომხდარის მიზეზი გამოძიების მსხვერპლი არ არის, თუმცა მსხვერპლია შინაგანი ჯარის რიგებში, არიან დაჭრილები. როგორც ქართველი ჯარისკაცები ამბობენ, მსხვერპლია სეპარატისტების მხრიდანაც, განადგურებულია მათი საცეცხლე წერტილები და ტექნიკა. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ქართველი ჯარისკაცები იძულებულნი გახდნენ, ეპასუხათ უწყვეტი ცეცხლისთვის და დაეცვათ ქართული სოფლების მოსახლეობა.

ამის პარალელურად, რუსული საინფორმაციო საშუალებები ავრცელებენ ინფორმაციას, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, გუშინ დილით, რუსეთის სამშვიდობო ძალების ბლოკ-პოსტს ცეცხლი გაუხსნეს. შერეული ძალების შტაბის მონაცემებით, ცეცხლს ქართული სოფლის ნიქოზის მხრიდან უშენდნენ.

საინფორმაციო სააგენტო "ინტერფაქსთან" ინტერვიუში შერეული ძალების შტაბის რუსეთის სამინისტროს პრესსამსახურის წარმომადგენელი ნიკოლოზ ბარანოვი აცხადებს, რომ ქართული მხარე 122-მილიმეტრიანი ნაღმტყორცნებიდან ისროდა.

**"ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ ვიღაც დიდი შეიარაღებული შეტაკების პროვოცირებას ახდენდა,"** - ამბობს ბარანოვი.

დღის მეორე ნახევარში კონფლიქტის ზონაში ვითარება მშვიდდება, რუსეთის ტელევიზიის არხი "ორტ" სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის მოწოდებას გადმოსცემს.

**"ჩვენ ქართულ მხარეს ვთავაზობთ, შეწყვიტოს ცეცხლი და მიუჯდეს მოლაპარაკების მაგიდას შერეული საკონტროლო კომისიის ფარგლებში,"** - იუწყება რუსეთის პირველი არხი.

ამასთანავე, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში წარმოქმნილი დაძაბულობის მოხსნის მიზნით, ედუარდ კოკოითი გამოდის წინადადებით, შეიმუშაონ დღის წესრიგი სამხრეთ ოსეთის და საქართველოს ხელმძღვანელთა შეხვედრისათვის, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ შერეული საკონტროლო კომისიის ფარგლებში მოქმედი შუამავლები და საერთაშორისო დამკვირვებლები.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია, სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების დარეგულირების საკითხში გოგა ხაინდრავა და უშიშროების მინისტრის მოადგილე გიგი უგულავა საღამოს, ცხინვალის რეგიონში გაემგზავრნენ, პრემიერი ლიახვის ხეობებიდან გამოსულ მოსახლეობას ტყვიავის საგუშაგოსთან შეხვდა და შექმნილ ვითარებაზე გაესაუბრა.

ტყვიავის საგუშაგოზე შეიქმნა სპეციალური შტაბი, რომელიც ხეობიდან იძულებით გადაადგილებულ ადამიანებს (ქალებს ბავშვები გაჰყავდათ და მალევე უკან დაბრუნებას აპირებდნენ) დროებით სხვადასხვა საკურორტო ზონაში განათავსებს.

ცხინვალში არსებულ ვითარებას გუშინ გამოეხმაურა რუსული საინფორმაციო საშუალება "ვრემია ნოვოსტეი" და გამოაქვეყნა მასალა სახელწოდებით "ისვრის ყველა", სადაც აშკარად იგრძნობა სუბიექტურობა.

**"საქართველოს სამხრეთ ოსეთში მიმდინარე კონფლიქტი გუშინ ახალ ფაზაში გადაიზარდა, განაცხადა რა, რომ რუსმა სამშვიდობოებმა პირველად, ღიად დაუჭირეს მხარი ოსებს. სეპარატისტების სამხედრო მხარდაჭერაში ბრალი საქართველომ რუსეთს აფხაზეთთან დაკავშირებითაც დასდო. თუმცა, 90-იან წლებში ამის მიზეზობა არსებობდა, ახლა სულ სხვა დროა,"** – წერს ჟურნალისტი.

"ეს არის ღია ომი" – ასეთი სათაურით აქვეყნებს სტატიას რუსული საინფორმაციო სააგენტო "გაზეტა რუ". მასალაში ჟურნალისტი ქრონოლოგიურად მოგვითხრობს ცხინვალის რეგიონში განვითარებულ მოვლენებზე, თუმცა სტრიქონებს შორის ადვილი ამოსაკითხია არსებული ვითარების მიმართ ტენდენციური დამოკიდებულება და ცინიზმი, ამისათვის კი ტექსტში არსებული ერთი ფრაზაც კმარა: **"ქართველებს, როგორც მოსალოდნელი იყო, მოვლენების თავისებური ხედვა აღმოაჩნდათ".**

ცხინვალის მოვლენებს უყურადღებოდ არც ამერიკის შეერთებული შტატების პრესა ტოვებს. "ლოს ანჯელეს თაიმსი"გუშინ აქვეყნებს სტატიას სათაურით "სეპარატისტების გამო საქართველო შესაძლოა, ომში იქნეს ჩათრეული", სადაც ჟურნალისტი ხაზგასმით საუბრობს პრეზიდენტ სააკაშვილისადმი შეერთებული შტატების უდიდესი მხარდაჭერის შესახებ.

**"მიხეილ სააკაშვილი ცდილობს, გააერთიანოს თავისი დაშლილი სახელმწიფო და წინააღმდეგობას უწევს ორ სეპარატისტ მხარეს – ოსეთსა და აფხაზეთს, რომელიც თავის მხრივ, რუსეთთან საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობაშია,"** – წერს ჟურნალისტი.

მას შემდეგ, რაც სამხრეთ ოსეთში განვითარებულ მოვლენებს მიმოიხილავს, სტატიის ავტორი დასკვნის სახით აღნიშნავს: **"მიხეილ სააკაშვილმა, რომელმაც იურიდიული განათლება შეერთებულ შტატებში მიიღო, მიზნად დაისახა, საქართველოს უიღბლო სახელმწიფოს რეპუტაციას წერტილი დაუსვას. იგი ხელისუფლებაში "ვარდების რევოლუციის" გზით მოვიდა და კორუფციის აღმოფხვრის, ეკონომიკის აღდგენის და ქვეყნის გაერთიანების დაპირებებით საქართველოს მოსახლეობის, დაახლოებით, 90 პროცენტის მხარდაჭერით გახდა პრეზიდენტი.**

**მაისში მან დიდ გამარჯვებას მიაღწია, აჭარას დაუმორჩილებელი ლიდერი მოაშორა და მთელ რესპუბლიკაში ცენტრის კონტროლი აღადგინა".**

# მწვანე შუქი საქართველო-თურქეთის ეკონომიკური თანამშრომლობისთვის

თამარ ივანიძე

გუშინ "შერატონ მეტეხი-პალასში" დაგეგმილი თურქული ბიზნეს-ფორუმი, რომელზეც დასწრება თავდაპირველად ჟურნალისტებისთვის შესაძლებელი იყო, საქართველოს პრეზიდენტის მისვლის შემდეგ დაიხურა. მასმედიის წარმომადგენლებს არა მარტო ფორუმზე დასწრება, არამედ "შერატონ მეტეხი პალასის" ტერიტორიაზე ყოფნაც აეკრძალათ. სავარაუდოდ, ეს ფაქტი დღეს, ქართულ-ოსურ კონფლიქტის ზონაში გამწვავებულ სიტუაციას უკავშირდებოდა.

ცხადია, სამხრეთ ოსეთში შექმნილმა სიტუაციამ თურქულ-ქართული ეკონომიკური ფორუმის მუშაობის სტილი ნაწილობრივ შეცვალა, თუმცა, საქართველოს პრეზიდენტმა თურქეთის პრემიერთან და ბიზნესმენებთან ერთად ბათუმში გასამგზავრებლად დრო მაინც გამონახა. თუმცა, მანამდე თურქეთის პრემიერ-მინისტრი ნინო ბურჯანაძეს შეხვდა და მომავალ ეკონომიკურ თანამშრომლობაზეც გააკეთა კომენტარი: მისი თქმით, სექტემბერში საქართველო-თურქეთის ერთობლივი ეკონომიკური კომისიის სხდომა გაიმართება, რომელზეც საქართველოსათვის გაზის მოწოდების ალტერნატიულ წყაროებზე იმსჯელებენ.

რეჯებ ერდოგანის თქმით, შეიქმნება მუშა-ჯგუფები, რომლებიც საზღვაო და სატრანსპორტო გადაზიდვებს უზრუნველყოფენ, რათა საქართველო-თურქეთის ეკონომიკური ურთიერთობები უფრო გაღრმავდეს და გააქტიურდეს.

თურქეთის პრემიერ-მინისტრის განცხადებით, საქართველო-თურქეთს შორის სავაჭრო ტვირთბრუნვა 6 მილიონამდე უნდა ავიდეს, ანუ ორჯერ უნდა გაიზარდოს.

აგრეთვე, თურქეთისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, როგორც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის, ასევე შაჰდენიზის პროექტის განხორციელებაც.

იგი მიიჩნევს, რომ საქართველო არ უნდა იყოს გაზის მოწოდების მხოლოდ ერთ რესურსზე დამოკიდებული და მან სხვა წყაროებიც უნდა ეძიოს.

მოგვიანებით, როგორც აღვნიშნეთ, თურქეთის დელეგაცია საქართველოს პრეზიდენტთან ერთად ბათუმს გაემგზავრა. ბათუმის აეროპორტში სტუმრებს ბათუმის ოფიციალური წარმომადგენლები დახვდნენ. პრეზიდენტმა აეროპორტი უკომენტაროდ დატოვა და მისი ესკორტი სარფის საბაჟოსკენ გაემგზავრა.

თურქეთის პრემიერმა მოიწონა საქართველო-თურქეთის საზღვარზე მიმოსვლის გამარტივების მიზნით მწვანე დერეფნის ამუშავების იდეა. ეს დერეფანი საქართველოს მხრიდან უკვე მოქმედებს.

პრეზიდენტი სააკაშვილი ამ ინიციატივას ეკონომიკისა და ვაჭრობის განვითარებისთვის აუცილებელ პირობად მიიჩნევს. მისი თქმით, საზღვარზე გადასვლა ისეთივე მარტივი უნდა იყოს, როგორიც ეს ევროპის ქვეყნებშია. მან იმედი გამოთქვა, რომ თურქეთი და შემდეგ საქართველოც მალე გახდებიან ევროკავშირის წევრი ქვეყნები.

თურქული მხარე მზად არის, მწვანე დერეფანი თურქეთის მხარესაც გაიხსნას.

სარფის საბაჟოს შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტმა და თურქმა სტუმრებმა ბათუმის საზღვაო სანაოსნო დაათვალიერეს.

გუშინ თურქი ბიზნესმენები აჭარის საინვესტიციო გარემოს გაეცნენ. მეჯლისის წარმომადგენლებმა კი, პარალელურად, აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებთან შეხვედრა გამართეს.

პორტის შემდეგ სტუმრებმა ბათუმი-ქობულეთის საავტომობილო გვირაბი მოინახულეს, რომლის მშენებლობა უკვე სამი წელია, მიმდინარეობს და გვირაბის სამუშაოებს თავდაპირველად თურქული კომპანია "თიუსთაიში" აწარმოებდა.

გუშინ საღამოს თურქული დელეგაცია ანკარაში დაბრუნდა.

# საქართველოს ენერგოსექტორი გრძელვადიან კრედიტებს მიიღებს

სოფო თბილელი

*საქართველოს ენერგოსექტორი გრძელვადიან და შეღავათიან კრედიტებს მიიღებს. აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) "საქართველოს ენერგოუსაფრთხოების ინიციატივის" პროგრამის ფარგლებში, ცხრა სოფლისათვის ენერგეტიკის სექტორის განვითარების მიზნით, საქართველოს ბანკის დახმარებით გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტები გაიცემა.*



*ხელშეკრულება საქართველოს რეგიონებში ენერგეტიკული პროექტების ხელშეწყობას ითვალისწინებს.*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

გუშინ სასტუმრო "მარიოტში" "საქართველოს ბანკის" გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა დავით ფანჯიკიძემ და USAID-ის საკონსულტაციო კომპანია "PA კონსალტინგ გრუპის" საქართველოს პროექტის ხელმძღვანელმა დინ სკოტ უაითმა "საქართველოს ენერგოუსაფრთხოების ინიციატივის" ფარგლებში ხელი მოაწერეს საგარანტიო ხელშეკრულებას, რომელიც საქართველოს ენერგეტიკის სექტორისათვის გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტების გაცემას გულისხმობს.

ეკონომიკური განვითარების პროექტი, რომელსაც „PA კონსალტინგ გრუპი" USAID-ის „საქართველოს ენერგოუსაფრთხოების ინიციატივის" პროგრამის ფარგლებში ახორციელებს, საქართველოს რეგიონებში ენერგეტიკული პროექტების ხელშეწყობას ითვალისწინებს. პროექტის ფარგლებში ერთობლივად შერჩეულ თემებს საშუალება მიეცემათ, საქართველოს ბანკიდან მიიღონ სესხები 7-წლიანი ვადით, 8-12 საპროცენტო განაკვეთით. „PA Consulting"-ის კავკასიის პროექტების მენეჯერის დინ უაითის განცხადებით, აღნიშნული პროგრამა საპილოტო პროექტია და ამ ეტაპზე მხოლოდ ცხრა სოფელში ხორციელდება, თუმცა, მისი თქმით, მომავალში პროექტის გაფართოებაა დაგეგმილი. **„ეს პირველი სადემონსტრაციო პროექტია. მომავალში პროექტი გაფართოვდება და საქართველოს სხვა რეგიონებშიც განხორციელდება, რაც ხელს შეუწყობს ენერგეტიკის სფეროში კერძო სექტორის განვითარებას,"** - განაცხადა "საქართველოს ბანკის" გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა.

პროექტს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტო აფინანსებს. პროექტის ამოქმედების შემდეგ სესხით სარგებლობა შეუძლიათ არასამთავრობო ორგანიზაციებს, საიმედო კერძო საწარმოებს, რომლებიც ემსახურებიან გარკვეულ მიზნობრივ ჯგუფებს და ახორციელებენ პროექტებს განახლებადი ენერგიის რესურსებისა და ენერგიის ეფექტური ტექნოლოგიების გამოყენებით.

სესხის თაობაზე განაცხადის გაკეთება შეუძლია ნებისმიერ კერძო პირს, დამწყებ, ან არსებულ ფირმას, მიკროჰესებს, მომგებიან საწარმოებს და არამომგებიან ორგანიზაციებს, რომლებიც შემდეგ სოფლებში ფუნქციონირებენ: იმერეთის რაიონის სოფელ ნერგეთში, გურიის რაიონის სოფელ ლიხაურში, სამეგრელოს რაიონის სოფელ ქელათში, რაჭის მხარეში - სოფელ აგარაში, კახეთის მხარეში - ფშაველსა და თამარიანში, ქვემო ქართლის მხარეში - სოფელ რატევანში და შიდა ქართლის მხარეში, სოფლებში ბრეთასა და კეხიჯვარში. თითოეული სესხი დაუკავშირდება ენერგეტიკის სექტორს და უნდა აფინანსებდეს ელექტროენერგიის ეფექტურად ხარჯვის მეთოდების დანერგვას, ელექტროენერგიის გამომუშავებას ან ელექტროენერგიის მოხმარებას, რომლის მომწოდებლებიც სოფლის ბაზაზე დაარსებული სათემო ორგანიზაციები არიან. USAID-ის წარმომადგენლის დან ქენის განცხადებით, პროექტი კერძო სექტორს სოფლებში ენერგოპროექტების განხორციელებაში დაეხმარება, რაც ქვეყნის ეკონომიკას დადებითად წაადგება.

**„ჩვენ ფილიალების ქსელი გაგვაჩნია და ბანკის რეგიონულ სტრატეგიაში ენერგეტიკის სექტორის დაფინანსება მოიაზრება,"** - განაცხადა ხელმოწერის ცერემონიალზე დავით ფანჯიკიძემ. მან იქვე ისიც დასძინა, რომ საქართველოს ბანკი აღნიშნული პროექტით დაინტერესდა, რადგან მიაჩნია, რომ ეს მისთვის მომგებიანი პროექტია. პროექტის საშუალებით "საქართველოს ბანკი" კიდევ უფრო გაზრდის საკრედიტო პორტფელის მოცულობას და შეამცირებს საკრედიტო რისკებს რეგიონული პროექტების დაფინანსებისას. ბანკის ხელმძღვანელობა ირწმუნება, რომ პროექტის მეშვეობით მსესხებელს საშუალება ექნება, სესხის აღებისას აუცილებელი საბანკო გირავნობის ოდენობა მკვეთრად შეამციროს.

# რომან აბრამოვიჩი იტალიის კურორტს ყიდულობს

ნინო ტიკარაძე

გაზეთ "Independent"-ის ინფორმაციით, რომან აბრამოვიჩი მოლაპარაკებებს აწარმოებს 10 მილიონ ევროდ შეფასებული, პრესტიჟული იტალიური კურორტის - ეკო-დელ-მარის ყიდვასთან დაკავშირებით. კლდეებით შემოსაზღვრული ტყეების შუაში მოქცეული კურორტი იტალიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. მის ტერიტორიაზე 1822 წელს, ქარიშხლის დროს ცნობილი ინგლისელი რომანტიკოსი პერსი შელი დაიღუპა. მას ეს ადგილი უამრავ ნაწარმოებში აქვს აღწერილი. მწერლის პატივსაცემად ხმელთაშუა ზღვის ერთ პატარა ყურეს მისი სახელიც კი უწოდეს.

კურორტს საფუძველი ახლანდელმა მფლობელებმა 1950-იან წლებში ჩაუყარეს. მაშინ ამ კურორტის პლაჟზე მოხვედრა კლდიდან თოკით დაშვებით იყო შესაძლებელი, ამჟამად კი კლდე ლიფტმა შეცვალა. კურორტის ექსკლუზიურობა იმაში მდგომარეობს, რომ მის პლაჟზე შესულ, სულ რაღაც, ათამდე ადამიანს სრული განმარტოების საშუალება ეძლევა.

კურორტს ხშირად სტუმრობენ ცნობილი ადამიანები, მათ შორისაა ჯეკ ონასისი და სილვიო ბერლუსკონი. გამოსაცვლელი კაბინის, მზის ქოლგისა და შეზლონგის გამოყენებისთვის დღეში ორი ადამიანისთვის 57,5 ევროა საჭირო. მფლობელების ქალიშვილი ფრანჩესკა მოზერი კურორტის გაყიდვის სასტიკი წინააღმდეგია. მან განაცხადა, რომ მზადაა, კურორტის მართვას თავად ჩაუდგეს სათავეში, რადგან არ სურს, ეს საუცხოო ადგილი უცნობ ადამიანს ჩაუგდოს ხელში. ამავდროულად, რომან აბრამოვიჩის წარმომადგენელი უარყოფს "ჩელსის" მფლობელის ინტერესს იტალიის კურორტისადმი. მისი განცხადებით, ერთადერთი, რის შესახებაც გასულ კვირას იყო ლაპარაკი, შვეიცარიაში ბენზინგასამართი სადგურების ქსელის შესაძლო ყიდვა გახლდათ.

**საქართველოს პრეზიდენტს**
**ბატონ მიხეილ სააკაშვილს**

**საქართველოს მთავრობის პრემიერ-მინისტრს**
**ბატონ ზურაბ ჟვანიას**

**საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრს**
**ბატონ ნიკა გილაურს**

**საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი**
**ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს**
**ბატონ გიორგი თავაძეს**

**ბატონო პრეზიდენტო,**

ჩვენი მრავალწლიანი მოღვაწეობა ელექტროენერგეტიკის დარგში უფლებას არ გვაძლევს ამ ურთულეს პერიოდში, როდესაც ენერგოსექტორის მდგომარეობა, სუბიექტურ თუ ობიექტურ მიზეზთა გამო საკმაოდ რთულია, თქვენი ყურადღება არ მივაპყროთ რამდენიმე არსებით გარემოებას, რადგან თუ ენერგოსექტორში მიმდინარე ზოგიერთი პროცესი კვლავაც ამ სახით გაგრძელდა და შეუქცევადი ხასიათი მიიღო, საერთოდ შეუძლებელი გახდება არსებული კრიზისიდან თავის დაღწევა.

უდავოა, რომ საქართველოს ენერგეტიკა ძირეულ რეფორმირებას საჭიროებს. მაგრამ ისიც ცხადია, რომ რეფორმა შედეგებზე უნდა იყოს ორიენტირებული და არ ატარებდეს მხოლოდ კოსმეტიკური ცვლილებების ხასიათს. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს ენერგოსისტემის რეფორმირების ლოზუნგით შექმნილი სტრუქტურები არათუ ხელს არ უწყობენ დარგის აუცილებელ განახლებას, არამედ თავად იქცნენ რეფორმათა უპირველეს მუხრუჭებად. მათი პრაქტიკულად შეუზღუდავი უფლებამოსილებები ენერგოკომპანიებს და განსაკუთრებით გენერაციის ობიექტებს მუდმივად მზარდი ზეწოლის რეჟიმში ამყოფებს და მათ შემდგომ საქმიანობას დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ყურადღება გვინდა მივაქციოთ ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის საქმიანობას, რომელიც თავისი თავდაპირველი დანიშნულებით სისტემაში მეტი გამჭვირვალობისა და საბაზრო პრინციპების დამკვიდრებისათვის შეიქმნა. თუმცა, მისი საქმიანობის განვლილი პერიოდი ცხადყოფს, რომ რეალურად არც ერთი მიზანი არ იქნა მიღწეული. უფრო პირიქით: სისტემა აბსოლუტურად გაუმჭვირვალე გახდა, საბითუმო ბაზრის მიერ დანერგილ მუშაობის პრინციპებს კი არაფერი აქვს საერთო საბაზრო მექანიზმებთან.

საბითუმო ბაზარი რამოდენიმე წლის წინ საკმაოდ დემოკრატიული სტატუსით, ასოციაციის ფორმით, ჩამოყალიბდა და, თავდაპირველი ჩანაფიქრით, ენერგოსუბიექტების ნებაყოფილობითი გაერთიანება უნდა ყოფილიყო. თუმცა მოგვიანებით e"ელექტროენერგიისა და გაზის შესახებ" კანონში შეტანილი ცვლილებით მისი წევრობა ენერგოკომპანიებისათვის უკვე აუცილებელი გახდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი მუშაობა უკვე შეუძლებელია, ვინაიდან ბაზრის წევრობაზე უარის მთქმელი სუბიექტები ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიისგან საქმიანობის ლიცენზიას ვეღარ იღებენ და, ამგვარად, მუშაობაც ეკრძალებათ.

საბითუმო ბაზრის შემადგენლობაში ეს იძულებითი შერეკვა, რაც თავისთავად ნამდვილად არ არის სასიამოვნო ფაქტი, კიდევ ასატანი იქნებოდა, ბაზარი თავის უპირველეს მოვალეობას - ენერგიის მწარმოებლისა და მომხმარებლის დაკავშირებას - მეტნაკლებად მაინც რომ ასრულებდეს. სამწუხაროდ, მისი ეს ძირითადი დანიშნულება სადღეისოდ აბსოლუტურად სხვა მიმართულებით არის ტრანსფორმირებული და ბაზარი მხოლოდ ენერგოკომპანიებზე ზეწოლის იარაღია. ზეწოლის, რომელიც სულ უფრო და უფრო მზარდ ხასიათს იძენს და დაუძლეველ წინააღმდეგობებს უქმნის ენერგოსექტორის საქმიანობას.

შედეგად კი ვიღებთ აბსოლუტურ განუკითხაობას, როდესაც გენერაციის ობიექტების მიერ გამომუშავებულ ენერგიას საბითუმო ბაზარი თავისი სურვილისამებრ განკარგავს, ენერგოკომპანიებს კი წარმოდგენა არა აქვთ, ვინ და რა პირობებით ყიდულობს და მოიხმარს მათ მიერ წარმოებულ ენერგიას და, შესაბამისად, ვის უნდა მოსთხოვონ პასუხი გაყიდული ენერგიის საფასურის ქრონიკული მიუღებლობისათვის.

არადა, საქმე სამწუხარო ელფერს ნამდვილად ატარებს, რადგან ამ დავალიანებათა მოცულობა უკვე ათეულობით მილიონ ლარს აღწევს, რომელთა

მიუღებლობის გამო, გენერაციის ობიექტებს არც საკუთარი საჭიროებების დაკმაყოფილება შეუძლიათ და ვერც ბიუჯეტთან ახდენენ ანგარიშსწორებას, რის გამოც მათთვის არგადამხდელის იარლიყის მიწებებისა თუ სულაც გაკოტრების მექანიზმის ამუშავების მცდელობები უკვე ინტენსიურ ხასიათს იძენს.

ასეთ ფონზე უკვე აშკარად ცინიკურ ელფერს იძენს ის ფაქტი, რომ იმავე საბითუმო ბაზრის თანამშრომლები დაუგვიანებლად იღებენ ხელფასებს, რომელთაგან თითოეულის მოცულობა ათასობით ლარია, ხოლო იმ ენერგოკომპანიებს, ვის მიერაც ხდება ამ თანხების გამომუშავება, თვეობით უწევთ ბაზრის ხვეწნა-მუდარა, რათა თანამშრომელთა კუთვნილი თითო თვის ხელფასი (საბითუმო ბაზრის სარგოებთან შედარებით ერთობ მოკრძალებული) მაინც დაარიგონ. ბაზრის ჩინოვნიკების ხელფასები, საქართველოს სინამდვილისათვის, შეურაცხმყოფლად მაღალია, მაგრამ თავისთავად დიდი ხელფასი, როგორც ცნობილია, ვერ გაზრდის სტრუქტურის მუშაობის ეფექტიანობას. მისი სისტემა, ფუნქციონირების რეალური და არა დეკლარირებული პრინციპები ისეა ჩამოყალიბებული, რომ ენერგეტიკული დარგის ყველა ფინანსური ნაკადის უკონტროლო განკარგვის საშუალებას იძლევა. ამის შედეგად საბითუმო ენერგობაზარი, რომელიც შეიქმნა, როგორც კორუფციასთან ბრძოლის ინსტრუმენტი, **თავისივე ანტიპოდად - ბოროტმოქმედების სტაბილურ წყაროდ გადაიქცა. სისტემა ხელს უწყობს დატაცებას და კორუფციას. ამას ადასტურებს თუნდაც ის, რომ უკლებლივ ყველა მისი ხელმძღვანელით დაინტერესდა გამოძიება.** ფინანსებით თვითნებურ მანიპულირებას მოჰყვა ქრონიკული ფინანსური კრიზისი ენერგეტიკაში და, უწინარესად, ენერგოგენერაციის ობიექტების დეგრადაცია. და ეს მაშინ, როდესაც ბაზრის დავალიანება მათ მიმართ მუდმივად იზრდება და უკვე ასტრონომიულ ნიშნულებს უახლოვდება, მაგრამ ეს ბაზარს არანაირ დისკომფორტს არ უქმნის: ის უკვე წელიწადნახევრის განმავლობაში სრულიად განუკითხავად ახდენს ენერგოკომპანიების კუთვნილი აქტივების ისე განკარგვას, რომ საჭიროდაც არ თვლის მათი რეალური მეპატრონეები ამ პროცესში ზედაპირულად მაინც ჩაახედოს. როგორც ჩანს, სწორედ ეს იგულისხმებოდა დარგში მიმდინარე პროცესების იმ აუცილებელ გამჭვირვალობაში, რომლის ხელშეწყობასაც საბითუმო ბაზრის ახლანდელი მეპატრონენი სისტემაში შესვლამდე თავიანთ უპირველეს პრიორიტეტად ასახელებდნენ.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ შელახული უფლებების აღსადგენად ენერგოკომპანიებისათვის არც სასამართლო ინსტანციების ჩარევა აღმოჩნდა გამოსავალი. ნელ-ნელა, მაგრამ საფუძვლიანად იძენს ტრადიციის სახეს ისეთი შემთხვევები, როდესაც სასამართლოს მიერ მიღებული და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების აღსრულება ვერ ან არ ხდება და გენერაციის ობიექტები ვერც ამ გზით აღწევენ სამართლიანობის აღდგენას. ეს კი მიანიშნებს, რომ მწარმოებლების უფლებები ყველას იმდენად უმნიშვნელოდ მიაჩნია, რომ თვით სასამართლო გადაწყვეტილებათა აღუსრულებლობასაც კი არავინ არაფრად აგდებს.

თუმცა, როგორც ჩანს, მალე სასამართლოში სადავო საკითხების გადატანის პრაქტიკას საერთოდ მოსპობა ელის, რადგან საბითუმო ბაზარი აქტიურად ცდილობს საკუთარ წევრებს ე.წ. ეთიკის კოდექსი მოახვიოს თავს, რომლის მიხედვითაც ენერგოკომპანიებს სხვა ბევრ შეზღუდვასთან ერთად (ვალის დათმობაზე უარის თქმა ბაზრის თანხმობის გარეშე, ბაზრის დადგენილი თანხების განაწილების მექანიზმის უსიტყვო მორჩილება და ა.შ.), უკვე სადავო საქმეთა სასამართლო წესით განხილვის კონსტიტუციური უფლებაც ჩამოერთმევათ.

**ყოველივე ზემოთქმულთან ერთად აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საბითუმო ბაზრის მხრიდან ენერგოკომპანიათა უკიდურესად შემზღუდველი ნორმების დაკანონებას ხშირად, ნებსით თუ უნებლიედ, ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიაც უწყობს ხელს, რომელიც საბითუმო ბაზრის მოთხოვნათა უმეტესობას სრულიად უაპელაციოდ ანიჭებს კანონის ძალას, რითაც ენერგოკომპანიათა მდგომარეობის კიდევ უფრო მეტად დამძიმებას უკვე სავსებით ლეგალურ საფუძველს უქმნის.**

**ბატონო პრეზიდენტო,**

ჩვენი თვალთახედვით აშკარად ჩანს, რომ უკიდურესად ჭირს ამ მანკიერი წრის გარღვევა და რაც უფრო ინტენსიური ხდება გენერაციის ობიექტებზე ზეწოლა, მით უფრო მეტად რჩება შთაბეჭდილება, რომ პრაქტიკულად არ არსებობს ან ძალიან სუსტია ამ უკულმა დატრიალებული მანქანის გაჩერების ნება. არადა, თუ ეს პროცესები დროულად არ აღმოიფხვრა, დარგის დაშლა-დანაწევრებისა და ლპობის პროცესი უკვე ყოვლად შეუქცევადი გახდება.

ჩვენ კიდევ ერთხელ გვიწევს იმ სამწუხარო ფაქტის კონსტატირება, რომ მსგავსი რეფორმებით, რაც დასავლური ინსტიტუტების ბრმა, ადგილობრივი სპეციფიკის გაუთვალისწინებელ გადმოღებასა და მათ ადგილობრივ ბაზარზე აბსოლუტურად შეუსწავლელად მორგებაში გამოიხატება, ენერგეტიკაში არათუ წინსვლა, არამედ არსებული ვითარების შენარჩუნებაც კი ვერ ხერხდება და დარგი უფსკრულისაკენ მიექანება. ამის ნიშნები უკვე აშკარაა და ქართულ ენერგეტიკას სრული კატასტროფით ემუქრება, რასაც ადასტურებს მსოფლიო ბანკიც, რადგან უკვე სადღეისოდ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია ენერგოსექტორში პოტენციურად გაკოტრებული საწარმოების ოდენობამ, პროფესიონალი კადრების გადინებამ და მართვის ყველა ბერკეტის არაპროფესიონალების ხელში თავმოყრამ, რაც საბოლოოდ დარგის უეჭველ დაქცევას და მოსახლეობის ისედაც მძიმე ყოფის უკიდურესობამდე დამძიმებას გამოიწვევს.

მიუხედავად უდიდესი პრობლემებისა, გენერაციის ობიექტები სახელმწიფო თუ ადგილობრივი ბიუჯეტების მნიშვნელოვანი დონორები არიან. იმავდროულად ამ სტრუქტურებში დასაქმებულია ენერგეტიკის ყველაზე კომპეტენტური სპეციალისტების ჯგუფები, რომლებმაც უამრავი გაჭირვების მიუხედავად, დარგის ბევრ საწარმოს დღევანდლამდე მიღწევის საშუალება მისცეს. მაგრამ, მოგეხსენებათ, არანაირი რესურსი არ არის უსაზღვრო და თუ მას სათანადო პირობები არ შეექმნა, ამ რესურსების ამოწურვა გარდაუვალია.

მოცემულ შემთხვევაში მდგომარეობას ის გარემოება ამძიმებს, რომ საქმე ენერგეტიკას ეხება-დარგს, რომელზეც დიდწილად არის დამოკიდებული ქვეყნის მდგრადი განვითარება და სტაბილურობა. აქედან გამომდინარე, დღეისათვის მისთვის ჯეროვანზე ნაკლები ყურადღების დათმობა ან სულაც უყურადღებოდ დატოვება (სამწუხაროდ, ეს შეფასება დღევანდელ ვითარებას უფრო მეტად შეესაბამება) შესაძლოა იმდენად მძიმე შედეგების გამომწვევი გახდეს, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს არა მხოლოდ კონკრეტული დარგის, არამედ მთელი ქვეყნის მომავალი განვითარება. ის გარემოება, რომ საქენერგოს ვალი მრავალი წლის განმავლობაში 30 მილიონი იყო, ხოლო ბაზრის ვალი სულ რამდენიმე წელიწადში (1999 წლიდან) 400 მილიონ ლარს შეადგენს, ჩვენის ღრმა რწმენით, აშკარად მიუთითებს ამ ორგანიზაციის არაეფექტურობაზე და სულ სხვა მიზნებზე.

სწორედ ეს გარემოება გვაიძულებს, მოგმართოთ თქვენ, გაითვალისწინოთ ენერგეტიკის და ეკონომიკის დღევანდელი მინისტრების პოზიტიური ხედვა ელექტროენერგიის საბითუმო ბაზართან დამოკიდებულებაში, რომ ბაზარი გასაუქმებელია და თქვენთვის ჩვეული გულისხმიერებით გაგვიწიოთ თანადგომა ამ პრობლემების გადაჭრაში. გარწმუნებთ, ეს არ იქნება მხოლოდ ერთი ცალკე აღებული დარგისათვის ხელის შეწყობა, რადგან არსებული ენერგეტიკული პრობლემების გადაჭრა თანაბრად აისახება როგორც ეკონომიკის სხვა დარგების მუშაობაზე, ასევე საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროსა და მოსახლეობის მდგომარეობაზეც. **ამასთან ეს არის მხოლოდ მცირე ნაწილი იმ ნეგატიური მოვლენებისა, რომელიც ბაზრის "მოღვაწეობამ" მოუტანა და მოუტანს საქართველოს ენერგეტიკას** და ბოლოს კიდევ ერთხელ გვინდა დავაფიქსიროთ, რომ არსებული სახით საბითუმო ბაზრის შენარჩუნება არამიზანშეწონილია, მან დაკარგა ის მთავარი ფუნქცია, რისთვისაც შეიქმნა და გახდა ქართული ენერგეტიკისათვის ზედმეტი წარმონაქმნი.

**პატივისცემით,**

**რევაზ სულაბერიძე**
**ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი**
**საქართველოს ეროვნული**
**ენერგეტიკული აკადემიის წევრი**

**ვლადიმერ ჯაფარიძე**
**საქართველოს დამსახურებული**
**ინჟინერი**

# ბინ ლადენის შემდეგი საეთერო გამოსვლა ტერაქტების სერიით დაგვირგვინდება

ლევან ბელაშვილი

*ალ ქაიდა ტაქტიკას ცვლის. ტერორისტები ხმაურიანი პოლიტიკური მკვლელობების სერიას გეგმავენ. დეტალები უკვე დამუშავებულია. მთავარი სამიზნეები ევროპელი და ამერიკელი ლიდერები არიან. შეტევის სიგნალი უსამა ბინ ლადენის შემდეგი გამოსვლა იქნება, როდესაც იგი საიდუმლო კოდურ სიტყვას წარმოთქვამს.*



*ბინ ლადენის საეთერო მიმართვას ტერაქტების სერია მოჰყვება.*

ევროპისა და ამერიკის გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეებზე თავდასხმა ალ ქაიდას ლიდერის სიგნალით მოხდება. ეს სიგნალი ბინ ლადენის გამოსვლის ახალი ვიდეოჩანაწერი გახლავთ. ზოგიერთი მონაცემებით, ეს ჩანაწერი უკვე გამზადებულია და ახლო მომავალში მსოფლიო მასმედიის ხელში აღმოჩნდება. ამერიკული სპეცსამსახურები ეთერში აღნიშნული მიმართვის გამოჩენას უახლოესი რამდენიმე კვირის ან დღის განმავლობაში ელიან.

ტერაქტების დეტალები, თავდასხმის ადგილები და სავარაუდო სამიზნეები, ჯერჯერობით, უცნობია. სპეცსამსახურები მოსალოდნელი აქციების შესახებ ზოგადი სახის ინფორმაციას ფლობენ. მიუხედავად ამისა, გამოძიებათა ფედერალური ბიუროს ხელმძღვანელობამ ამერიკელი კონგრესმენები და კაბინეტის წევრები შესაძლო თავდასხმების შესახებ უკვე ამ კვირაში გააფრთხილა.

იმავდროულად, აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების სამინისტროს თავკაცი ტომ რიჯი ალ ქაიდას გეგმების თაობაზე განცხადებას აკეთებს. მის ხელთ არსებული ინფორმაციით, ტერორისტული ორგანიზაცია ვაშინგტონში, ნიუ იორკში, ნიუ ჯერსისა და ნიუ არკში სახმელეთო სამიზნეებს დაარტყამს. პრესაში გაჟონა ინფორმაციამ, რომ ამერიკა ერთდროულად ხმელეთიდან, ჰაერიდან და ზღვიდან თავდასხმის მოლოდინშია. იმავე ინფორმაციის თანახმად, ტერორისტები, პირველ რიგში, მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და ნიუ იორკის საფონდო ბირჟის შენობებს შეუტევენ. ამერიკული პრესის მონაცემებით, აშშ მოსალოდნელი აფეთქებებისათვის კარგად მოემზადა – ყველა საფინანსო დაწესებულებაში დაცვის უპრეცედენტო ზომებია მიღებული. სადაზღვევო გიგანტის Prudential Financial Inc.-ის შენობაში მეტალოდეტექტორებია დამონტაჟებული. შენობის მისადგომებთან ორი ქუჩა გადაკეტილია. ნიუ იორკში, ქვემო მანჰეტენისაკენ მიმავალი გვირაბებიდან ერთ-ერთი - კომერციული ტრანსპორტისთვის დაკეტილია.

ჟურნალ "Time"-ში გამოქვეყნდა სტატია, რომელშიც ტერაქტების რამდენიმე სერიოზული დეტალია მოცემული. ეს დეტალები 13 ივლისს პაკისტანის სპეცსამსახურების მიერ ალ ქაიდას კოორდინატორის და მთავარი პროგრამისტის მუჰამედ ნაიმ ნურ-ხანის დაკავების შემდეგ გახდა ცნობილი. სპეცსამსახურებმა სამი პორტატული კომპიუტერი და 51 ლაზერული დისკი ამოიღეს, რომლებზეც სავარაუდო სამიზნეების 500 ფოტო და ზოგიერთი მათგანის სუსტი წერტილების კონკრეტული ანალიზია დაფიქსირებული. მოპოვებული მონაცემების მიხედვით, უმსხვილესი ბანკის "Citigroup"-ის შენობის განადგურება ბენზინმზიდის მეშვეობით იყო ჩაფიქრებული, ხოლო სადაზღვევო კომპანია Prudential Financial Inc.-ის აფეთქება მისი მიწისქვეშა გარაჟიდან იგეგმებოდა. ვინაიდან გარაჟში მიკროავტობუსებისა და სატვირთო ავტომანქანების ჩასვლა აკრძალულია, ტერორისტებმა გამოსავალი მოძებნეს: შავი ფერის ლიმუზინის ასაფეთქებელი ნივთიერებებით დატვირთვა და შემდეგ მისი დეტონირება. როგორც ჩანს, 2001 წლის 11 სექტემბრისაგან განსხვავებით, როდესაც კამიკაძე ტერორისტები მოქმედებდნენ, ამჯერად ალ ქაიდა უკან დასახევ გზებს იტოვებს და ყველაფერს დისტანციური მართვის პულტებს ანდობს.

მოსალოდნელი ტერაქტების შესახებ შედარებით ვრცელი ინფორმაცია გაზეთ Washington Times-ის მესვეტის, ბილ გერცის 11 აგვისტოს გამოქვეყნებულ სტატიაშია მოცემული. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს წყაროებზე დაყრდნობით, ალ ქაიდას ახალი თავდასხმა გაცილებით უფრო მასშტაბური იქნება, ვიდრე 2001 წლის 11 სექტემბერს. ცნობილია, რომ ტერორისტული აქტები სხვადასხვა შტატში ერთდროულად რამდენიმე პოლიტიკოსის წინააღმდეგ განხორციელდება, თუმცა მათ რიცხვში პრეზიდენტი ბუში არ შედის. სპეცსამსახურების ანონიმური წყაროს ცნობით, ტერორისტებს ორი მიზანი ამოძრავებთ – ზიანი მიაყენონ ამერიკის ეკონომიკას და გავლენა იქონიონ საპრეზიდენტო არჩევნებზე.

თუმცა, ტერორისტების სამიზნეს ამჯერად მხოლოდ შეერთებული შტატები არ წარმოადგენს. ალ ქაიდა ევროპის სხვადასხვა ქალაქში ცალკეული პოლიტიკოსებისა თუ მნიშვნელოვანი ობიექტების წინააღმდეგ მასობრივი აქციების ჩატარებასაც გეგმავს. ისევ და ისევ მუჰამედ ნაიმ ნურ-ხანის დაკითხვებიდან ცნობილი გახდა, რომ მზადდება მასშტაბური ტერაქტი ლონდონის ჰითროუს აეროპორტზე. მის პორტატულ კომპიუტერში აეროპორტის აფეთქების დეტალური გეგმა ინახებოდა. უკვე მეორე კვირაა, ბრიტანელი სპეცსამსახურები დედაქალაქში დაცვის გაძლიერებულ ზომებს მიმართავენ.

თავად ბილ გერცი კომპიუტერში აღმოჩენილი ინსტრუქციების დეტალურობით გაოგნებულია. მისივე სიტყვებით, "ტერაქტები დაწვრილებით არის შემუშავებული". ტერორისტები თავდასხმებისათვის ყველანაირი საშუალებების გამოყენებას აპირებენ, მათ შორის - კომერციული ვერტმფრენებისაც, რომლებიც ქალაქის თავზე ტურისტულ გასეირნებას ახორციელებენ. რაც შეეხება ზღვიდან შეტევას, ამ შემთხვევაში სწრაფმავალ კატერებსა და აკვალანგისტებს გამოიყენებენ.

ამასთან, თუ ადრე სპეცსამსახურები თავდასხმის დროზე მარჩიელობდნენ, ამჯერად ყველაფერი სხვაგვარადაა. აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების სამინისტროს ხელმძღვანელმა ტომ რიჯმა ერთ-ერთ ბოლო პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მათ "იციან - სად, მაგრამ არ იციან - როდის". დღეისათვის კი ყველაფერი ნათელია – საჭიროა მოცდა, სანამ უსამა ბინ ლადენი ეთერში კვლავ გამოჩნდება.

# დაზვერვის შეფის ახალ კანდიდატურას ამავე სტრუქტურის ძველი ანალიტიკოსი აკრიტიკებს

10 აგვისტოს აშშ-ს ცენტრალური დაზვერვის განყოფილების დირექტორის პოსტზე ჯორჯ ბუშის მიერ რესპუბლიკელი კონგრესმენის პორტერ გოსის წარდგენას უხმაუროდ არ ჩაუვლია. როგორც აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო განყოფილების ყოფილი ანალიტიკოსი რუელ მარკ გერეტი მიიჩნევს, ქვეყნის სადაზვერვო უწყების ხელმძღვანელის პოსტზე რესპუბლიკელი კონგრესმენის კანდიდატურის წარდგენას საუკეთესო არჩევანს ვერ უწოდებ. "ცენტრალური დაზვერვის განყოფილების ხელმძღვანელის შერჩევა დღეს სხვა სტანდარტებით ხდება და იდეალური კანდიდატურის გამოძებნას სულაც არ საჭიროებს," - აღნიშნავს დაზვერვის ყოფილი ანალიტიკოსი.

ქვეყნის სადაზვერვო უწყების ხელმძღვანელის თანამდებობა ვაკანტური ჯორჯ კენეტის გადადგომის შემდეგ გახდა. 11 სექტემბრის ტერაქტებთან დაკავშირებულმა მძაფრმა კრიტიკამ ტენეტი აიძულა, დაკავებული თანამდებობა დაეტოვებინა.

ამჟამად ვაშინგტონში მეწარმეთა ამერიკული ინსტიტუტის ექსპერტი, რუელ მარკ გერეტი აღნიშნავს, რომ წარსულის გათვალისწინებით, გოსის ნამდვილი პროფესიონალის ტიტულით შემკობა ცოტა გადაჭარბებულია. ჯერ კიდევ აშშ-ს წარმომადგენელთა პალატის დაზვერვის კომიტეტში მუშაობისას გოსს სადაზვერვო სამსახურების რეფორმების მიმართ ღრმა ინტერესი არ გამოუვლენია, განსაკუთრებით კი ეს ცენტრალური დაზვერვის განყოფილებას შეეხება. გოსი სადაზვერვო სტრუქტურისთვის მხოლოდ ბიუჯეტის გაზრდის მომხრე იყო, სწორედ ამიტომ, იგი უფრო "კარგი აღმასრულებელია, ვიდრე რეფორმატორი". თუმცა, ცნობილი ექსპერტი იქვე აღნიშნავს, რომ "სადაზვერვო სამსახურებში ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობისას რთულია რაიმეს მიაღწიო. ძნელია დღეს ხალხი ამ თანამდებობაზე მიიზიდო, რადგან იგი უკვე ზედმეტად პოლიტიზირებულია".

ყოფილი ანალიტიკოსის მიერ დაზვერვის შეფის ახალი კანდიდატურის მიმართ გამოთქმული კრიტიკის მიუხედავად, რესპუბლიკური პოლიტიკური წრეების წარმომადგენელთა უმრავლესობა მაინც დარწმუნებულია, რომ 66 წლის პორტერ გოსი კონგრესში მისი კანდიდატურის დამტკიცებისას ხმათა უმრავლესობას მოიპოვებს. სენატის სადაზვერვო კომიტეტის ხელმძღვანელის მოადგილე კი, დემოკრატი ჯონ როკფელერი "ვაშინგტონ თაიმსთან" ინტერვიუში აცხადებს, რომ გოსს "მკაცრ კითხვებზე" პასუხების გაცემა მოუწევს. "პორტერ გოსმა რეფორმების მიმართ საკუთარ დამოკიდებულებაზე უნდა ისაუბროს. ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რამდენად დამოუკიდებელი იქნება იგი სადაზვერვო უწყების ხელმძღვანელი თანამდებობის დაკავების შემდეგ", - აღნიშნავს დემოკრატთა წარმომადგენელი.

*24 საათი*

# ირანმა ახალი რაკეტა გამოსცადა

ირანის ოფიციალური წარმომადგენლების განცხადებით, ქვეყნის სამხედრო ძალებმა წარმატებით განახორციელეს უახლესი მოდიფიკაციის "შაჰაბ–3"-ის საშუალო რადიუსის ბალისტიკური რაკეტების გამოცდა. აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა თქმით, ამ იარაღით ირანს შეუძლია, ისრაელსა და სპარსეთის ყურეში დისლოცირებულ ამერიკულ ბაზებსაც დაარტყას.

ირანის თავდაცვის მინისტრმა ალი შამხრანმა გასულ კვირას განაცხადა, რომ ისრაელის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის უნარიანობის ზრდის საპასუხოდ, ირანი აქტიურად მუშაობს "შაჰაბ-3"-ის მოდიფიკაციის რაკეტების სიზუსტისა და მოქმედების სიშორის გაზრდაზე.

ირანი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მას სარაკეტო პროგრამა მხოლოდ მოწინააღმდეგის შეკავებისთვის სჭირდება. ისლამური რესპუბლიკა ასევე უარყოფს აშშ-ს ბრალდებებს, თითქოსდა ირანის ბირთვული პროგრამა მასობრივი განადგურების იარაღის შექმნას ისახავდეს მიზნად და, რომ "შაჰაბ-3"-ის ბირთვული ქობინებით აღჭურვა ჰქონდეს დაგეგმილი.

აშშ ირანის მიერ სარაკეტო სისტემის სრულყოფის მცდელობას, რეგიონში სტაბილურობის საფრთხედ და აშშ-ს ინტერესების ხელყოფად აღიქვამს.

ჩრდილოეთკორეულ "ნოდონგ-1"-ზე ბაზირებული და რუსული თანამედროვე ტექნოლოგიით მოდიფიცირებული "შაჰაბ"-ის მოქმედების რადიუსი 810 მილია (1300 კმ), რაც ირანს საშუალებას აძლევს, ნებისმიერ სამიზნეს მიწვდეს ისრაელში.

ირანის ძალისხმევა რომ ძირითადად ისრაელის საპასუხოდ არის მიმართული, ეჭვს არ იწვევს. უკანასკნელ ხანს ისრაელმა წარმატებით განახორციელა "ეროუ"-ს რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის თანამედროვე ტექნოლოგიური აღჭურვა. დღეს "ეროუს"-ს თავისუფლად შეუძლია, "შაჰაბ-3"-ის ანალოგიური "სკატ"-ის ტიპის რაკეტებს ჰაერშივე გაუმკლავდეს. სწორედ ამისთვის დასჭირდა ირანს თავისი რაკეტების გადაიარაღება.

ირანმა გასულ თვეში აღნიშნული რაკეტებით თავისი სამხედრო ძალები აღჭურვა, თუმცა, რამდენი ცალი რაკეტა იქნა გამოშვებული, არ ახმაურებენ. აღსანიშნავია, რომ სამხედრო ექსპერტები "შაჰაბ-3"-ის სიზუსტისა და სანდოობის შესახებ ეჭვებს გამოთქვამენ.

# ექსტრემისტები თურქეთს ტერაქტებით ემუქრებიან

ქურთთა სეპარატისტულ დაჯგუფებას განზრახული აქვს, თავისი დაარსების დღე თურქეთში უცხოელების წინააღმდეგ ტერაქტების სერიით აღნიშნოს.

ამის შესახებ ნათქვამია დაჯგუფების განცხადებაში, რომელიც გუშინ, გერმანიაში საინფორმაციო სააგენტო "მესოპოტამიამ" გაავრცელა. "მოვუწოდებთ ყველა ტურისტს, დატოვოს თურქეთი, მათ კი, ვინც ჩამოსვლას აპირებს, შეცვალოს მარშრუტი, რადგან ჩვენ დიდი ტერაქტების ორგანიზებას ვაპირებთ," - ნათქვამია სეპარატისტთა განცხადებაში.

დაჯგუფება ტერაქტების მოწყობის მუქარით მას შემდეგ გამოდის, რაც კვირის დასაწყისში სტამბოლის ორ სასტუმროში "ჰოლიდეიში" და "პარსში" ორი აფეთქება მოხდა. შედეგად, ორი ადამიანი დაიღუპა და 11 დაიჭრა. მათ შორის ირანის, თურქეთის, ჰოლანდიის, ჩინეთის, უკრაინისა და თურქმენეთის მოქალაქეები არიან.

აფეთქებებზე პასუხისმგებლობა "ალ-ქაიდასთან" დაკავშირებულმა "აბუ ჰაფს ალ-მასრის ბრიგადამ" აიღო.

ერთ-ერთ ისლამისტურ ინტერნეტ-საიტზე გამოქვეყნებულ განცხადებაში ეს დაჯგუფება ახალი ტერაქტებით იმუქრებოდა. თუმცა, თურქეთის პოლიცია სტამბოლის სასტუმროებში მომხდარ აფეთქებებში ქურთი აჯანყებულების კვალს ხედავს. ამგვარი ვარაუდი იმასთან დაკავშირებით გამოითქვა, რომ აფეთქებების წინ სამართალდამცველმა ორგანოებმა თურქეთის დედაქალაქში ოთხი ქურთი ექსტრემისტი დააპატიმრეს.

თურქული კერძო ტელეარხის NTV-ს მონაცემებით, ორშაბათს დაკავებული ქურთები სტამბოლში ფართომასშტაბიან იერიშებს ამზადებენ.

*ინტერპრესი*

ახალი საპროცენტო განაკვეთი ბიზნეს სესხებზე

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

ბიზნეს სესხი დოლარში

მოკლევადიანი [illegible] წლიური 13%-დან

გრძელვადიანი [illegible] წლიური 14%-დან

სესხის დაფარვის მაქსიმალური პერიოდით 60 თვე

ბიზნეს სესხი ლარში

[illegible] წლიური 17%-დან

სესხის დაფარვის მაქსიმალური პერიოდით 18 თვე



პროკრედიტ ბანკი – ლიდერი მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებაში

საკონტაქტო ტელეფონები: 201616; 201717; 252806

# ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს, მის აღმატებულებას ბატონ მიხეილ სააკაშვილს

თქვენო აღმატებულებავ, ბატონო პრეზიდენტო, მოგმართავთ არარეგისტრირებულ კავშირ "300 არაგველის" სახელით, რომელშიც გაერთიანებულნი არიან საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლი უმთავრესი მიზნით: დაიცვან ქალაქ თბილისში კრწანისის წმიდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის წინ გორგასლისა და გრიშაშვილის ქუჩებს შორის მდებარე სამასი არაგველის სახელობის ისტორიული ბაღი ნებისმიერ პირთა ხელყოფისაგან.

ბატონო მიხეილ, ჩვენი თქვენდამი მომართვა ეხება ვითარებას, რომელიც ამჟამად შექმნილია შპს "ცენტრის" და მისი ხელმძღვანელის ბატონ ილია მოსიაშვილის მიერ 300 არაგველის ისტორიულ ბაღში უკანონოდ წამოყენებულ მშენებლობას, რომელიც თავის დროზე, როდესაც გეკავათ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობა, თქვენი ძალისხმევით, 2003 წლის 31 მარტის თბილისის პრემიერის განკარგულებით, შეჩერდა. იმ განუკითხაობის პერიოდში, როცა უკანონო მშენებლობებმა, ფაქტობრივად, დაუკარგა ძველ თბილისს მისი განუმეორებელი იერსახე, ამ წმიდა ადგილას სასტუმრო-კომპლექსის მშენებლობა უკვე ქართველი ერის ისტორიის შეურაცხყოფა იყო. თქვენ მიერ გადადგმულმა მანამდე უპრეცედენტო ნაბიჯმა იმედი ჩაუსახა ღირსებაშელახულ ქართველობას, რასაც, თავის მხრივ, უდიდესი ენთუზიაზმით გამოეხმაურა სამეცნიერო-ინტელიგენცია და 2003 წლის 17 აპრილს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა გამოსცა შესაბამისი დადგენილება, რომელშიც დადასტურებულია სამასი არაგველის ბაღის ისტორიულ-არქეოლოგიური მნიშვნელობა; გარდა ამისა, გამოიცა საქართველოს კულტურისა და ურბანიზაციის მშენებლობის სამინისტროების ერთობლივი №3/97 და №13 ბრძანება ქ. თბილისში, ორთაჭალის მონაკვეთზე, ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონაში; აგრეთვე ქ. თბილისის საკრებულოს რელიგიის კომისიამ წარმოადგინა დასკვნა, რომელიც, ასევე, ადასტურებს ადგილის ისტორიულ მნიშვნელობასა და, იურიდიული თვალსაზრისით, მშენებლობის უკანონობაზე მიუთითებს; ჩვენთვის, აგრეთვე, ცნობილია მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, ილია II-ს ცალსახად უარყოფითი დამოკიდებულება ამ წმიდა ადგილზე წამოწყებული მშენებლობის შესახებ. საქართველოს საპატრიარქომ, ოფიციალურად, არაერთხელ გამოხატა აღნიშნული მშენებლობისადმი ნეგატიური დამოკიდებულება და მიუთითა ბაღის ისტორიულ-რელიგიურ მნიშვნელობაზე. 2003 წლის სექტემბერში შპს "ცენტრმა" შეიტანა სარჩელი თბილისის საოლქო სასამართლოში, რომელშიც სხვა მრავალ მოთხოვნასთან ერთად იგი მოითხოვს 2003 წლის 23 მარტის საკრებულოს დადგენილების გაუქმებას. აღნიშნულ სასამართლო პროცესში ჩვენი კავშირი და საქართველოს საპატრიარქო წარმოდგენილია როგორც მხარე. საოლქო სასამართლომ 2003 წლის 13 ოქტომბერს დანიშნა ექსპერტიზა. საექსპერტო კომისიამ, რომელიც შედგებოდა 11 წევრისაგან (ისტორიკოსები და არქეოლოგები: ანდრია აფაქიძე, ოთარ ჯაფარიძე, როინ მეტრეველი, მარიკა ლორთქიფანიძე, დავით მუსხელიშვილი, ვახტანგ ჯაფარიძე, რამინ რამიშვილი, ოთარ ტყეშელაშვილი, ვახტანგ ლიჩელი, ალექსანდრე ნონეშვილი, დავით ნინიძე), გადამწყვეტი უმრავლესობით კიდევ ერთხელ დაადასტურა სამასი არაგველის ბაღის და, კონკრეტულად, სადავო ტერიტორიის ისტორიულ-არქეოლოგიური მნიშვნელობა. საექსპორტო დასკვნის წარდგენის შემდეგ საოლქო სასამართლომ, სხვადასხვა მიზეზთა გამო, რამდენჯერმე გადადო სხდომა. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ შპს "ცენტრი" და მისი ხელმძღვანელი ილია მოსიაშვილი, მაშინ, როდესაც სასამართლოს ჯერ არ მიუღია არანაირი გადაწყვეტილება, საქართველოს მინისტრთა კაბინეტის საშუალებით დაჩქარებული ტემპით აშკარად ლობირებს ამ საკითხის თავის სასარგებლოდ გადაწყვეტას, რისი დადასტურებაც გახლავთ ეკონომიკისა და კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრებისადმი საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება ამ საკითხის ხელახალი შესწავლისა და ხუთი დღის ვადაში წინადადების წარმოდგენის თაობაზე. ჩვენ გამოვხატავთ ღრმა შეშფოთებას აღნიშნულთან დაკავშირებით და შპს "ცენტრის" ასეთ ქმედებას აღვიქვამთ მინისტრთა კაბინეტის და მთლიანად საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შეცდომაში შეყვანისა და, ამ გზით, სასამართლოს გადაწყვეტილებაზე გარკვეული ზეგავლენის მოხდენის მცდელობად.



ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

მშენებარე სასტუმრო-კომპლექსი "300 არაგველების" ბაღში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოგმართავთ თხოვნით, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესმა პირმა, მოახდინოთ ადეკვატური რეაგირება შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით და, როგორც მანამდე, ამჯერადაც არ დაუშვათ საქართველოში უკანონობის ზეიმი. ამასთან, გვინდა, გამოვხატოთ ჩვენი თქვენდამი უდიდესი მადლიერება ამ წმიდა ადგილზე 26 მაისს ჩატარებული სამხედრო აღლუმის გამო, რითაც გაცხადდა ღვთის ნება და კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ სამასი არაგველის ბაღი ქართველი ხალხის გმირული სულისკვეთების, სარწმუნოებისა და ქვეყნისადმი თავდადების სიმბოლოს წარმოადგენს. ჩვენმა წინაპრებმა, მათ შორის კომუნისტურმა ხელისუფლებამაც კი, შემოგვინახეს იგი და ჩვენ მისი ხელყოფის უფლება არ გვაქვს. ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში მსგავსი ადგილი უდიდესი კრძალვისა და პატივისცემის ღირსი გახდებოდა და ხელისუფლება აქ არავის მისცემდა სასტუმროს ან, თუნდაც, ახალგაზრდული ცენტრის აშენების უფლებას, მით უმეტეს, რომ სამასი არაგველის სახელობის ბაღი მცირე ტერიტორიას მოიცავს და მისი მოვლა-პატრონობა დედაქალაქისთვის პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს. მსგავსი დატვირთვის ადგილებით ხომ არც ისე განებივრებულები ვართ.

ღმერთმა დაგლოცოთ და ხელი მოგიმართოთ ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ წამოწყებულ ყველა საქმეში.

პატივისცემით, კავშირ "300 არაგველის" გამგეობა:

*ზურაბ ჩხეიძე*
*ნიკოლოზ დადიანი*
*ზურაბ ხორავა*
*კახა ხერხეულიძე*


# "თბილგაზის" განცხადება!

ს.ს. "თბილგაზის" ადმინისტრაცია აცხადებს ტენდერს კომპანიის ლოგოს დიზაინზე. სარეკლამო სტუდიებსა და დიზაინერებს ვთხოვთ წინადადებები "თბილგაზის" პრესცენტრში წარმოადგინონ. კონკურსის ვადა 25 აგვისტოს იწურება.

**"თბილგაზის" ადმინისტრაცის**



**SWISS AGENCY FOR DEVELOPMENT AND COOPERATION SDC COORDINATION OFFICE FOR THE SOUTH CAUCASUS**

**შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს წარმომადგენლობა სამხრეთ კავკასიაში იწვევს ახალგაზრდა სახელმწიფო მოხელეებს სასწავლო კურსზე "ადამიანის უფლებები და ჰუმანიტარული სამართალი".**

კურსი ჩატარდება 2004 წლის 25 სექტემბრიდან 9 ოქტომბრამდე ერევანში ჟენევის "საერთაშორისო ურთიერთობების სწავლების ინსტიტუტის" მიერ. სწავლებაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოდან 6 კანდიდატი შეირჩევა. განაცხადების შემოტანის ბოლო ვადაა 2004 წლის 23 აგვისტო. განაცხადის ფორმები და დამატებითი ინფორმაცია განთავსებულია ვებ-საიტზე: *http://www.gfsis.org/cabir*

ასევე შეგიძლიათ მიმართოთ შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს წარმომადგენლობას თბილისში. მისამართი: რადიანის ქუჩა 12 (გამსახურდიას ძეგლთან, ყოფილი ბარნოვის მეოთხე ჩიხი). ტელ.:25-36-82/83. ელ-ფოსტა: tbilisi@sdc.net


# კიდევ ვის მიადგება ჭიაბერაშვილის ბულდოზერი?

ნანა ქადაგიშვილი

*მეორე დღეა, თბილისის მერი ქალაქში უკანონოდ მშენებარე ობიექტების ნგრევა-მონახულებით არის დაკავებული. N1 საავადმყოფოდან გუშინ მან ჭავჭავაძისა და ატენის ქუჩებზე გადაინაცვლა, ოღონდ ამჯერად უბულდოზეროდ მივიდა; საღამოს კი უკანონო მშენებლობების შემსწავლელ კომისიასთან ერთად უკანონოდ აშენებული თუ მშენებარე 12-მდე ობიექტის ბედი გადაწყვიტა.*



ლევან ხერხეულიძის ფოტო

"როგორც ადამიანი, თქვენს მდგომარეობაში შევდივარ, მაგრამ მერის გადაწყვეტილება უცვლელია", - აცხადებს ჭიაბერაშვილი.

ჭავჭავაძის ქ.№5-ში, სადაც მეწყერსაშიში ზონაა, ავტოფარეხები შენდება. პროექტით საცხოვრებელი სახლის მშენებლობაც არის დაგეგმილი. როგორც აქაური მოსახლეობა ჩივის, მშენებლებმა ხეები სულ გაჩეხეს. ატენის ქ.№18-ში კი საცხოვრებელი სახლი შენდება. უკანონო მშენებლობების შემსწავლელ კომისიის გუშინდელ სხდომაზე, უპირველესად, ეს საკითხები განიხილეს. **"კომისიის მომავალი სხდომისთვის უკვე უნდა გამოვარკვიოთ, ამ ქუჩებზე მიწა რამდენად კანონიერად გაიყიდა და მეპატრონეებს ნებართვები თუ აქვთ. მანამდე კი არანაირი ნებართვა არ გაიცემა და არც მშენებლობა გაგრძელდება",** – კატეგორიულად განაცხადა ჭიაბერაშვილმა.

ქალაქის მერის გადაწყვეტილების შეუვალობაში უკანონო მშენებლობების შემსწავლელი კომისიის წევრები და ჟურნალისტები გუშინვე დარწმუნდნენ. სხდომას №1 საავადმყოფოს ტერიტორიაზე მშენებარე ობიექტის მეპატრონეც ესწრებოდა. როცა მერიის იურიდიული სამსახურის წარმომადგენელმა ამ მშენებლობის უკანონობა დაასაბუთა (საავადმყოფო, პრეზიდენტის 1998 წლის ბრძანებით, სასიცოცხლო მნიშვნელობის საავადმყოფოთა სიაშია შეტანილი და მისი კუთვნილი ფართის გაყიდვა დაუშვებელია. ამის გარდა, ამ ტერიტორიაზე გაჩეხილია ნარგავები, მეპატრონეს კი გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის ნებრთვა არც აქვს), უკანონოდ გაყიდული ტერიტორიის მეპატრონემ დავით ჭრიკიშვილმა ჭიაბერაშვილს აღნიშნული ტერიტორიის სანაცვლო ფართის გამოყოფა სთხოვა. ვხედავ, ჩემი ბედი გადაწყვეტილია და ერთი თხოვნა მაინც შემისრულეთ - ორი წლის წინათ ნაყიდი მიწის სანაცვლოდ, ტერიტორია გამომიყავით და გპირდებით, რომ მხოლოდ სარეაბილიტაციო ცენტრს ავაშენებ და საცხოვრებელ სახლს შევეშვებიო, - მაგრამ ჭიაბერაშვილზე ვერანაირმა თხოვნამ ვერ გაჭრა. **"როგორც ადამიანი, თქვენს მდგომარეობაში შევდივარ, მაგრამ მერის გადაწყვეტილება უცვლელია. უკანონოდ ნაყიდი მიწის სანაცვლოდ, ვერაფერს მოგცემთ, მხოლოდ ამ ორი წლის მანძილზე ბიუჯეტში გადახდილ 5 ათას ლარს დაგიბრუნებთ",** – განუცხადა ჭიაბერაშვილმა.

აღნიშნულის გარდა, კომისიის წევრებმა კიდევ რამდენიმე უკანონო მშენებლობის ბედი გადაწყვიტეს - მაგალითად, ანაგის ქ№29-ში მშენებარე ობიექტს პროექტთან შეუთანხმებლად აშენებული ნაწილი მოენგრევა; ყიფშიძის ქ.№49-ში უპროექტოდ აშენებული ავტოსადგომი დაინგრევა; 128-ე საშუალო სკოლის უკანონოდ გაყიდული ტერიტორიის საქმე გენერალურ პროკურატურას გადაეცემა; შავთელის ქ.№13-ში, ანჩისხატის ეკლესიასთან აშენებული სამსართულიანი შენობაც დაინგრევა და ახალი პროექტი გაკეთდება – ასეთია კომისის გადაწყვეტილება. მერის განსაკუთრებული აღშფოთება ყიფშიძის ქუჩის დასაწყისში მიმდინარე მრავალსართულიანი სახლის მშენებლების საქციელმა გამოიწვია. აღნიშნულმა შენობამ ქუჩის სავალი ნაწილი 6 მეტრით შეავიწროვა. ქალაქის მთავრობამ სახლის მეპატრონეს ქუჩის შემავიწროებელი ფართის მონგრევა მოსთხოვა, სამაგიეროდ კი, ერთი სართულის დამატების ნებართვა მისცა. მეპატრონემ სართული ააშენა, ქუჩა კი ისევ ჩაკეტილი დარჩა. **"ერთხელ კიდევ გავაფრთხილოთ და, თუ ამ 6 მეტრს მაინც არ მოანგრევს, ბულდოზერით მივადგები",** – დაიმუქრა ჭიაბერაშვილი.

კომისია კანონმდებლობის შეცვლას ითხოვს. **"როცა უკანონოდ გაყიდულ მიწაზე მშენებლობა ჯერ არ დაწყებულა, პრობლემა იოლი მოსაგვარებელია, უკვე აშენებულის დანგრევა კი რთული პროცესია. მართალია, უკანონო მშენებლობების შემსწავლელ კომისიას უკანონოდ გაცემული ნორმატიული აქტების ბათილად ცნობის უფლება აქვს, მაგრამ აშენებულის დანგრევა გარკვეულ ხარჯებთან არის დაკავშირებული. კანონმდებლობით უნდა დადგინდეს, დანგრევის ხარჯები ვინ გადაიხადოს; შეიძლება, ჯარიმაც დავაწესოთ და როცა მშენებელი წესებს დაარღვევს, გადავახდევინოთ",** – აცხადებს მერი. აღნიშნული პრობლემის პარლამენტში მოგვარებაზე ზრუნვას კი მთაწმინდა-კრწანისის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი და უკანონო მშენებლობების შემსწავლელი კომისიის წევრი, გიგი წერეთელი გვპირდება.


# განცხადება

**საქრთველოს საბიუჯეტო-კვლევით დაწესებულებათა სახელმწიფო საატესტაციო კომისიისაგან**

კომისია აცნობებს საქართველოს საბიუჯეტო სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს, რომ "სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა ატესტაციის დებულების" შესაბამისად, დაიწყო საატესტაციო დოკუმენტაციის მიღება დებულების მე-5 და მე-6 მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შეიძლება საატესტაციო კომისიის სამდივნოში, რომელიც განთავსებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის შენობაში (რუსთაველის გამზირი, 52 მე-3 სართული, ოთახი 308; მიღება – ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 11-დან 14 საათამდე: ტელ: 99-86-28).

*საატესტაციო კომისია*


# კერძო პირის კერძო ინიციატივის ანატომია

*ამ რამდენიმე დღის წინათ საქართველოს უშიშროების სამინისტროს თანამშრომელი ნიკა კილაძე რამდენიმე ტაძარში მივიდა და სამი ცნობილი მღვდელი დაკითხა. ესენი იყვნენ - დეკანოზი თეიმურაზ ჩაჩიბაია, დეკანოზი დავით ისაკაძე და მღვდელი დავით ქვლივიძე. ამ ფაქტს გუშინ გამოეხმაურა წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის მართლმადიდებელი მრევლის კავშირი.*

ზაზა ფაჩუაშვილი

წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის მართლმადიდებელი მრევლის კავშირის თავმჯდომარე ავთანდილ უნგიაძე: "საქართველოში, ფაქტობრივად, დაიწყო მართლმადიდებელთა დევნა და ამაში ჩაერთო უშიშროების სამინისტროს ზოგიერთი წარმომადგენელი. ერთ-ერთი მათგანი ისე გაკადნიერდა, რომ, ყოველგვარი სანქციის გარეშე, დაკითხვა მოუწყო სასულიერო პირებს, პატიოსან მღვდლებს. დაიკითხნენ - დეკანოზი თეიმურაზ ჩაჩიბაია, დეკანოზი დავით ისაკაძე, მღვდელი დავით ქვლივიძე; უნდოდათ, ენახათ ავჭალის წმინდა ქეთევან წამებულის სახელობის ეკლესიის მღვდელი გიორგი რაზმაძეც. იგი ადგილზე არ დახვდათ და, შეიძლება ითქვას, ტაძარი გაჩხრიკეს. მათ არ აქვთ მსგავსი ქმედებების განხორციელების არავითარი საფუძველი, არავითარი საბაბი; თან ჭორებზე აგებულ კითხვებს სვამენ. ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ ეს არის კერძო პირების კერძო ინიციატივა და არ არის სახელმწიფოს პოზიცია, დამოკიდებულება ეკლესიისა და მის მსახურთა მიმართ".

ამ ფაქტთან დაკავშირებით ყოველგვარი კომენტარისაგან თავი შეიკავა თავად ნიკა კილაძემ. უშიშროების სამინისტროში კი ოფიციალურად განგვიცხდეს, რომ არავითარი დაკითხვა არ ყოფილა და არც არავის გაუგზავნია მღვდლებთან უშიშროების თანამშრომელი. ამის შემდეგ ძნელი სათქმელია, რასთან გვაქვს საქმე. თუ გავითვალისწინებთ უშიშროების თანამშრომლის მიერ დასმულ კითხვებს (მაგალითად, ხომ არ გაქვთ კავშირი სხვა ქვეყნების სპეცსამსახურებთან, ხომ არ გყავთ შეიარაღებული ფორმირება და ა.შ.), ეს არ იყო უბრალოდ საუბარი და, მით უმეტეს - აღსარება. როგორც "კავშირის" წარმომადგენლები ამბობენ, საქმე გვაქვს პატიოსანი მღვდლების დაშინების მცდელობასთან.

სამწუხაროდ, სამაჩაბლოში შექმნილი ვითარების გამო, უშიშროების სამინისტროს ხელმძღვანელობასთან საუბარი ვერ მოხერხდა, თორემ კითხვები ასე უპასუხოდ, ალბათ, არ დაგვრჩებოდა. იგივე მიზეზით, "კავშირის" მიერ დაგეგმილი პრესკონფერენცია ძალიან მალე დასრულდა. გამოითქვა სურვილი და მზადყოფნა იმისათვის, რომ ხსენებული მღვდლები და მრევლი სამაჩაბლოში ღვთისმსახურების ჩასატარებლად ჩავიდნენ.

# სატყეო დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე წყნეთის მიწების გასხვისებას შეეწირა

სოფიკო ჩხაიძე

*საქართველოს სატყეო დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარის გივი ჯაფარიძის დაპატიმრება გენერალურ პროკურატურას ცოტა რომ შეაგვიანდა, ფაქტია – ახლა მისი ციხეში ჩასმა აქტუალურიც კი აღარ არის – გაფუჭება აღარაფრის შეუძლია. ცხადია, მისი დაკავება საქართველოს ბიუჯეტის რამდენიმე ასეული ათასი ლარით შევსებამდე გაგრძელდება. ეგ არის და ეგ. გენერალური პროკურატურის მაღალჩინოსნებს კი, რომლებმაც თავის დროზე, როცა ჯაფარიძეს ჯერ კიდევ მაღალი თანამდებობა ეკავა, წყნეთის მიწის ნაკვეთების უკანონო გასხვისებაში დანაშაულის ნიშნები "ვერ" აღმოაჩინეს, სავარაუდოდ, პასუხს არავინ მოსთხოვს. არადა, სწორედ მათ მიერ დანაშაულად არმიჩნეული ფაქტების გამო დააპატიმრეს გუშინწინ ღამით საქართველოს სატყეო დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე.*



მარიკა ამურველაშვილის ფოტო

*საქართველოს სატყეო დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარის გივი ჯაფარიძის დაპატიმრება გენერალურ პროკურატურას ცოტა რომ შეაგვიანდა, ფაქტია - ახლა მისი ციხეში ჩასმა აქტუალურიც კი აღარ არის, გაფუჭება აღარაფრის შეუძლია.*

საქართველოს სატყეო დეპარტამენტში არსებულ განუკითხაობაზე მითქმა-მოთქმა, მერე კი სამართლებრივი ბერკეტების ამუშავება 2000 წლიდან დაიწყო. ძირითადად, საუბარი მაშინაც სწორედ წყნეთის მიწების გასხვისებას ეხებოდა და ამ საქმეში უშუალოდ იყო ჩართული თბილისის სატყეო მეურნეობის უფროსი შოთა მეფარიძე. ამ საქმეში მაშინ საკრებულოს თავმჯდომარედ ახალარჩეული მიხეილ სააკაშვილი გახლდათ ჩართული და ყველას ახსოვს მისი ხმაურიანი ვიზიტები წყნეთში, როცა ის წყნეთის მიწების უკანონო გასხვისებას ედავებოდა შოთა მეფარიძეს, ეს უკანასკნელი კი თოფით ხელში მოსდევდა ამჟამინდელ პრეზიდენტს. სააკაშვილის ენერგია მაშინ უქმად არ დახარჯულა და მეფარიძეც თავის თანამდებობას გამოემშვიდობა. გარკვეული პერიოდის შემდეგ, უკვე საქართველოს ანტიკორუფციული ბიუროს რეკომენდაციის საფუძველზე დატოვა პოსტი გივი ჯაფარიძემაც. თუმცა, მანამდე, მის თანამდებობიდან გათავისუფლებას წინ უსწრებდა ანტიკორუფციულის მიერ გენერალურ პროკურატურაში წყნეთში მიმდინარე უკანონო მშენებლობების ამსახველი მასალების გაგზავნა. თუმცა, გენერალური პროკურატურის პასუხი მაშინ ცალსახა გახლდათ – მოკვლეულ მასალებში დანაშაულის ნიშნები აღმოჩენილი არ არის, შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმეც არ აღიძვრება. მიუხედავად ამისა, იმ მასალების დამუშავების საფუძველზე ერთხელ უკვე დააკავეს შოთა მეფარიძე და იგი პატიმრობიდან მხოლოდ მას შემდეგ გაათავისუფლეს, რაც საქართველოს ბიუჯეტის სასარგებლოდ 100 ათასი ლარი გაიღო. იგივე მასალები იქცა გუშინწინ გივი ჯაფარიძის დაკავების საფუძვლად.

გენერალური პროკურორის მოადგილის კახა კობერიძის განცხადებით, ჯაფარიძე გუშინწინ ღამით, საკუთარ სახლში დააკავეს. გუშინ კი მას ბრალი წაუყენეს სისხლის სამართლის კოდექსის 372-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, რაც თანამდებობის ბოროტად გამოყენებას გულისხმობს. უფრო კონკრეტულად, კობერიძის თქმით, გივი ჯაფარიძის დანაშაული იმაში მდგომარეობს, რომ მან დაბა წყნეთში 200 ჰექტარი მიწის ფართობი უკანონოდ, დანაშაულებრივი გზით გაასხვისა და ამით სახელმწიფო ბიუჯეტს 180 ათასი ლარის ზარალი მიაყენა, რისთვისაც მას 3-დან 8 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

გუშინ, სპეციალურად ჯაფარიძის დაკავებისთვის მიძღვნილ პრესკონფერენციაზე კახა კობერიძემ განაცხადა, რომ სატყეო დეპარტამენტის ყოფილმა ხელმძღვანელმა თავის ცალკეულ ქვეშევრდომებთან ერთად, ყალბი დოკუმენტების შედგენისა და გამოყენების გზით, უკანონოდ გაასხვისა დაბა წყნეთში მდებარე სახელმწიფო ფონდის კუთვნილი, ხელოვნურად განაშენიანებული მიწის ნაკვეთები, რომლის გაყიდვის შედეგად მიღებული თანხები მისმა თანამზრახველმა დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა გადაინაწილეს. თანამზრახველთა შორის გენპროკურატურა კვლავაც ასახელებს შოთა მეფარიძეს და ვინმე მათიაშვილს.

ამასთანავე, კახა კობერიძის განცხადებით, ბიუჯეტისთვის მიყენებული ზარალის დასახელებული ოდენობა მხოლოდ ნაწილია ჯაფარიძის მიერ ჩადენილ დანაშაულთა შორის და არსებობს ოპერატიული მონაცემები, რომლის საფუძველზეც მის მიერ სახელმწიფოსთვის მიყენებული ზარალის ოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება.

**"სატყეო დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარის ბინაში ჩატარდა ჩხრეკა, რომლის შედეგადაც ბინიდან ამოღებულია მნიშვნელოვანი საბუთები, მათ შორის - ნათესავების სახელზე გაფორმებული 4 საცხოვრებელი ბინის დოკუმენტაცია, რომელიც ქალაქის სხვადასხვა პრესტიჟულ ადგილებში მდებარეობს. ეჭვი გვაქვს, რომ ეს ბინები გივი ჯაფარიძეს ეკუთვნის,"** - განაცხადა კახა კობერიძემ.

მისივე თქმით, ამას გარდა, ამოღებულია დოკუმენტაცია, რომელიც მთელი რიგი არასაცხოვრებელი ობიექტების ჯაფარიძის და მისი ახლო ნათესავების პირად საკუთრებაში ქონას ადასტურებს. გამოძიება ეჭვობს, რომ ეს ქონება დაუსაბუთებელია. ამ ეჭვის დადასტურების შემთხვევაში, ცხადია, ქონება ჩამორთმევას დაექვემდებარება.

# „თაიმის" ჟურნალისტს წყაროს გაუმჟღავნებლობისთვის პატიმრობა ელის

ამერიკული პოლიტიკური ყოველკვირეული ჟურნალის "თაიმის" ვაშინგტონელი კორესპონდენტი მეტიუ კუპერი, სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, ციხეში ჩაჯდება და ყოველდღიურად გადაიხდის ჯარიმას ათასი დოლარის ოდენობით. ეს მანამდე, სანამ იგი პროკურატურას ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის იმ თანამშრომლის ვინაობას არ აცნობებს, რომელიც მას კულუარულ ინფორმაციას აწვდის.

საოლქო მოსამართლის თომას ჰოგანის გადაწყვეტილება ვაშინგტონში უკვე გამოქვეყნდა. ამ გადაწყვეტილების თანახმად, კუპერიცა და "თაიმის" ხელმძღვანელობაც "სასამართლოსადმი უპატივცემულობაში" არიან დადანაშაულებულნი.

ცხადია, ჟურნალისტმაც და ჟურნალის გამომცემლებმაც სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრეს და მათი აპელაციის განხილვამდე პატიმრობისა და ჯარიმის გადახდის სანქცია ძალაში არ შევა.

ამერიკის იუსტიციის სამინისტროსა და პროკურატურის თანამშრომლებისგან შემდგარი სპეციალური საგამოძიებო ჯგუფი უკვე რამდენიმე თვეა ცდილობს, კუპერისგან მიიღოს ჩვენება, საინფორმაციო საშუალებებში ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის ოფიცრის ვალერი პლეიმის გასაიდუმლოებული პიროვნების სკანდალური გამჟღავნების შესახებ.

გამომძიებლები ეჭვობენ, რომ აგენტის გამოაშკარავება ორგანიზებული იყო პრეზიდენტის ადმინისტრაციის რომელიმე თანამშრომლის მიერ. ამიტომ, ისინი იუსტიციის მინისტრისა და გენპროკურორის პირადი ბრძანების საფუძველზე დაკითხვებს აწარმოებენ არა მარტო ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, არამედ იმ ჟურნალისტებს შორისაც, რომლებიც თეთრ სახლში მიმდინარე მოვლენებს აშუქებენ.

ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობის მიხედვით, ცენტრალური სადაზვერვო ბიუროს თანამშრომლის ვინაობის გამჟღავნება ფედერალურ დანაშაულად ითვლება და ისჯება 10 წლამდე პატიმრობით.

რაც შეეხება კუპერს, ის ჩვენების მიცემაზე კატეგორიულ უარს ამბობს და არგუმენტად მოჰყავს ჟურნალისტის უფლება, ინფორმაციის წყაროს ვინაობა საიდუმლოდ შეინახოს.

## მოკლედ

# ურჩი კაპიტანი კვლავ დაკავებულია

სანაპირო დაცვის ფოთის დივიზიონის საპატრულო კატარღებმა საქართველოს ტერიტორიული წყლების აფხაზეთის მონაკვეთში, ნაოსნობისთვის დახურულ ოჩამჩირის რაიონის გაგიდის ზონაში თურქეთის მშრალტვირთმზიდი გემი "ერთუგი" დააკავეს.

გემი, ტვირთის გარეშე, ფოთიდან ნოვოროსიისკის მიმართულებით მიდიოდა, თუმცა გეზი აფხაზეთისკენ აიღო. გემის კაპიტნის ახსნა-განმარტების თანახმად, მათ კურსი ცუდი ხილვადობის გამო აერიათ, თუმცა, ქართული მხარის განცხადებით, ისინი ფლობდნენ ინფორმაციას, რომ გემი ოჩამჩირეში აპირებდა შესვლას.

ქართველი მესაზღვრეების მიერ გემი ბადრაგირებულ იქნა ფოთში, თუმცა 4-ბალიანი შტორმის გამო, დაკავებული გემის ფოთის ბაზამდე მიყვანა გაჭირდა.

თურქულ გემზე ეკიპაჟის 8 წევრია. ქართული მხარე თურქეთის გემს ნაოსნობის წესების დარღვევაში ადანაშაულებს და ჯარიმას 50 ათასი ლარის ოდენობით აწესებს. აღსანიშნავია ისიც, რომ "ერთუგის" კაპიტანია თურქული სეინერის "სელიმ-1"-ის ყოფილი კაპიტანი, რომელიც ქართველმა მესაზღვრეებმა ორი წლის წინ დააკავეს ნაოსნობის წესების დარღვევისათვის.

*ინტერ-პრესი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კომისიის თხოვნით, საქართველოს გენერალური პროკურატურა გურიის რეგიონში ე.წ. შავი არქეოლოგიით დაინტერესდა. „ეს არის პირველი შემთხვევა, როცა მეცნიერებათა აკადემიის თხოვნით, გენერალურმა პროკურატურამ ოზურგეთსა და ლანჩხუთის რაიონებში ადგილობრივ პროკურატურებს „შავ არქეოლოგიასთან" დაკავშირებული საკითხების გამოძიება დაავალა," - განაცხადა მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, არქეოლოგიური კომისიის თავმჯდომარემ ანდრია აფაქიძემ და დასძინა, რომ გარდა გურიისა, ფაქტობრივად, არაფერი შეცვლილა სოფელ ულიანოვკაში (კახეთი), სადაც ზოგიერთ მოსახლეს ადგილზე აღმოჩენილი არქეოლოგიური ნივთები გასაყიდად ეზოებში აქვს გამოფენილი. მეცნიერებს იმედი აქვთ, რომ გენერალური პროკურატურა შესაბამის ღონისძიებებს გაატარებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**სენაკი.** სენაკის რაიონის სოფელ თეკლათში, ავტომანქანა „ბმვ", რომელსაც ზუგდიდში მცხოვრები, 24 წლის კახა ფიფია მართავდა, ხეს დაეჯახა, რის შედეგად ფიფია და მგზავრი, ზუგდიდში მცხოვრები, 27 წლის ანა ცაავა ადგილზე გარდაიცვალნენ, ხოლო ორი მგზავრი სხეულის დაზიანებით საავადმყოფოშია მოთავსებული. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დააკავეს გარდაბნის რაიონის სოფელ ახალ სამგორში მცხოვრები, ყაჩაღობისათვის ნასამართლევი, 26 წლის მამუკა წიკლაური, რომლისგანაც ამოიღეს 7 გრამი მარიხუანა. გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად დადგინდა, რომ წიკლაური 16 ივლისს, სხვა პირებთან ერთად, ყაჩაღურად თავს დაესხა შპს "ვაზიანის" გაჯის ქარხანას, ხოლო 20 ივლისს ყაჩაღურად თავს დაესხა რუსთავში, ზედგენიძის ქუჩაზე მცხოვრებ ჰამლეტ ნასიბოვის ოჯახს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს თბილისში, პოლიციის თანამშრომლების სახელით მოქმედი, მოქალაქეთა ძარცვებში სპეციალიზებული ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის ერთ-ერთი აქტიური წევრი, ამირეჯიბის ქუჩაზე მცხოვრები, 30 წლის ლევან კიკაბიძე, რომელმაც მიმალვაში მყოფ, ნასამართლევ, 36 წლის ალექსანდრე მაჩურიძესთან, მეტსახელად "კრასავჩიკა" და გიორგი თამაზაშვილთან ერთად, 9 აგვისტოს, მეტროს სადგურ "ისნის" მიმდებარე ტერიტორიაზე პოლიციის თანამშრომლების სახელით დააკავა და გაძარცვა ბზიფის ქუჩაზე მცხოვრები, 22 წლის თამაზ ალიაშვილი. მას ფული და მობილური ტელეფონი გასტაცეს. იმავე დღეს, მათ იგივე მეთოდით დააკავეს და გაძარცვეს სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბისხევში მცხოვრები, 23 წლის ილია მეჭურჭლიშვილი, რომელსაც გასტაცეს ფული და მობილური ტელეფონი. 10 აგვისტოს ჯავახეთის ქუჩაზე დააკავეს და გაძარცვეს ვაზისუბნის მე-4 მიკრორაიონში მცხოვრები ვასილ ალელიშვილი, რომელსაც გასტაცეს 70 ლარი და 30 აშშ დოლარი. იმავე დღეს, ჯავახეთის ქუჩაზე დააკავეს და გაძარცვეს ვაზისუბნის მე-2 მიკრორაიონში მცხოვრები, 25 წლის გიორგი ნორაკიძე, რომელსაც გასტაცეს ფული (რაოდენობა დგინდება). **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დააკავეს ზესტაფონის რაიონის სოფელ პირველ სვირში მცხოვრები, 30 წლის გიული მესხიშვილი და სოფ. მეორე სვირში მცხოვრები, 24 წლის ალეკო ჯაჭვლიანი, რომლებიც 10 აგვისტოს პირველ სვირში ყაჩაღურად თავს დაესხნენ სოფელ ფუთში მცხოვრებ, 26 წლის ზურაბ სარალიძესა და სოფ. თვრინში მცხოვრებ, 26 წლის მალხაზ კვანტრიშვილს. მათ გადაჭრილი თოფის მუქარით გასტაცეს მობილური ტელეფონი და 100 ლარი. უნომრო გადაჭრილი თოფი ამოღებულია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დააკავეს ტყიბულში მცხოვრები, 34 წლის კახაბერ ქათამაძე, 26 წლის დავით ბოჭორიშვილი და ნასამართლევი, 21 წლის ვარლამ ბოჭორიშვილი, რომლებიც 10 აგვისტოს სოფელ ძევრში, ცენტრალურ მაგისტრალზე, ყაჩაღურად თავს დაესხნენ შპს "არდის" კუთვნილ ავტომანქანას "ივეკო", რომლის მძღოლს, 26 წლის სიმონ ჩიქოვანს გადაჭრილი სანადირო თოფის მუქარით 700 ლარი გასტაცეს. ფული და თოფი "ტულა" ამოღებულია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ახალციხის რაიონის სოფელ ივლიტასთან, ავტომანქანა "ფორდ-ტრანზიტი", რომელსაც მართავდა ვალეში მცხოვრები, 33 წლის ტრისტან გოზალიშვილი, შეეჯახა ავტომანქანას "ვაზ--2106", რომელსაც მართავდა საჩხერის რაიონის სოფ. ჩიხაში მცხოვრები, 22 წლის მამუკა მამულაშვილი, რის შედეგადაც მამულაშვილი და მისი მგზავრი, ახალციხეში მცხოვრები, 30 წლის გულნარა ჯანხოთელი ადგილზე გარდაიცვალნენ, ხოლო "ფორდ-ტრანზიტის" ერთმა და "ვაზ"-2106-ის ოთხმა მგზავრმა სხეულის დაზიანებები მიიღო. გოზალიშვილი გათავისუფლებულია ხელწერილით. **მედია-ნიუსი**

# სამეგრელოში ადამიანის გატაცებებს ქართულ-აფხაზური დაჯგუფებები უდგანან სათავეში

ზედიზედ უკვე მეორედ ჩაიშალა ჭუბურხინჯის ტრადიციული ოთხმხრივი შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც ქართულ-აფხაზურ კონფლიქტსა და მის მოგვარებაში ჩართული მხარეების წარმომადგენლებისგან შემდგარი ოთხმხრივი საგამოძიებო კომისია ყოველ ხუთშაბათს კონფლიქტის ზონაში შექმნილ პრობლემებს განიხილავდა. ჭუბურხინჯში აფხაზური მხარის წარმომადგენლები არც გასულ ხუთშაბათს ჩასულან და არც გუშინ. მათი გამოუცხადებლობის მიზეზი ცნობილია - ორი კვირის წინ, ქართველი მესაზღვრეების მიერ აფხაზეთის ტერიტორიულ წყლებში დროშის გარეშე მცურავი გემისთვის ცეცხლის გახსნის შემდეგ, სოხუმის დე ფაქტო ხელისუფლების პრემიერ-მინისტრმა რაულ ხაჯიმბამ განაცხადა, რომ აფხაზური მხარე ყოველგვარ მოლაპარაკებათა პროცესს წყვეტს.

სამაგიეროდ, უცნობია ჭუბურხინჯის შეხვედრაზე რუსი სამშვიდობოების წარმომადგენლების გამოუცხადებლობის მიზეზი – გასულ ხუთშაბათს ისინი ჩვეულებრივ მივიდნენ შეხვედრაზე, გუშინ კი ქართული მხარისა და გაერო-ს წარმომადგენლებს ჭუბურხინჯში არც ისინი შეხვედრიან.

ოთხმხრივი საგამოძიებო ჯგუფის წევრის, სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურორის მოადგილის მებრძოლი ჭკადუას განცხადებით: **"ჩვენ ვიცოდით, რომ აფხაზები შეხვედრაზე მოსვლას არ გეგმავდნენ, მაგრამ მაინც წავედით ჭუბურხინჯში. ჯერ ერთი, ჩვენი ვალი მოვიხადეთ, მეორეც – შეხვედრის ჩაშლა ჩვენ არ უნდა დაგვბრალებოდა."**

საგამოძიებო კომისიის სხდომაზე განსახილველ საკითხთა ნუსხა კი დღითიდღე იზრდება. მებრძოლი ჭკადუა მათ შორის ცოლ-ქმარ ალფენიძეების და ბიზნესმენ შალვა ფონიას გატაცებასა და სოხუმიდან ვინმე ჩხეტიანის გვამის ჩამოსვენებას გამოყოფს.

ჩხეტიანი აფხაზებმა 2002 წელს, გელაევის ცნობილი ოპერაციის დროს, ჩეჩნებთან ერთად დააკავეს. სავარაუდოდ, იგი გელაევის რაზმის მეგზური იყო. ჩხეტიანი აფხაზებმა გაასამართლეს და მას შემდეგ სოხუმის ციხეში ჰყავდათ გამოკეტილი. ამ ცოტა ხნის წინ კი მისი გვამი ჩამოასვენეს. სამეგრელო-ზემო სვანეთის პროკურორის მოადგილის თქმით, მისი გარდაცვალების მიზეზები აფხაზურ მხარესთან გასარკვევია.

**"გვამს ძალადობის კვალი არ აღენიშნება. ახლა ჩვენც უნდა ჩავუტაროთ ექსპერტიზა და აფხაზებისგანაც ახსნა-განმარტებას ველით,"** - აღნიშნავს ჭკადუა.

რაც შეეხება ალფენიძეებს, ისინი დაახლოებით ერთი თვის წინ, გალის რაიონის ტერიტორიიდან გაიტაცეს და მათ შესახებ მას შემდეგ არაფერია ცნობილია. სხვაგვარად ვითარდება მოვლენები ზუგდიდის კრიმინალური პოლიციის ყოფილი უფროსის, აფხაზების მიერ მოკლული ბეგლარ ფონიას ძმის, შალვა ფონიას ირგვლივ. შეგახსენებთ, რომ იგი 6 ივლისს, ახალსოფლიდან გაიტაცეს.

"მერსედესის" მარკის ავტომანქანა, რომელიც შალვა ფონიას ეკუთვნოდა, შემთხვევით გამვლელებმა უკაცრიელ ადგილზე, უპატრონოდ მიტოვებული ნახეს. მოგვიანებით, მანქანიდან ოდნავ მოშორებით, შემთხვევის ადგილზე მისულმა სამართალდამცველებმა ბუჩქებში "აკაესის" სისტემის ავტომატის სამი ცალი საბრძოლო მჭიდი იპოვეს. ასევე შემჩნეულია სისხლის კვალი.

როგორც ამბობენ, შალვა ფონია ბენზინის ბიზნესში იყო ჩართული და ზუგდიდში რამდენიმე ბენზინგასამართი სადგურიც ჰქონდა.

აქამდე ფონიას ადგილსამყოფელის შესახებ მხოლოდ ვერსიები ვრცელდებოდა, რომელთა თანახმადაც, გატაცებული აფხაზეთის ტერიტორიაზე გადაიყვანეს. თუმცა, ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ამ დღეებში ფონიას ოჯახის წევრებს გამტაცებლები დაუკავშირდნენ და მათგან საკმაოდ სოლიდური გამოსასყიდი თანხა მოითხოვეს. თუმცა, ამ ინფორმაციის ოფიციალურად დადასტურება სამართალდამცველ სტრუქტურებს უჭირთ. მებრძოლი ჭკადუას თქმით, მათთვის ამის შესახებ ოფიციალურად არავის უცნობებია.

ასევე უცნობია ფონიას გამტაცებელთა ვინაობა. ჭკადუას თქმით, გამოძიებას არავითარი ხელმოსაჭიდი ფაქტები ამასთან დაკავშირებით არ აქვს. თუმცა, სავარაუდოდ, ქართულ-აფხაზური კრიმინალური დაჯგუფებების თემა ამ შემთხვევაშიც აქტუალურია. არავისთვის არის საიდუმლო, რომ დაპირისპირებული მხარეების დანაშაულებრივი სამყაროს წარმომადგენლები უფრო ადვილად პოულობენ საერთო ენას, ვიდრე პოლიტიკოსები და სამართალდამცველთა მხრიდანაც არაერთხელ გაჟღერებულა, რომ ქართველი და აფხაზი კრიმინალები ნაყოფიერად "თანამშრომლობენ" - ზუგდიდის რაიონის ტერიტორიაზე გატაცებულებს აფხაზებს გადასცემენ. მსგავსი შემთხვევა დაფიქსირდა, დაახლოებით, ერთი თვის წინ როლანდ ჩანგელიას გატაცებასთან დაკავშირებით. ჩანგელიას გამტაცებელთა ჯგუფის ქართული მხარის ორი წარმომადგენელი, მებრძოლი ჭკადუას თქმით, ახლა სასჯელს იხდის. თუმცა, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ამით პრობლემა არ ამოწურულა. მეტიც, სერიოზული ინფორმაცია არსებობს, სამართალდამცველთა შორის ამ დაჯგუფებების მფარველების შესახებ, თუმცა, ამგვარი ინფორმაციის გახმაურებას ამ ეტაპზე ყველა ერიდება.

*24 საათი*

# რუსეთში რასობრივ ნიადაგზე მკვლელობის ჩამდენთ ასამართლებენ

გუშინ ქალაქ ვორონეჟში დაიწყო სასამართლო პროცესი, რომელიც ქვეყნის ისტორიაში პირველად, რასობრივი სიძულვილის ნიადაგზე მკვლელობის საქმეს განიხილავს.

სამ ახალგაზრდას ბრალი ედება 21 თებერვალს, ვორონეჟის ცენტრში მდებარე სამედიცინო აკადემიის საერთო საცხოვრებლის მახლობლად გვინეა-ბისაუს მოქალაქის ამარუ ანტონიუ ლიმას მკვლელობაში. აფრიკელის მკვლელობამ უცხოელი სტუდენტების პროტესტის ტალღის აგორება გამოიწვია. ისინი ერთი კვირის მანძილზე გაფიცულნი იყვნენ და უსაფრთხოების გარანტიებს ითხოვდნენ.

მკვლელობის საქმე საოლქო პროკურატურამ გამოიძია და 17 მარტს დააკავეს კიდეც სამი ეჭვმიტანილი – 17 წლის სტუდენტი და 20-22 წლის მუშები, რომლებიც, გამომძიებელთა თქმით, თავის დროზე პარტიის "რუსეთის ნაციონალური ერთიანობის" წევრები იყვნენ. გამოძიება ივნისში დასრულდა. გარდა ამისა, გამოძიების პროცესში სამივე ბრალდებულის ბინებში ჩატარებული ჩხრეკისას რასისტული ლიტერატურა აღმოაჩინეს.

მკვლელობის გამოძიება ივნისში დასრულდა და სამივე ახალგაზრდას რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში ედება ბრალი, რომელიც რასობრივ და ეროვნულ ნიადაგზე მკვლელობას გულისხმობს. თუ სასამართლომ ისინი დამნაშავედ სცნო, სამივეს სამუდამო პატიმრობა ემუქრება.

გამოძიების პროცესში სამივე ბრალდებულმა მხოლოდ ნაწილობრივ სცნო თავი დამნაშავედ. გუშინ კი, სასამართლოს პირველ სხდომაზე ერთ-ერთმა ლიმას მკვლელობა აღიარა, თუმცა განაცხადა, რომ აფრიკელი რასობრივ კი არა, პირადი კონფლიქტის ნიადაგზე მოკლა. მაგრამ მკვლელობის კონკრეტული მოტივი მას არ დაუსახელებია.

# ამონარიდები საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ზვიად გამსახურდიას გამოსვლიდან

...ჩვენს წინასაარჩევნო პროგრამებში, ხაზგასმით იქნა აღნიშნული საქართველოში არსებულ ეროვნულ უმცირესობათა ავტონომიების შენარჩუნების საჭიროება, მიუხედაად იმისა, რომ ეს ავტონომიები ჩამოყალიბდა ბოლშევიკური ანექსიის შემდგომ ქართველი ერის ინტერესების საწინააღმდეგოდ და გარკვეული გაგებით არღვევდა სწორედ ერთა შორის თანასწორობის პრინციპს. ჩვენი ამგვარი პოზიცია მიზნად ისახავდა ერთაშორისი ურთიერთობების მშვიდობიანად განვითარებას, საკონფლიქტო საკითხების მოლაპარაკების გზით მოგვარებას, სამოქალაქო მშვიდობისა და სტაბილიზაციის პროცესისათვის ხელშეწყობას საქართველოში.

თუმცა, სამწუხაროდ, საქართველოში მცხოვრები ზოგი ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებმა აქედან ვერ გააკეთეს სათანადო დასკვნები. თქვენ მოგეხსენებათ, რომ უკანასკნელ ხანებში, ისტორიულ შიდა ქართლში, ანუ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში სეპარატისტულმა მოძრაობამ კულმინაციას მიაღწია.

...ჩვენ ვაღიარებთ ოსი ხალხის, ისევე როგორც სხვადასხვა ხალხის უფლებას თვითგამორკვევისას და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის შექმნისას, მაგრამ ეს უნდა განხორციელდეს მათ ისტორიულ სამშობლოში, დღევანდელ ჩრდილოეთ ოსეთში და არა საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც მათ მიტაცებული აქვთ და, რომელიც წარმოადგენს სუვერენული საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილს.

დღეს ოსი სეპარატისტები ცდილობენ, მოსწყვიტონ საქართველოს მისი შუაგული, ქართველი ხალხს მატერიალური და სულიერი კულტურის ისტორიული კერა, და, თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციის საბაბით, ქმნიან ე.წ. "სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკას". თანაც გვარწმუნებენ, რომ ეს გეგმა არაფრით არ ემუქრება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობას.

მაგრამ საკმარისია გავეცნოთ 1990 წლის 20 სექტემბრის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს მიერ მიღებულ დეკლარაციას "სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტის შესახებ", რომ აშკარა გახდეს - იქმნება დამოუკიდებელი პოლიტიკური წარმონაქმნი.

მიუხედავად საქართველოს უზენაესი საბჭოს მხრივ არაერთგზის გაფრთხილებისა, როგორც სიტყვიერად, ასევე წერილობით, ეს "დეკლარაცია" ცნობს "ოსი ხალხის თავისუფალი თვითგამორკვევის ხელშეუვალ უფლებას" და აცხადებს ავტონომიურ ოლქს "ოსი ხალხის სახელმწიფოებრიობის ფორმად" (?), რომლის "შემდგომი განვითარების ბუნებრივი და აუცილებელი პირობაა სრული დამოუკიდებლობა (?) ყველა პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკური საკითხის გადაჭრაში იმათი გამორიცხვით, რომლებიც მის მიერ ნებაყოფლობით (?) გადაეცემა საქართველოს სსრ და სსრ კავშირის გამგებლობაში მათთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, ნებისმიერი მოქმედება სამხრეთ ოსეთის ეროვნული სახელმწიფოებრიობის (?) წინააღმდეგ... დაისჯება კანონით." სამხრეთ ოსეთში მცხოვრები მოქალაქეები" ..."სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელია თავის საგარეო და საშინაო საქმეების გადაჭრაში, ხოლო სამხრეთ ოსეთის ხალხის ნების უზენაესობა (?) განსაზღვრულია სამხრეთ ოსეთის კანონებში..." ..."სამხრეთ ოსეთის ფარგლებში არსებული ყველა ბუნებრივი რესურსები" ცხადდება "მისი ხალხის საკუთრებად" (?), იგი შეადგენს "სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტის (?) მატერიალურ საფუძველს", "სამხრეთ ოსეთი" ცხადდება "საკავშირო ხელშკრულების და საერთაშორისო სამართლის სუბიექტად" (?), რომელიც "დამოუკიდებლად (?) ახორციელებს საგარეო ურთიერთობას ფედერაციის სხვა სუბიექტებთან და სახელმწიფოებთან".

...უფრო მეტიც, ამავე დროს მიღებული იქნა გადაწყვეტილება "ავტონომიური ოლქის სამხრეთ ოსეთის დემოკრატიულ რესპუბლიკად გარდაქმნის" შესახებ.

ეს აქტები გაბათილებულ იქნა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ (1990 წლის 21 სექტემბრის დადგენილებით), მაგრამ ა/წლის 16 ოქტომბერს ეს დადგენილება არა მარტო უარყოფილ იქნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს მიერ, არამედ შეიქმნა რესპუბლიკის აღმასრულებელი კომიტეტი და დაინიშნა არჩევნები ე.წ. "სამხრეთ ოსეთის" ამჯერად "საბჭოთა რესპუბლიკის" უზენაეს საბჭოში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 22 ნოემბერს გააუქმა ეს დადგენილებები და გააფრთხილა ამ აქციის ჩამდენები, რომ მათ ამ მოქმედებისათვის. სრული პასუხისმგებლობა დაეკისრებოდათ, არჩევნები მაინც ჩატარდა 9 დეკემბერს.

საქართველოს მთავრობის ყველა ცდა, შეეწყვიტა ეს ანტიკონსტიტუციური ქმედება მშვიდობიანი, ურთიერთმოლაპარაკების საშუალებით, უშედეგო აღმოჩნდა. თვითმარქვია ხელისუფლების მესვეურები განსაცვიფრებელი ცინიზმითა და უტიფრობით პასუხობდნენ ყოველ ასეთ წინადადებაზე, შეეწყვიტათ თავისი უკანონო საქმიანობა.

ასეა თუ ისე, 9 დეკემბერს ჩატარდა ანტიკონსტიტუციური არჩევნები, რომელშიც თვითმარქვია ხელისუფლების ინფორმაციით მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 71 პროცენტმა, თუმცა ვინ არის ამის შემმოწმებელი?

ამგვარად, კონფლიქტის მოწესრიგება მშვიდობიანი საშუალებებით ვერ მოხერხდა და დღეს ჩვენ ვდგავართ ფაქტის წინაშე - საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეიქმნა დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული, რომელიც არ ცნობს რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაესობას და ხელყოფს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას.

**კონფლიქტის მოწესრიგება მშვიდობიანი საშუალებებით ვერ მოხერხდა და დღეს ჩვენ ვდგავართ ფაქტის წინაშე - საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეიქმნა დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული, რომელიც არ ცნობს რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაესობას და ხელყოფს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას.**

...თუ დავეყრდნობით იმ ფაქტს, რომ საქართველო დაპყრობილ იქნა სამხედრო ინტერვენციისა და ოკუპაციის შედეგად, ხოლო საბჭოთა ხელისუფლება ძალმომრეობით დაარსდა, ჩვენ დღესვე შეგვიძლია უარვყოთ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში თვითმარქვია ერთეულის შექმნასთან დაკავშირებით არსებული ყველა იურიდიული ძალა, და ამით დავამთავროთ.

მაგრამ გამოვდივართ რა პოლიტიკური და სამართლებრივი რეალიებიდან, ვეყრდნობით რა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ გამოცხადებულ სრული დამოუკიდებლობის მოპოვებამდე გარდამავალი პერიოდით ნაკარნახევ ამოცანებს, საჭიროდ მიგვაჩნია, განვიხილოთ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსთან დაკავშირებული საკითხები სწორედ საბჭოთა კანონმდებლობის მიხედვით, რადგანაც ვიცით, რომ ჩვენი ოპონენტები ამ აქტებით შეიარაღებული შემოგვიტევენ.

...1920 წლის 8 მაისს სოფელ როკში გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება, ხოლო საბჭოთა ოსეთი რსფსრ-ს შემადგენელ ნაწილად. აჯანყებულებს დახმარება გაუწიეს ჩრდილოეთ ოსეთიდან, აჯანყებულ სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ გაილაშქრა საქართველოს მთავრობამ.

საყურადღებოა რსფსრ-ის საგარეო საქმეთა სამხედრო კომისრის გ. ჩიჩერინის 1920 წლის 20 მაისის ნოტა საქართველოს მთავრობისადმი, სადაც "მტკიცედ ითხოვენ, გაიწვიონ ქართული ჯარები ოსეთიდან, ვინაიდან გაუმართლებლად მიიჩნევენ საქართველოს ჩარევას ოსეთის საქმეებში და ატოლებენ მას უცხოთა საქმეში ჩარევას".

ამ ნოტაზე ჩიჩერინს გაეცა დამაჯერებელი პასუხი: "საქართველოს მთავრობა უაღრესად შეცბუნებულია თქვენი ნოტის იმ ნაწილით, რომელშიც ლაპარაკია საქართველოს მთარვობის განზრახვაზე, იარაღის ძალით ჩაახშოს სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკა. ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია, მივაქციოთ თქვენი ყურადღება იმაზე, რომ საქართველოს ფარგლებში სახმრეთ ოსეთი არ არსებობს, არამედ საქართველოს ფარგლებში არსებობენ ოსური სოფლები, რომლებიც მდებარეობენ თბილისის გუბერნიის გორის მაზრაში, ეს სოფლები შეადგენენ საქართველოს უდაო ტერიტორიას, რომ ეს ტერიტორია ხელშეკრულებით (იგულისხმება 1920 წლის 7 მაისის დადგენილება) შედის საქართველოს საზღვრებში და იქ სხვა ხელისუფლება, გარდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებისა, დაუშვებელია".

**სამხრეთ ოსეთის კონფლიქტი გასცდა ლოკალურ ფარგლებს, და უკვე აშკარა ხდება, რომ საფრთხეს უქმნის ქართველი ხალხის საერთო ეროვნულ ინტერესებს. ეს გარემოება სერიოზულად აფიქრებს ყოველ ქართველს. ბუნებრივია, იგი აწუხებს აგრეთვე საქართველოში მოსახლე ყველა ეროვნებას.**

1920 წლის 12 ივნისს აჯანყება დამარცხდა, მაგრამ ფაქტები მოწმობს, რომ დემოკრატიული საქართველოს მთავრობა განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდა სახელმწიფო ხელისუფლების ერთგულ ოსებს, მათ სამხედრო მოქმედებათა შედეგად მიყენებული ზარალი უნაზღაურდებოდათ რესპუბლიკის ხაზინიდან, მერყევ ელემენტებს ეძლეოდათ უფლება რესპუბლიკის სხვა რაიონებში გადასახლებისა.

1921 წლის 5 მარტს სამხრეთ ოსეთში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, ინტერვენციის შედეგად დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. საქართველოს რევკომის დადგენილებით ოსური მოსახლეობით დასახლებულ ადგილებში დაარსდა სამხრეთ ოსეთის რევკომი. შერეული მოსახლეობის რაიონებში - შერეული რევკომები. ერთი წარმომადგენელი სამხრეთ ოსეთიდან შეიყვანეს გორის სამაზრო რევკომის შემადგენლობაში *(დაიწყო სამხრეთ ოსეთის ავტონომიის ჩამოყალიბება - ლ. ა.)*.

...ძნელია, გულგრილი დარჩე, როდესაც კითხულობენ ცხინვალელთა და სხვა ქართველებით დასახლებული რაიონებიდან, სოფლებიდან მთავრობის სახელზე გამოგზავნილ წერილებს. რომლებიც თავის ძირძველ მიწაზე ცხოვრობდნენ და არ უნდოდათ, შეეერთებინათ ეს ტერიტორიები სამხრეთ ოსეთის ოლქისათვის. აღსანიშნავია, რომ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი ვრცელი მოხსენებით შევიდა საქართველოს რევკომში იმის თაობაზე, რომ ადმინისტრაციული განყოფილების მიერ შეგროვილი მასალებით ფაქტობრივად შეუძლებელი იყო ერთი მთლიანი ტერიტორიის გამოყოფა სამხრეთ ოსეთისათვის.

"სამხრეთ ოსეთი, - აღნიშნულია მოხსენებაში, - როგორც მთლიანი გეოგრაფიული ერთეული, არ არსებობს... არის მხოლოდ ოსებით დასახლებული ცალკე რაიონი, რომელსაც ურთიერთშორის არავითარი სამეურნეო და ტოპოგრაფიული კავშირი არა აქვს..."

აქედან გამომდინარე, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს გორის, დუშეთის და რაჭის მაზრების ჩამონაჭრებისაგან ერთი ადმინისტრაციული ერთეულის შექმნა შეუძლებლად მიაჩნდა, რაც არ იქნა გაზიარებული საქართველოს რევკომის მიერ. აჩქარებდნენ რა გამოყოფას. სამხრეთ ოსეთის რევკომმა 1921 წლის სექტემბერში ოფიციალურად დააყენა საკითხი საქართველოს ცენტრალური პარტიული და საბჭოთა ორგანოების წინაშე სამხრეთ ოსეთის ცალკე დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად გამოყოფის შესახებ, რომელიც ფედერაციულად უნდა დაკავშირებოდა საქართველოს სს რესპუბლიკას.

...1921 წლის 31 ოქტომბერს კავბიუროს პრეზიდიუმის სხდომაზე მოისმინეს საკითხი სამხრეთ ოსეთის თვითგამორკვევის შესახებ. აღინიშნა, რომ ისეთი პატარა ერთეულისათვის, როგორიც სამხრეთ ოსეთია, დამოუკიდებელი სუვერენული სტატუსის მინიჭება არ არის რეალური, ის ობიექტური მიზეზები, რის საფუძველზეც ითხოვდნენ ცალკე გამოყოფას, უკეთეს შემთხვევაში სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ერთეულად ჩამოყალიბებისათვის თუ გამოდგება. გადაწყდა, რომ სამხრეთ ოსეთის ეროვნული თვითგამორკვევის ფორმად აღიარებული ყოფილიყო ავტონომიური ოლქი და განსაზღვრულიყო მის საზღვრებში.

...საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ ს/ოსეთის ეროვნული გამიჯვნის დროს უარყო ყოველგვარი ისტორიული უფლება საზღვარზე. ქართველ ხალხთან შედარებით უპირატესობა მისცა ოსი ხალხის ინტერესებს. გაითვალისწინა რა ცხინვალის მნიშვნელობა ს/ოსეთისათვის, 1921 წლის 17 ნოემბერს დაადგინა, შექმნილიყო ს/ოსეთის ა/ოლქი, ცენტრი ქ. ცხინვალში. ამას ადასტურებს ის მრავალრიცხოვანი მიმართვები, რაც საქართველოს საბჭოთა მთავრობას ხშირად მისდიოდა ცხინვალში მცხოვრები ქართველებისაგან (იქ ხომ იმ დროს ორი ოსური ოჯახი ცხოვრობდა), რევოლუციურმა მთავრობამ ქართველი ხალხის გულისწყრომას ქართული სოფლების სამხრეთ ოსეთის ა/ოლქში მოქცევის შესახებ, უპასუხა მაღალი დონის "აგიტაცია პროპაგანდით", არ გაიზიარა ქართულ სოფლებში მაცხოვრებლების ინტერესები და შესაძლებლად სცნო, გაევლო სასაზღვრო ზოლი ს/ოსეთისა და გორის მაზრას შორის, ცხინვალისა და სოფ. ერგნეთის ზევით, რის გამოც ს/ოსეთის შემადგენლობაში ცხინვალის გარდა მოექცა ქართული სოფლები: დგვერისი, თამარაშენი, აჩაბეთი, ქურთა, კეხვი, ქემურთა, ზარცემი, სკვეთი და ხეითი.

...ოლქის ზემოაღნიშნული გარდაქმნა მოასწავებს ახალი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის - ე.წ. სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის შექმნას საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში და, მაშასადამე, სათანადო ცვლილებას მის ეროვნულ სახელმწიფო წყობილებაში. ეს საკითხი კი საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კონსტიტუციის 72-ე მუხლის მე-3 პუნქტის ძალით, "საქართველოს რესპუბლიკის გამგებლობას მისი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების სახით ექვემდებარება... საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში ახალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქების შექმნა"... კონკრეტულად, საკითხის გადაწყვეტის უფლებამოსილებით აღჭურვილია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო. ეს გამომდინარეობს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 104-ე მუხლის მე-3 პუნქტიდან. ამ პუნქტის მიხედვით, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს ეროვნულ-სახელმწიფო წყობილების საკითხებზე, რომლებიც განეკუთვნება რესპუბლიკის გამგებლობას.

ამგვარად, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გარდაქმნა ავტონომიურ რესპუბლიკად და მით უმეტეს სუვერენულ ერთეულად, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თანხმობის გარეშე ყოველგვარ იურიდიულ საფუძველს მოკლებული აქტია.

რა უფლებამოსილება გააჩნია ამ მხრივ სსრ კავშირს? იგი მარტო ოდენ ამტკიცებს მოკავშირე რესპუბლიკის შემადგენლობაში ახალი ავტონომიური ერთეულის შექმნას (შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის წარდგენის საფუძველზე). ეს უფლებამოსილება ამჟამად სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის განსაკუთრებულ გამგებლობას განეკუთვნება (სსრ კავშირის კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტიდან 108-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

...ამგვარად, არსებული ნორმატიული აქტების თანახად, 1922 წლის ხელშეკრულება სსრ კავშირის შექმნის შესახებ და სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუცია არ იძლევიან იურიდიულ საფუძველს ისეთი კანონების მიღებისათვის, რომლებიც მიაკუთვნებენ ავტონომიებს უფლებას, გამოეყონ მოკავშირე რესპუბლიკას. მოკავშირე რესპუბლიკების საზღვრის ოდნავი შეცვლაც კი დაუშვებელია ამ რესპუბლიკის თანხმობის გარეშე (სსრ კავშირის კონსტიტუცია მუხ. 78).

ამიტომ, როგორც სსრ კავშირის კანონი "სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკის გასვლასთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტის წესის შესახებ" (1990 წლის 3 აპრილი), ასევე 26 აპრილის კანონი, უხეშად არღვევს მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტს, განსაზღვრავს, პირველ რიგში, 1922 წლის ხელშეკრულებით, ყველა მომდევნო კონსტიტუციით, სადაც დაფიქსირებულია მოკავშირე რესპუბლიკის სრული სუვერენიტეტი რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის ავტონომიების მიერ დასახლებულ ტერიტორიაზე.

**საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მცხოვრები ოსი მოსახლეობის უფლებებს არავინ არღვევს, მათ არავინ ჩაგრავს, მათ ეროვნულ ღირსებას არავინ შეურაცხყოფს.**

აქედან გამომდინარე, აღნიშნული კანონებიც მოკლებულია იურიდიულ საფუძველს, რის გამოც მათი მოქმედება არ იქნა დაშვებული საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილებით ა.წ. 20 ივნისს.

შეიძლება თუ არა ავტონომიური ოლქის გაუქმება?!

...ამგვარად, ავტონომიური ოლქის გაუქმების საკითხის განხილვა და გადაწყვეტა სსრ კავშირისა და საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციების ძალით შეუძლია მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს.

...საქმე ისაა, რომ თუ მოკავშირე რესპუბლიკა სუვერენული სახელმწიფოა, როგორც ამას სსრ კავშირის კონსტიტუცია ამტკიცებს, ასეთი სახელმწიფო თვითონ უნდა განსაზღვრავდეს თავის ეროვნულ-სახელმწიფო წყობილებას. ამ სფეროს საკითხების გადაწყვეტა მისი საშინაო საქმეა და აქ სხვების უნებართვო ჩარევა დაუშვებელია. სწორედ ასეთი წესი მოქმედებდა საბჭოთა ეროვნულ-სახელმწიფო მშენებლობის ადრინდელ პერიოდში. სსრ კავშირის შექმნის შემდეგაც მოკავშირე რესპუბლიკები დამოუკიდებლად, თვითონ წყვეტდნენ საბოლოოდ თავიანთი ავტონომიური ერთეულების შექმნისა თუ გაუქმების საკითხს. საკავშირო ორგანოები ამ საქმეში ვერ ჩაერეოდნენ, ვინაიდან ასეთი უფლება მოკავშირე რესპუბლიკებს სსრ კავშირისათვის არ გადაუციათ. მას არ ითვალისწინებს ხელშეკრულება სსრ კავშირის შექმნის შესახებ. იგი არც სსრ კავშირის 1924 წლის კონსტიტუცია ავტონომიურ ერთეულებს მხოლოდ საკავშირო ორგანოში მათი წარმომადგენლობის საკითხთან დაკავშირებით ეხებოდა.

...ავტონომიის სტატუსის გაუქმების მოთხოვნა იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებრიობამ ვითარების გამწვავება რესპუბლიკის ეროვნულ-სახელმწიფო წყობილების საკითხს დაუკავშირა. უნდა ვთქვათ, რომ მას ალღომ არ უმტყუნა. ეს ორი საკითხი მართლაც მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ალბათ არ ყოფილა ეროვნულ ნიადაგზე შუღლის გაღვივების ანალოგიური შემთხვევები. ამაში დიდ როლს ასრულებდა საქართველოს ტრადიციული ეროვნულ-სახელმწიფო წყობილება. იგი შეესაბამებოდა ქართველი ხალხისა და საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა ეროვნების ადამიანთა ინტერესებს, უზრუნველყოფდა მათ ნორმალურ, მშვიდობიან თანაცხოვრებას.

სამხრეთ ოსეთის კონფლიქტი გასცდა ლოკალურ ფარგლებს, და უკვე აშკარა ხდება, რომ საფრთხეს უქმნის ქართველი ხალხის საერთო ეროვნულ ინტერესებს. ეს გარემოება სერიოზულად აფიქრებს ყოველ ქართველს. ბუნებრივია, იგი აწუხებს აგრეთვე საქართველოში მოსახლე ყველა ეროვნებას.

შექმნილი სიტუაციის ანალიზის დროს არ შეიძლება დავივიწყოთ სოციალურ-ეკონომიკური არსი და კულტურული ასპექტები ამ ურთულესი პრობლემისა.

...ქართველი მოსახლეობის მდგომარეობა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში დღესაც სავალალოა. ავიღოთ თუნდაც სამხრეთ ოსეთში განხორციელებული საკადრო პოლიტიკის საკითხი. ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქართველი მოსახლეობის წარმომადგენელთა ხვედრითი წილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო აპარატში უფრო მცირეა, ვიდრე ეს მას ოლქის მოსახლეობის პროცენტული შემადგენლობის მიხედვით ერგება, რითაც ეს ოლქი ატარებს ოსური ეროვნების მოსახლეობის აშკარა ეთნოკრატიის ნიშნებს. დავიმოწმოთ რამდენიმე მაგალითი.

1989 წლის აღწერის მიხედვით სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოსახლეობის 29 პროცენტს ქართველები შეადგენენ, 66,2 პროცენტს - ოსები. ოლქის პარტიულ აპარატში 1990 წლის მონაცემებით 140 კაციდან ქართველია 34, ოსი - 85. თვით პარტიის საოლქო კომიტეტის აპარატში 37 კაციდან ქართველია მხოლოდ 6, ოსი - 29.

სახელმწიფო აპარატში 227 ადგილიდან ოსებს დაკავებული აქვთ 176, ქართველებს - 49.

მომსახურების სფეროში - 2408 ადგილიდან დაკავებული აქვთ 1500, ქართველებს - 631.

ვაჭრობის სფეროს 226 საშტატო ერთეული ასე ნაწილდება: ოსი - 174, ქართველი - 32.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებათა შემადგენლობა შემდეგ სურათს იძლევა: ოლქში სულ არის 109 კლუბი, 153 ბიბლიოთეკა, 2 მუზეუმი, სამხატვრო სასწავლებელი, 2 სამხატვრო სკოლა, 1 სამუსიკო სასწავლებელი, 2 სამუსიკო სკოლა, ოსური და ქართული დრამატული თეატრი, სამხატვრო-საგამოფენო გალერეა და სხვ. ოლქის კულტურის სამმართველოს უფროსი და ხუთივე რაიონული განყოფილების გამგე ეროვნებით ოსია. ასევე ცხინვალის სამუსიკო და სამხატვრო სასწავლებელთა დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები ოსებია. საერთოდ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კულტურის ორგანოების, საგანმანათლებლო დაწესებულებების, თეატრალური, საკონცერტო და სანახობითი ორგანიზაციების ნომენკლატურულ მუშაკთა 77,5 პროცენტს ოსი ეროვნების წარმომადგენლები შეადგენენ.

სამხრეთ ოსეთის ქართულ მოსახლეობას არსებითად არა აქვს შესაძლებლობა, განავითაროს ქართული კულტურა, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში თავისუფლად გამოიყენოს თავისი დედაენა, რომელიც რესპუბლიკის სახელმწიფო ენაა. ... არ არსებობს არავითარი პირობა არამცთუ ქართული კულტურის შემდგომი განვითარებისა, არამედ ისტორიულად არსებული ძეგლების სრულყოფილი შესწავლისა. საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თემატიკაში საერთოდ არ არის ასახული ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიის პრობლემები: ამან ხელი შეუწყო ანტიქართული პროპაგანდის შეუზღუდავ გავრცელებას, ისტორიული და თანამედროვე სინამდვილის გაყალბებას. ოლქის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოდგენა არა აქვს ამ კუთხის რეალურ ვითარებაზე. ცხინვალის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის 32 ლექტორ-მასწავლებლიდან ქართველია მხოლოდ 1, რაც სერიოზულ პრობლემას ქმნის ქართული სკოლების მასწავლებელთა გადამზადების საქმეში.

ამჟამად სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ფუნქციონირებს 145 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, რომელთაგან - 47 - ქართულია, 36 - ოსური, 5 - რუსული, 3 - ქართულ-ოსური, 3 - ქართულ-რუსული, 45 - რუსულ-ოსური, 6 - ქართულ-რუსულ-ოსური.

აქვე უნდა ითქვას, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში არსებობს ორი ტიპის სკოლა: პირველი - სადაც პირველიდან მეთერთმეტე კლასის ჩათვლით მხოლოდ ოსური ენა და ლიტერატურა ისწავლება ოსურად, ხოლო დანარჩენი საგნები - რუსულად; მეორე - სადაც დაწყებით კლასებში (I-IV) ყველა საგანი ოსურ ენაზე ისწავლება, ხოლო V კლასიდან მხოლოდ ოსური ენა და ლიტერატურა ისწავლება ოსურად, დანარჩენი საგნები - რუსულად. ამ ტიპის არც ერთ სკოლაში ქართული ენა საერთოდ არ ისწავლება. ე.ი. ავტონომიური ოლქის 145 სკოლიდან - 90-ზე მეტ სკოლაში პრაქტიკულად (ფაქტობრივად) რუსული სწავლებაა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საქართველოს რესპუბლიკაში ე.წ. ოსურ სკოლაში სწავლება ხდება რსფსრ-ში არსებული ანალოგიური სკოლების პრინციპით, ანუ სავსებით იგნორირებულია სუვერენული რესპუბლიკის კონსტიტუციური მოთხოვნები. ყველაფერი ეს მიმართულია ოსი მოსახლეობის ძალდატანებით გარუსებისაკენ, რასაც, სამწუხაროდ, ხელს უწყობს ოსური ინტელიგენციის აშკარა ტენდენციური (მეტი რომ არაფერი ვთქვათ) ნაწილი, ძირითადად, პირადი ამბიციებით რომ ხელმძღვანელობს.

...1921 წლის ბოლშევიკურმა ანექსიამ მოსპო საქართველოს სახელმწიფოებრიობა და ჩვენი ქვეყანა კომუნისტური ტოტალიტარული იმპერიის ნაწილად იქცა. გასაბჭოების პირველი დღეებიდანვე დაიწყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა, ერთი მესამედი ჩვენი ტერიტორიისა დაურიგდა მეზობელ ქვეყნებს, ხოლო დანარჩენ ტერიტორიაზე აღმოცენდა უკანონო ავტონომიები, რომელნიც დღემდე მძიმე ტვირთად აწევს საქართველოს.

...ეს ყოველივე კარგად ჩანს ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის მაგალითზე, როდესაც ისტორიული სამაჩაბლო, საფალავანდო და ქსნის საერისთაო ჯერ გამოცხადდა სამხრეთ ოსეთად, ხოლო შემდეგ შეიქმნა ოლქი ქართული მოსახლეობის ნების გათვალისწინების გარეშე. ტრადიციული ქართული ტოპონიმები დამახინჯდა და ახალგორს ეწოდა ლენინგორი, ყორნისს - ზნაური და სხვა.

...მართალია, მთელი საქართველოს მასშტაბით საქართველოში მცხოვრები ოსები ეროვნულ უმცირესობას წარმოადგენენ, იგივეს ვერ ვიტყვით ცალკეულ რეგიონებზე, კერძოდ შიდა ქართლზე, ანუ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქზე, სადაც სწორედ ქართველები წარმოადგენენ ეროვნულ უმცირესობას, ისტორიული ბედუკუღმართობის წყალობით. ეს აღნიშნულია თვით ე.წ. სამხრეთ ოსეთში 1929 შედგენილ ერთ-ერთ მოხსენებით ბარათშიც. ასე რომ, ქართველთა უფლებების დარღვევა, ჩაგვრა და დისკრიმინაცია ამ რეგიონში წარმოადგენს სწორედ ეროვნული უმცირესობის უფლებების ხელყოფას და უნდა განიხილებოდეს, როგორც დარღვევა ჰელსინკის ხელშეკრულებისა და სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტებისა. საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მცხოვრები ოსი მოსახლეობის უფლებებს კი არავინ არღვევს, მათ არავინ ჩაგრავს, მათ ეროვნულ ღირსებას არავინ შეურაცხყოფს.

...ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენის ღრმა რწმენით, ისტორიულ შიდა ქართლში დღეს ეროვნულ უმცირესობად თითოეული ქართული მოსახლეობის უფლებათა დაცვის სრული და საიმედო გარანტია შეიძლება იყოს მხოლოდ სრული გაუქმება ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა, რათა თავიდან ავიცილოთ ხელყოფა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის შემდგომი გამწვავება ამ რეგიონში, რასაც მიზნად ისახავს ე.წ. სამხრეთ ოსეთის "სუვერენული საბჭოთა რესპუბლიკის" შექმნა და ანტიკონსტიტუციური არჩევნების ჩატარება. ამის გამო, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვაყენებ საკითხს ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სრული გაუქმების შესახებ. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ამით დაკმაყოფილდება შიდა ქართლისა და სრულიად საქართველოს მოსახლეობის მოთხოვნა, აგრეთვე საქართველოში მცხოვრები ოსი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის მოთხოვნა. ამასთან, უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ მიერ ყოველმხრივ გარანტირებული იქნება შიდა ქართლის ოსური მოსახლეობის უფლებათა დაცვა, ოსური ენის ყოველმხრივი განვითარება, ოსური სკოლების შენარჩუნება, ფართო კულტურული ავტონომია...

**"საქართველოს რესპუბლიკა". N5-6, ოთხშაბათი, 12 დეკემბერი, 1990.**

"სულ ლიტერატურის ბრალია"



105 წლის წინათ დაიბადა ალფრედ ჰიჩკოკი

B3

კომპლიმენტები "დინამოს"



მარცხი, რომელსაც არ ვიმსახურებდით

B4

ძმაო, ასეა წუთისოფელი



ოლიმპიადაზე ირაკლი ლაბაძის მეტოქე გერმანელი ნიკოლას კიფერი იქნება.

B5

# სასამართლო ხელისუფლების მახინჯი ფორმებისგან გასუფთავების პროცესი დაწყებულია

ინგა ალავიძე

*ორი კვირის წინ თბილისის საოლქო სასამართლოში საკადრო ცვლილება განხორციელდა - თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარედ გიორგი გოგიაშვილი დაინიშნა. თბილისის მთავარი მოსამართლე სასამართლო რეფორმის პირველი ეტაპის "ტალღაგადავლილია", როგორც მას უწოდებენ, დავით სულაქველიძის "კადრია" და მიუხედავად იმისა, რომ სულ რაღაც 33 წლისაა, მისი ბიოგრაფია იურისპრუდენციის განხრით საკმაოდ სოლიდურად გამოიყურება: ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, სტაჟირება ერთ-ერთ პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებელში - ბუდაპეშტში, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში გაიარა, დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, კითხულობდა ლექციებს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე კონსტიტუციურ სამართალში, მუშაობდა თბილისის პროკურატურის გამომძიებლად, შემდეგ - ადვოკატად, ამერიკის იურისტთა ასოციაციაში, თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილედ. ახლა უკვე სასამართლოს ახალი თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ "მოსამართლემ მოსმენა უნდა იცოდეს, ცოტა უნდა ილაპარაკოს და, ძირითადად, დასკვნები გააკეთოს," - როგორც ჩანს, გიორგი გოგიაშვილი ამ პროფესიულ პრინციპს სასამართლო დარბაზის გარეთაც იცავს - იგი მოკლედ და ძალზე კონკრეტულად საუბრობს.*

**- ბატონო გიორგი, ბოლო პერიოდში სასამართლო ხელისუფლება სერიოზული კრიტიკის ობიექტი გახდა, არსებობს არცთუ უსაფუძვლო მოსაზრება, რომ დღევანდელი სასამართლო სისტემა სერიოზული პოლიტიკური წნეხის ქვეშაა.**

- გეთანხმებით, ამ საკითხმა მართლაც წამოიწია, ეს ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური და მტკივნეული თემაა. თუმცა, მოდით, პირველ რიგში, გავარკვიოთ, რა არის სასამართლო დამოუკიდებლობა. სასამართლოს დამოუკიდებლობისთვის ძალზე ბევრი კომპონენტია აუცილებელი და მხოლოდ მათი ერთობლიობის შედეგად გახდება ეს სისტემა სრულყოფილი.

**- რომელი კომპონენტების ერთობლიობაა საჭირო სასამართლო ხელისუფლების სრულყოფილებისთვის?**

- პირველ რიგში, ეს არის ფინანსური ავტონომია; სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენელთა სოციალური უზრუნველყოფა; მოსამართლის უფლებამოსილების გარანტირებულობა; ხელისუფლების დანაწილების რეალურობა; საზოგადოების დემოკრატიულობა, ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების არსებობა. აი, ეს ყველაფერი საერთო ჯამში ქმნის სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას, რაც სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობის საფუძველია.

სხვათა შორის, სასამართლოს დამოუკიდებლობის მიღწევა მარტივი არ გახლავთ, როგორც ეს ზოგიერთს ჰგონია. არსებობს კრიტიკოსთა კატეგორია, რომლებიც სასამართლოს განაჩენსა და გადაწყვეტილებას ერთმანეთისგან ვერ არჩევენ, მაგრამ პრეტენზიები აქვთ და რეცეპტებსაც იძლევიან, თუ როგორი უნდა იყოს სასამართლო.

**- მაგრამ სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელი სისტემაა, ეს სერიოზული პრივილეგია მას კანონით აქვს მინიჭებული. ამიტომაც, შეუძლია და ვალდებულიცაა, პოლიტიკური ზეწოლის ქვეშ არ მოექცეს.**

- რასაკვირველია, ძნელია ამის უარყოფა, ხელისუფლების დანაწილების იდეაც სწორედ ისაა, რომ სასამართლო ხელისუფლებამ ხელისუფლების დანარჩენი ორი შტო უნდა აკონტროლოს და აბალანსოს. თუ ის ამ ფუნქციას ვერ ასრულებს, მაშინ, რასაკვირველია, ხელისუფლების დანაწილების პრინციპიც და სასამართლო ხელისუფლების ცალკე რგოლად არსებობაც ეჭვქვეშ დგება. სამწუხაროდ, ფაქტია, ჯერ ეს ხელისუფლება არ არის სრულად ისე ჩამოყალიბებული, რომ ორი სახელისუფლებო შტოს ბალანსი მთლიანად შეძლოს, რეალურად ამის პრობლემა არსებობს. პრობლემაა სასამართლოს საქმიანობაში ხელისუფლების სხვა შტოების წარმომადგენელთა ჩაურევლობა. საერთო ჯამში, ეს ყველაფერი სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას აკნინებს.

**- ანუ, გამოდის, რომ სახელმწიფოებრიობის ბაზისის - სასამართლო ხელისუფლების "გასამართად" აუცილებელია ხელისუფლების პოლიტიკური ნება.**

- რა თქმა უნდა, მე ვფიქრობ, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობას მხოლოდ კონკრეტული მოსამართლის სურვილი არ განსაზღვრავს. სასამართლო ხელისუფლების - სახელმწიფოს ამ უმნიშვნელოვანესი მექანიზმის სრულყოფილი და დამოუკიდებელი არსებობისთვის, რა თქმა უნდა, პოლიტიკური ნებაა საჭირო.

**- როცა სასამართლო ხელისუფლების დაბალ იმიჯზე ვსაუბრობთ, ალბათ, დამეთანხმებით, გარდა პოლიტიკური შეკვეთების შესრულებისა, უარყოფით რეიტინგს მოსამართლეთა დიდი ნაწილის კორუმპირებულობაც განაპირობებს.**

- გეთანხმებით, ეს პრობლემა რეალურად არსებობს, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ მოსამართლეთა დიდი ნაწილია კორუმპირებული. კორუმპირებული მოსამართლეებისგან სასამართლო სისტემა უნდა გათავისუფლდეს და ეს ასეც მოხდება. სხვათა შორის, ეს პრობლემაც კავშირშია ჩემ მიერ უკვე დასახელებულ მიზეზებთან, სასამართლოს ფინანსური დამოუკიდებლობის მოპოვებითა და მოსამართლეთა სოციალური პირობების გაუმჯობესებით კორუფციის პრობლემაც დაიძლევა.

**- და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტიც - თუ რეფორმის საწყის ეტაპზე მოსამართლეთა გამოცდები წარმატებულად ჩატარდა და, შესაბამისად, კვალიფიციურ მოსამართლეთა ნაკადი მივიღეთ, მომდევნო ეტაპებზე სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. გამოცდებმა ფორმალური ხასიათი მიიღო, ქვეყანამ კი - არაპროფესიონალი მოსამართლეები. სასამართლო ხელისუფლების დაბალი იმიჯი არაპროფესიონალიზმმაც გამოიწვია.**

- არც ამის უარყოფა შეიძლება, არაპროფესიონალიზმმა სასამართლო ხელისუფლების რეიტინგი სერიოზულად დასწია. სწორედ ამიტომაც, თქვენს შეკითხვაზე - არის თუ არა სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელი? - ცალსახა პასუხის გაცემა ძალიან გამიჭირდება. მე მგონი, არსებული პრობლემებიდან გამომდინარე, შეუძლებელიცაა სასამართლო სრულიად დამოუკიდებელი იყოს, სრულად ჩამოყალიბებული სისტემა, ისეთი, როგორიც გვსურს, რომ იყოს. თანაც, არის ერთი სერიოზული მომენტი: როგორიცაა საზოგადოება და ხელისუფლება, ისეთია სასამართლოც. ანუ, რა პრობლემებიც ქვეყანაში არსებობს, სასამართლო სისტემაშიც ის პრობლემებია დაგროვილი. ეს მომენტი რატომღაც ყოველთვის გვავიწყდება, არადა, რეალურად ამას ვერ გაექცევი. წარმოუდგენლად არარეალურია, არსებული სიტუაციის ფონზე ერთიანი სქემიდან ამოვარდეს ერთი მექანიზმი - სასამართლო ხელისუფლება და მხოლოდ ის იყოს აბსოლუტურად უნაკლო. ქვეყნის დალაგება დაწყებულია და ხელისუფლების ეს კურსი სასამართლო ხელისუფლებასაც შეეხო, ქაოსი ეტაპობრივად დალაგდება და მახინჯი ფორმებისგან ეს სისტემაც გასუფთავდება.



სამწუხაროდ, ფაქტია, სასამართლო ხელისუფლება ჯერ არ არის სრულად ისე ჩამოყალიბებული, რომ ორი სახელისუფლებო შტოს ბალანსი მთლიანად შეძლოს, რეალურად ამის პრობლემა არსებობს.

სასამართლოს დამოუკიდებლობას მხოლოდ კონკრეტული მოსამართლის სურვილი არ განსაზღვრავს. სასამართლო ხელისუფლების - სახელმწიფოს ამ უმნიშვნელოვანესი მექანიზმის სრულყოფილი და დამოუკიდებელი არსებობისთვის ხელისუფლების პოლიტიკური ნებაა საჭირო.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი უფრო პოლიტიკური დატვირთვის მქონე ინსტიტუტია და, რა თქმა უნდა, სახელმწიფოს განვითარებისთვის, ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის წინ გადადგმული ნაბიჯი.

მართლმსაჯულების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მომენტია, რადგან საზოგადოება და ხელისუფლება ერთმანეთს დაშორდნენ, ამ პროცესით კი მათი დაახლოება მოხდება, ანუ საზოგადოება, ფაქტობრივად, სასამართლო ხელისუფლების კონტროლს განახორციელებს.

**- არსებული სიტუაციის ფონზე, ბუნებრივია, საოლქო სასამართლოს იმიჯიც დაეცა, არადა, თავის დროზე ის საზოგადოებაში საკმაო ავტორიტეტით სარგებლობდა.**

- მე საოლქო სასამართლოში წლებია ვმუშაობ, სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე ვიყავი და ჩემთვის ეს სისტემა უცხო არ არის. წლების წინ, როცა რეფორმა დაიწყო, როცა თბილისის საოლქო სასამართლოს არსებობას ჩაეყარა საფუძველი, მას მართლაც სერიოზული იმიჯი ჰქონდა. ვფიქრობ, რომ ეს მაშინდელი თავმჯდომარის, დავით სულაქველიძის დამსახურებაა, მისი საქმიანობის შედეგი. ბოლო პერიოდში თბილისის საოლქო სასამართლოს იმიჯი მართლაც დაეცა, მაგრამ ეს ცალკეული ადამიანების მიერ შექმნილი პრობლემის გამო არ მომხდარა. როგორც გითხარით, ამის საფუძველი არსებული კომპლექსური პრობლემებია და მათ წინააღმდეგ მუშაობა უკვე მიმდინარეობს. საოლქო სასამართლოში არაპროფესიონალი და კორუმპირებული მოსამართლე ვერ იმუშავებს.

**- წლების წინ საოლქო სასამართლომ არა ერთი პრეცედენტული გადაწყვეტილება მიიღო, შეგიძლიათ დამისახელოთ საოლქო სასამართლოს მიერ ბოლო პერიოდში მიღებული პრეცედენტული გადაწყვეტილებები?**

- მაგალითად, სულ ცოტა ხნის წინ ტრეფიკინგზე გვქონდა პრეცედენტული გადაწყვეტილება. რა თქმა უნდა, შემიძლია დაგისახელოთ სხვა გადაწყვეტილებებიც, თბილისის საოლქო სასამართლოს მოსამართლეებს საკმაოდ გაბედული გადაწყვეტილებები გამოაქვთ, ობიექტურად და ყოველგვარი ჩარევის გარეშე.

**- ადვოკატები, განსასჯელები და დამოუკიდებელი ექსპერტები ხშირად ჩივიან, რომ სასამართლო ხელისუფლება ადამიანის უფლებებს არღვევს. მათი განცხადებით, ადამიანის უფლებების დარღვევა სასამართლო დარბაზში განსასჯელის შეყვანისთანავე იწყება. საუბარია სასამართლო დარბაზებში დადგმულ გალიებზე, სადაც გამოკეტილია ადამიანი, რომლისთვისაც გამამტყუნებელი განაჩენი სასამართლოს ჯერ არ გამოუტანია. რა თქმა უნდა, ამით ირღვევა კანონის უპირველესი მოთხოვნა - თანასწორუფლებიანობის პრინციპი. საოლქო სასამართლოში დადგმული გალიების "აღებას" ხომ არ აპირებთ? მით უმეტეს, რომ საერთაშორისო პრაქტიკითაც, ასეთი სანქცია განსაკუთრებით საშიში დამნაშავეებისთვისაა გამოყენებული.**

- ამ ლოგიკით, ადამიანის უფლება ირღვევა მაშინაც, როცა ის წინასწარი დაკავების საკანშია, ან როცა საგამოძიებო იზოლატორში იმყოფება. რკინის გისოსებით იმ ტერიტორიის შემოღობვა, სადაც განსასჯელი იმყოფება, უსაფრთხოების ზომების დაცვის თვალსაზრისით მოხდა, რადგან არაერთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი, როცა განსასჯელი გაქცევას შეეცადა. სხვათა შორის, ეს ზომა ყველა განსასჯელის წინააღმდეგ არ არის გამოყენებული, საოლქო სასამართლოში არის დარბაზები, სადაც რკინის გისოსები არ არის და განსასჯელები იქ თავისუფლად სხედან.

**- მოსამართლეთა უდიდესი ნაწილი პროცესს ჯერ კიდევ საბჭოური მენტალიტეტით მართავს. ანუ, იმის მაგივრად, რომ შეასრულოს თავისი ფუნქცია - არბიტრის როლი, ბრალდების ფუნქციებს ითავსებს. არადა, არსებული კანონმდებლობით, სასამართლო მხარეს არ წარმოადგენს, ის მიუკერძოებელი უნდა იყოს და წარმოდგენილი მტკიცებულებები მიუკერძოებლად უნდა შეაფასოს.**

- გეთანხმებით, პირადად მინახავს პროცესები, სადაც მოსამართლეები იმდენ შეკითხვას იძლევიან და იმდენს საუბრობენ, რომ ზოგ შემთხვევაში პროკურორსა და ადვოკატსაც აჭარბებენ. არადა, მოსამართლე ნეიტრალური უნდა იყოს - მოუსმინოს მხარეებს, საქმეს გაეცნოს და სამართლებრივი დასკვნები შემდეგ გააკეთოს. სხვათა შორის, ამ პრობლემის მიზეზიც არაპროფესიონალიზმია.

**- ახლა ძალიან ბევრს საუბრობენ მოსამართლეთა კორუმპირებულობაზე, თუ ყოფილა შემთხვევა, რომ კონკრეტულ მოსამართლეს კონკრეტულ ფაქტზე (საუბარია კორუფციულ გარიგებაზე) პასუხი ეგოს?**

- არა, ასეთ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია. ჩვენ ასეთი თანამშრომლების სამართლებრივ დევნას ვერ განვახორციელებთ, ასეთი ფაქტების გამოვლენა ოპერატიული სამსახურების ფუნქციაა.

**- ნებისმიერ ორგანიზაციაში, იქნება ეს სახელისუფლებო თუ კერძო სტრუქტურა, "ამინდს ქმნის" ხელმძღვანელი. თქვენ საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე ხართ, იმ სტრუქტურას ხელმძღვანელობთ, რომლის თანამშრომელთა კორუმპირებულობის შესახებაც ბევრს საუბრობენ, ახლა გარკვეულწილად თქვენზეა დამოკიდებული თბილისის საოლქო სასამართლოს იმიჯის აღდგენა.**

- გეთანხმებით, ხელმძღვანელზე ძალიან ბევრი რამაა დამოკიდებული. რა თქმა უნდა, როცა უწყება კორუფციაშია გახვეული, ეს ხელმძღვანელის ბრალიცაა, ასეთ სიტუაციაში ერთმანეთზე გადაბმული ჯაჭვი მუშაობს. თბილისის საოლქო სასამართლოში ასეთი სიტუაცია ნამდვილად არ არის. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ თუ კორუფციულ შემთხვევას ადგილი ექნება, ასეთი მოსამართლე აქ ვერ იმუშავებს. ისეთი მოსამართლის, რომელიც კორუფციულ შეკვეთას ასრულებს, ადგილი საოლქო სასამართლოში არ არის. ამ მხრივ, ჩვენ ცალსახად პრინციპული პოზიცია გვაქვს.

**- ახლა სახელისუფლებო სტრუქტურის წარმომადგენლები, საზოგადოების გასაგონად, ხელქვეითებს საჯარო "მესიჯებს" უგზავნიან. ცოტა ხნის წინ შს მინისტრმა და გენერალურმა პროკურორმა კანონდამრღვევ თანამშრომლებს მკაცრად დასჯის პირობა საჯაროდ მისცეს. თქვენ როგორ "მესიჯს" გაუგზავნიდით თქვენს თანამშრომლებს?**

- თანამშრომლებს "მესიჯებით" არ ვესაუბრები, თანაც, სასამართლო არ არის ძალოვანი სამინისტრო, სადაც მუშტს დააბრახუნებ. ერთი რამის თქმა დარწმუნებით შემიძლია: ჩვენ მაქსიმალურ ძალისხმევას არ დავიშურებთ იმისთვის, რათა თბილისის საოლქო სასამართლოს ძველი იმიჯი დაუბრუნდეს. საოლქო სასამართლოში არ უნდა მუშაობდეს მოსამართლე, რომელიც უკანონო გადაწყვეტილებას გამოიტანს. დარწმუნებული ვარ, ჩვენი საქმიანობის ხარისხი მაქსიმალურად გაიზრდება და სერიოზული შედეგებიც გვექნება. მალე სასამართლო ხელისუფლება საოლქო სასამართლოს მოსამართლეთა მიერ გამოტანილი პრეცედენტული გადაწყვეტილებებით იამაყებს.

**- თუ ყოფილა შემთხვევა, რომ მოსამართლეს პოლიტიკურ შეკვეთის შესრულებაზე უარი ეთქვას და ამ მიზეზით თანამდებობა დაეტოვებინოს?**

- არა, ასეთი ფაქტი არ მომხდარა.

**- გავრცელებული ინფორმაციებით, ბოლო პერიოდში მოსამართლეთა ნაწილმა პოლიტიკური შეკვეთის შესრულებაზე უარი განაცხადა, რის სანაცვლოდაც, მათ განცხადებები დააწერინეს და ამ ფორმით დაატოვებინეს თანამდებობა. თუმცა, რამდენიმე მოსამართლემ არ დაწერა განცხადება, სამაგიეროდ, მათ წინააღმდეგ ახლა საქმეებს "კერავენ", ანუ, სერიოზული ზეწოლის ქვეშ არიან. დაადასტურებთ ამ ფაქტს?**

- არა, ვერ დაგიდასტურებთ, რადგან ასეთ შემთხვევას თბილისის საოლქო სასამართლოში ადგილი არ ჰქონია. დანამდვილებით შემიძლია თქმა, რომ ბოლო პერიოდში საოლქო სასამართლოს არც ერთ მოსამართლეს თანამდებობა არ დაუტოვებია.

**- როგორ ფიქრობთ, გაამართლებს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება? დაიცავს ეს ინსტიტუტი სასამართლოს პოლიტიკური და კორუფციული გარიგებებისგან?**

- ამის შესახებ კონსტიტუციაში უკვე შევიდა ცვლილება და იმედი მაქვს, რომ ეს ინსტიტუტი მალე ამუშავდება. პირადად მე სკეპტიკურად განწყობილი ნამდვილად არ ვარ. პირიქით, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი თუ დადებით შედეგს არ გამოიღებს, არაფერს დააშავებს, ამიტომაც, ვფიქრობ, რომ ამ ექსპერიმენტის ჩატარება ნამდვილად ღირს. თანაც, მართლმსაჯულების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მომენტია, რადგან საზოგადოება და ხელისუფლება ერთმანეთს დაშორდნენ, საზოგადოება ხელისუფლების შტოებში მიმდინარე პროცესებს ვერ აკონტროლებს, ამ პროცესით კი მათი დაახლოება მოხდება. ანუ, საზოგადოება, ფაქტობრივად, სასამართლო ხელისუფლების კონტროლს განახორციელებს. ამ თვალსაზრისით, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებას ინგლისსა და ამერიკაში ძალზე სერიოზული პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა და სერიოზული შედეგებიც მიიღეს. ვფიქრობ, რომ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი მართლმსაჯულების მექანიზმი ნაკლებადაა, ეს უფრო პოლიტიკური დატვირთვის მქონე ინსტიტუტია და, რა თქმა უნდა, სახელმწიფოს განვითარებისთვის, ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის წინ გადადგმული ნაბიჯი.

# გზა გამთლიანებისკენ

## აფხაზეთი – საქართველოს კულტურული სივრცის ნაწილი

სამსონ ლეჟავა

ქვესათაურში კულტურის სივრცე შემთხვევით არ მიხსენებია. ჩვენს თანამოძმე და მონათესავე აფხაზებს აქვთ საკუთარი სამეტყველო ენა, მაგრამ გადამწყვეტი, სრულებით ერთი რიგისა, და ორივესათვის საზიარო კულტურის ენაა. ამ თვალსაზრისით, ქართველი და აფხაზი ათასწლეულთა მანძილზე არსებითად იგივეობრივად მეტყველებს. სხვათა შორის, ეს ეხება აწმყოსაც - ცხოვრების წესის სპონტანური გამოხატულებებით. ირკვევა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციათა წარმომადგენლებს აკვირვებს კიდეც ჩვენი კონფილიქტი, ვინაიდან ისინი სტუმარ-მასპინძლობის წესზე, ტრადიციებსა და ყოფაზე დაკვირვებისას, ჩვენ შორის ძალიან დიდ მსგავსებას ხედავენ. ისიც ხომ ცნობილია, რომ აფხაზი და ქართველი ურთიერთჩანაცვლებადი ცნებები იყო.

მაინც რას წარმოადგენს კულტურის ის განუყოფელი "გრუნტი", რომელიც ესოდენ არსებითია აფხაზისთვისაც და ქართველისთვისაც? როგორც ვხედავთ, ჩატეხილი ხიდის აღდგენის ილიასეული პრობლემა თავისებურად ახლაც აქტუალურია. როცა ხიდის აღდგენის მოთხოვნა ჩნდება, ეს უტოპიად აღარც მოიაზრება. აქ ცხადია, უთუოდ იგულისხმება ორმხრივი ურთიერთმიტევება და ურთიერთშერიგება.

გადამწყვეტი ის არის, რომ საქართველო კვლავ იქცეს მიმზიდველ გარემოდ ოსებისა და აფხაზებისათვის - საქართველო ხომ მათთვისაც ის დიდი სახლია, რომლის აშენებაში ორივეს დიდი წვლილი მიუძღვის. გავიხსენოთ თუგინდ იმავე აფხაზთა აქტიური თანამონაწილეობა ძველი საქართველოს გაერთიანებაში. ახლა იმედია, კვლავ დგება ქვეყნის აღდგენის პერიოდი, და ოსმაც და აფხაზმაც (საზოგადოდ, ყოველმა ჩვენმა თანამოქალაქემ), ამ პროცესში საკუთარი წვლილი უნდა შეიტანოს.

ეჭვი არაა, რომ მთელი საქართველო (და არა მხოლოდ აფხაზეთი), იმავ აფხაზთათვის, უცილობლად საკუთარი სივრცეა. ცხადია იგივე ეხება ჩვენს დებსა და ძმებს - ოსებს.

ბავშვობაში, ძალიან კარგად მახსოვს, თუ როგორი შეხვედრა მოუწყვეს სოხუმში კონსტანტინე გამსახურდიას. ეს იყო დიდი მწერლისადმი სიყვარულის ამაღლებული გამოხატულება. მას კი იქნებ ყველაზე უკეთ მოეხსენებოდა, თუ რას ნიშნავს აფხაზურ-ქართული მსოფლხატის ერთობა. სხვა დროს, იქაურ სტუმართმოყვარე ოჯახში, ქართველისა და აფხაზის ნამღერი ოდიშური, იმერული და აფხაზური ჰანგები მოვისმინე, რამაც კვლავ უტყუარად წარმოაჩინა, რომ ჩვენ ვართ ერთიანი კულტურის ორი გამოვლენა, ორი "ფრთა". ერთხელაც, კოდორის პირას, მიწაზე ფოთლებდაფენილ სუფრაზე აფხაზებმა მიგვიპატიჟეს და ისეთი ჟრუანტელისმომგვრელი სიმღერები დააგუგუნეს, რომელნიც თვალმოუშორებელ გარემოში კულმინაციურ განცდას ჰბადებდა. ესეც მარწმუნებს, რომ უერთმანეთოდ, აფხაზთა და ქართველთა კულტურის გახარება წარმოუდგენელია, ხოლო გახლეჩა მხოლოდ ორმხრივი ტრაგედიისა და უმძაფრესი ტკივილის მომტანი.



ბიჭვინთის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი.

უამრავი რამ გვაქვს საერთო! მართლაც, ძველკოლხური კულტურის არქეოლოგიური მონაპოვარი ერთი ტიპის ცივილიზაციაზე მეტყველებს უძველესი დროიდან. ამასთან, მთელი ქრისტიანული საწაძრო ხუროთმოძღვრება, დაწყებული გაგრის სამეკლესიანი ბაზილიკიდან, კვლავ იმასვე ადასტურებს. ესაა აფხაზებისათვის მშობლიური, ზოგადქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი სკოლა (ზ.ანჩაბაძე, ლ.რჩეულიშვილი). იგივე შეეხება ფრესკებს, ტაძართა დეკორს, მცირე პლასტიკასა და სხვ.

რაც შეეხება საცხოვრისს, მაგალითად, კოლხურ ოდა-სახლს, იგი აფხაზთათვისაც ისეთივე არსებითია, როგორც მთელი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობისათვის (აფხაზურად მას აკუასკა ეწოდება). ისიც მრავლის მეტყველია, რომ მათაც ძალიან უყვარდათ ბუხრის პირას, ოდა-სახლის ინტერიერში - ჩონგურის აჟღერება. აფხაზეთში აგრეთვე იყო გავრცობილი ძუძუმტეობის წესი, ხოლო იქაური ქორეოგრაფია, გნებავთ, ტრადიციული საბრძოლო ხელოვნება და ხალხური "სპორტი", და ბოლოს, სამეურნეო კულტურა მეტისმეტად ახლოს დგას ქართულთან, თითქმის განუსხვავებელია. რაღა თქმა უნდა, სრულიად არაბუნებრივი და დროებითია ჩვენი ურთიერთდაცილება, რომელიც ვერასგზით გახდება შეუქცევადი, ვინაიდან ერთიან ორგანიზმს ვერ გაანაწევრებ - ასეთი მექანიკური "ოპერაცია" აუცილებლად ჭრილობის შეხორცებითა და კვლავ ურთიერთდაახლოებით განსრულდება.

ურთიერთმოუწყვეტელ წარსულზე რამდენიც უნდა ვისაუბროთ, საქართველოს დაგლეჯილ ტერიტორიის კვლავ აღდგინებისათვის გადამწყვეტი ფაქტორი ადამიანებია, დღეს მაცხოვრებელნი.

მეც მქონია ახლო ურთიერთობა სხვადასხვა თაობის აფხაზებთან და ოსებთან. მათგან სითბოსა და კეთილგანწყობის მეტი არაფერი მახსოვს - და მწამს, ასეთი იყო მათი აღქმაც.

ტრაგედიები ვინ იცის, საბოლოო ჯამში, იქნებ არც აშორებს. ისიც შესაძლოა, რომ საზიარო ტკივილი ურთიერთთანალმობისა და ურთიერთთანადგომის გამაძლიერებლადაც კი იქცეს. კვლავ გამოვკვეთ, ჩვენ ხომ: მეტისმეტად ბევრი გვაქვს საერთო - ვართ, ფაქტობრივად, ერთი ტრადიციის, ერთი კულტურის შვილები, გვაქვს ერთობლივი ისტორია, რომელიც ჟამისეული გამოცდაა ადამიანთა სულისა, და ერთგვარი განსაცდელი - იმის წარმომჩენი, თუ რისი ღირსნი ვართ.

დღევანდელ დრამატულ ეპოქაში ჩვენ უნდა შევძლოთ ურთიერთობის მიმართ გულგახსნილობის გამოვლენა.

საქართველოში ყოველ ოსსა და აფხაზს უთუოდ მიეცემა ფართო ასპარეზი ნიჭისა და შემოქმედების გაფურჩქვნისთვის, მათი ენისადმი ზრუნვისთვის. უზარმაზარი საზიარო კულტურული მეხსიერების ამოძირკვა არანაირ ძალას არ შეუძლია. ესაა მცირე, სავალო ეპიზოდი, ხოლო სიყვარული კი ის საწყისია, რომელსაც ვერაფერი დათრგუნავს.

ქართველთა და ოსთა, ქართველთა და აფხაზთა ერთობა თავისი სიწმინდით ხელშეუხებელია და განუზომლად აღემატება ყველანაირ დროისმიერ უკუღმართობას. სწორედ ეს გვანიჭებს ჩატეხილი ხიდის აღდგინების ურყევ რწმენას...

გრიგოლ ორბელიანმა, ალბათ, ყველაზე შთამბეჭდავად გამოხატა ჩვენი ერთობის სული - გავიხსენოთ მისი დიდებული ლექსი:

თამარის დროშა გაშალეს,
შეკრბა დიდუბის ლაშქარი,
კახი ფარ-შუბით, თუში ხმლით,
ფშავ-ხევსურს შვენის აბჯარი,
მკლავით ძლიერი ქართლელი,
ვით ციხე-ბურჯი მაგარი,
ოსი ფეხმარდი, მთიული ბრძოლაში შეუპოვარი,
მესხი სწავლითა ქებული,
გმირი იმერი ზრდილობით,
და მშვილდოსნობით აფხაზი,
გურული, მეგრი მკვირცხლობით...

# ფესტივალის მიღწევა

## "ყვითელი ფოთლები" "სონის" ბესტსელერში მოხვდა

ვერა ნეფარიძე

*გია ყანჩელის "ყვითელი ფოთლები" ლონდონის სიმფონიური ორკესტრისა და კრის ბოტის შესრულებით "სონი მიუზიქის" ბესტსელერი გახდება. კრის ბოტის When I Fall in Love სახელგანთქმული მუსიკალური კომპანიის გამოშვებულ ჩანაწერებს შორის ყველაზე ტირაჟირებული ალბომი იქნება. ამას გარდა, ეს ალბომი თავს ისეთი დონის ვოკალისტების მონაწილეობითაც მოიწონებს, როგორიცაა სტინგი და ანდრეა ბოჩელი.*

ასეთი შედეგი (ქართველი კომპოზიტორის ნაწარმოების შეტანა ევროპულ ჩანაწერში) თბილისის წლევანდელ ჯაზფესტივალზე ადგილობრივი და მოწვეული მუსიკოსების თანამშრომლობას მოჰყვა. ფესტივალი ერთ კვირაში დასრულდა; არავინ იცის, როდემდე გაგვყვება ლეგენდარული მაკლაფლინისა და მისი ინდოელი "ძმების" პირველი სტუმრობითა თუ ახალგაზრდა, მომხიბვლელი და ნიჭიერი კრის ბოტის საკონცერტო გამოსვლით მიღებული შთაბეჭდილებები; ყველაზე სასიამოვნო კი მაინც ის სიახლეა, რაც რამდენიმე დღის წინათ გახდა ცნობილი. ესაა პირველი სერიოზული შედეგი, რაც თბილისის ტრადიციულმა ჯაზფესტივალმა მოუტანა თანამედროვე ქართულ მუსიკას; პირველი მაგალითი ჩვენთვის, რომ ხანდახან ფესტივალი მხოლოდ კონკრეტულ დროში გაგრძელებული ღონისძიება არაა. ხშირად, მისგან მოსავალს კარგა ხანს იმკიან ხოლმე.

რასაკვირველია, ჩვენი ფესტივალები ბევრად განსხვავდება დასავლურისგან; მოკლებულია იმ სისხლსავსე ცხოვრებას, რითაც ნამდვილად მისაბაძი და მიმზიდველია ევროპისა და ამერიკის ცნობილი ფესტივალები, სადაც მთელი ქალაქი ფესტივალის განრგიგზეა გადასული; ჯემ-სეიშენები, კონცერტები, (ყველა მათგანზე დასწრება უბრალოდ შეუძლებელია, რადგან პარალელურად შეიძლება სამიოთხი კონცერტი იმართებოდეს), შეხვედრები, საქმიანი გარიგებები... ჩვენ რასაკვირველია, ასეთ ფუფუნებას მოკლებულნი ვართ. მაგრამ, საქართველოს ბანკის თბილისის რიგით მერვე ჯაზფესტივალი თუნდაც იმიტომ იყო განსაკუთრებული, რომ წელს საფუძველი ჩაეყარა ადგილობრივი და მოწვეული მუსიკოსების თანამშრომლობას, რაც ჯაზფესტივალების მთავარი დამახასიათებელი ნიშანია.




ნატო მეტონიძე და კრის ბოტი თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში.

როდესაც ქართული სტუმართმოყვარეობით აღფრთოვანებულმა კრის ბოტმა კონცერტამდე არ დამალა გია ყანჩელის ნაწარმოებისადმი განსაკუთრებული სიმპათია და მერეც, ფილარმონიაში შესრულებული ნომრებით შეეცადა ეს დამოკიდებულება კიდევ უფრო დაემტკიცებინა მასპინძლებისთვის, არ დაგიმალავთ და ვიფიქრე, ზრდილობიანი ადამიანებისთვის დამახასიათებელი (კარგი მუსიკოსები ძირითადად ასეთები არიან) ჟესტია-თქო. მაგრამ, კრის ბოტი ბოლომდე გულწრფელი ყოფილა. სამშობლოში დაბრუნებულმა მუსიკოსმა არ დაივიწყა თბილისში დაწყებული თანამშრომლობა, რაც საინტერესოდ გააგრძელა. ცნობილმა მესაყვირემ "ყვითელი ფოთლები" ლონდონის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად ჩაწერა; კომპოზიცია შევა მუსიკოსის მორიგ ალბომში - When I Fall in Love.

ალბომი მხოლოდ ქართველი მსმენელისთვის არ იქნება განსაკუთრებით საინტერესო. ამ ჩანაწერზე დიდ იმედებს ამყარებენ. დავიწყოთ იმით, რომ ალბომის პროდიუსერია ბობი კოლომბი; ჯგუფ Blood, Sweat & Tears-ის დამაარსებელი და ყოფილი დრამერი; ამას გარდა, კოლომბი 15 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ფირმა "სონის"; იყო მაიკლ ჯექსონის, ბარბრა სთრეიზანდის, ჩაკა ხანისა და Earth Wind & Fire-ის პროდიუსერი. ამჟამად თანამშრომლობს "სონისთან" აღნიშნული ალბომის აღმოსავლეთ ევროპაში გასავრცელებლად. ცალკე თემაა ალბომში მონაწილე მუსიკოსების თანავარსკვლავედი. სპეციალური სტუმრების სტატუსით დისკის ჩაწერაში მონაწილეობა მიიღეს სტინგმა, ცნობილმა საოპერო მომღერალმა ანდრეა ბოჩელიმ და პოლა ქოლმა. ინსტრუმენტალისტებს შორის ამ ალბომში შევხვდებით: ვინი კოლაიუტას, ჯეფ ლორბერის, ბილი ჩილდსს, ბრაიან ბრომბერგს, ბილი კილსონსა და დომინიკ მილერს. თავად პროდიუსერი ამაყობს და ირწმუნება, რომ ესაა საუკეთესო ალბომი მათ შორის, რაზეც კი დღემდე უმუშავია; თუკი გავითვალისწინებთ, რომ ჩანაწერზე "სონი" უზარმაზარ თანხას ხარჯავს, კოლომბის სიტყვებში ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს. თუმცა, ყველაფერში თავად დავრწმუნდებით, როდესაც ალბომი გამოვა (რაც შემოდგომისთვისაა დაგეგმილი). ჩანაწერზე დიდ იმედებს ამყარებს "სონიც" და მიაჩნია, რომ ეს იქნება მის მიერ გამოშვებული ყველაზე ტირაჟირებული ინსტრუმენტული ალბომი. When I Fall in Love კლასიკური მუსიკისა და ჯაზის კომბინაციაა. რაც შეეხება "ყვითელი ფოთლების" ბრიტანულ ვერსიას, მისი მოსმენის შესაძლებლობა მომცა "ისთერნ პრომოუშენმა" და შემიძლია თამამად ვაღიარო, რომ არაჩვეულებრივია. ამიტომაც თქვა ავტორმა გია ყანჩელმა კომპოზიციის მოსმენის შემდეგ: "იმდენად მომეწონა ყველაფერი, რომ კომპოზიციის დამთავრებისას სინანულის გრძნობა გამიჩნდა. ასეთი გრძნობა მხოლოდ ჩანაწერის სასარგებლოდ მეტყველებს, ამიტომ მადლობის გარდა არაფერი მეთქმის".

# "ჯეჯილს" 115 წელი უსრულდება

თამარ სუხიშვილი

"ჯეჯილი" - ქართული საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი. გამოდიოდა თბილისში 1890-1923 წლებში. რედაქტორი და გამომცემელი ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა. ანასტასია თუმანიშვილმა თავის გარშემო შემოიკრიბა ცნობილი მწერლები - იაკობ გოგებაშვილი, რაფიელ ერისთავი, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, თედო რაზიკაშვილი, შიო მღვიმელი, ეკატერინე გაბაშვილი და სხვები.

თავდაპირველად ჟურნალი წელიწადში ექვსჯერ გამოდიოდა, მერე ყოველთვიური გახდა. ჰქონდა დამატებები: ალმანახი "ცხოველთა სამეფოდან", კრებულები "მოლაღური", "მერცხალი", "კუნწულა".

"ჯეჯილი" 1904 წლამდე ერთადერთი საყმაწვილო გამოცემა იყო. პირველი ნომრიდანვე ჟურნალში იბეჭდებოდა ცოცხალი კლასიკოსების ლექსები და მოთხრობები, ისტორიული ფაქტები, ანდაზა-გამოცანები. "ჯეჯილის" პირველ ნომერში პირველად დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის "ბაზალეთის ტბა", რომელიც 1883 წლის 14 ივლისს დაიწერა.

"ჯეჯილი" დაერქვა 1980 წელს ყოველწლიური ალმანახსაც, რომელსაც "ნაკადულის" გამომცემლობა უშვებდა და რომელიც 1968 წელს დაარსდა "საყმაწვილო ლიტერატურის მოამბის" სახელწოდებით.

დღეს ძველი "ჯეჯილის" გამოცემები ბიბლიოგრაფიულ იშვიათობადაა ქცეული. სამაგიეროდ, გვაქვს ახალი გამოცემები.




ჟურნალ "ჭეჭილის" უკანასკნელი ნომერი.

ჟურნალი "ჯეჯილი" კი, 1997 წელს განახლდა. გამომცემლები შეეცადნენ ძველი ჟურნალის ტრადიცია გაეგრძელებინათ და, რა თქმა უნდა, გამოცემისთვის თანამედროვე ელფერიც მიეცათ. თუ ადრე ის შავ-თეთრი იყო და გრაფიკული ნახატებით დასურათებული, ახლა ნახატები ფერადია, და ჟურნალიც ცარცის ქაღალდზე იბეჭდება.

ოტია იოსელიანი, გოდერძი ჩოხელი, ცირა ქიტიაშვილი, მუხრან მაჭავარიანი... - ეს ავტორები ჟურნალთან სისტემატურად თანამშრომლობენ. პერიოდულად იცვლებიან მხატვრები: ალექსანდრე ციხელაშვილი, მანანა გუნია, ნანა ღვინეფაძე, ნელი რაინგოლდი. ეს იმიტომ, რომ ნომრები ერთმანეთს არ დაემსგავსოს და მარტო შინაარსობრივად მრავალფეროვანი კი არა, გარეგნულადაც განსხვავებული იყოს. "ჯეჯილში" სამი გვერდი პატარების ნამუშევრებს ეთმობა - მათ ნაწერებს და ნახატებს.

ჟურნალი რაიონებშიც ვრცელდება. ჟურნალის მესვეურნი თავიანთ გამოცემას მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლებსაც ურიგებენ ხოლმე. პატარა ავტორები რედაქციას ბავშვთა სახლებიდანაც ეხმიანებიან - წერილებს გზავნიან, რეკავენ...

"ჯეჯილი" ორ თვეში ერთხელ გამოდის. მუდმივი სპონსორი არ ჰყავს. ხან ვინ აფინანსებდა, ხან - ვინ. გარკვეული პერიოდის მანძილზე უკრაინაში საქართველოს ელჩის - გიორგი ქათამაძის და უკრაინაში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენების - ლევან და რეზო ფარცხალაძეების დახმარებით გამოდიოდა.

თუ უახლოეს მომავალში სპონსორი ვერ მოიძიეს, ჟურნალს დახურვა ემუქრება.

"წელს ორი ნომერი გამოვიდა. კიდევ ერთ ნომერს გამოვცემთ და მერე არ ვიცით, როგორ იქნება. თუ გამოჩნდება ვინმე და ჟურნალის გადარჩენის სურვილს გამოთქვამს, ხომ კარგი, თუ არადა..." - ამბობს ჟურნალის რედაქტორი, ბატონი ტრისტან ჩიხლაძე.

2005 წელს "ჯეჯილს" დაარსებიდან 115 წლის იუბილე უსრულდება. ჟურნალის რედაქციას კი საიუბილეო თარიღის აღნიშვნაზე მეტად სხვა საფიქრალი აქვს - როგორ გადაარჩინოს ჟურნალი დახურვას.

# ალიშია ხარ?



"პატარავ, თუ რამის გეშინია, გარეთ გამოდი, აკრიფე 489-4608, და მე შენთან გავჩნდები," - მღერის პოპ-ვარსკვლავი ალიშია კისი თავის ახალ სიმღერაში "დღიური". ამ სიმღერით მან ერთ პატიოსან, პენსიაზე გასულ მღვდელს, ბატონ ტერნერს, სიცოცხლე გაუმწარა: ალიშიას თაყვანისმცემლები მას პერმანენტულად ურეკავენ.

ტერნერის ტელეფონი ყოველდღიურად 20-25-ჯერ რეკავს, ზოგჯერ დილის ხუთი საათიდან: "ალიშიას სთხოვეთ, თუ შეიძლება!?" ჯორჯიის შტატში მცხოვრები ღვთისმსახური თავის ტელეფონის ნომერს მაინც ვერ ელევა, სხვა თუ არაფერი, შეჩვეული ყოფილა - 14 წელია, ამ ნომრით სარგებლობს.

მომღერლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სიმღერაში წარმოთქმული ტელეფონის ნომერი ნიუ იორკში თავად ალიშიასი იყო. მხოლოდ კოდი იყო სხვა, თორემ თუ ამ ნომერს ნიუ იორკში აკრეფდით, ავტომოპასუხით თავად ვარსკვლავი გაგესაუბრებოდათ. ალიშია კისს ამ ნომრის დამღერებით უნდოდა, რომ "სიმღერაში თავისი პიროვნება ჩაექსოვა", და ის სულ არ აპირებდა ჯორჯიაში მცხოვრები ხანდაზმული მამაკაცის გაჯავრებას.

ტერნერს ისღა დარჩენია, მოითმინოს, ან ალიშია კისად გაასაღოს თავი.

# "სულ ლიტერატურის ბრალია"

## 105 წლის წინათ დაიბადა ალფრედ ჰიჩკოკი

*მისი სახელი ყველასათვის ცნობილია. მან მძაფრი დეტექტიური სიუჟეტის მქონე ფსიქოლოგიური ფილმები გადაიღო. ალფრედ ჰიჩკოკს თავის სურათებში განსაკუთრებული ატმოსფეროს შექმნა შეეძლო - შიშისა და ირონიის გასაოცარი ნაზავისა.*
*ეს საუბარი იტალიურ გაზეთ "ესპრესოში" დაიბეჭდა. ალფრედ ჰიჩკოკს "ავანგარდის მეფე", ენდი ვორჰოლი უსვამს კითხვებს. მსოფლიო კინოს დიდოსტატის პასუხები ვორჰოლს ფირზეც თავად ჩაუწერია და გამოსაქვეყნებლადაც თავად მოუმზადებია.*



*ალფრედ ჰიჩკოკს თავის სურათებში განსაკუთრებული ატმოსფეროს შექმნა შეეძლო - შიშისა და ირონიის გასაოცარი ნაზავისა.*

**- ამბობენ, რომ თქვენს ფილმებში ყველაზე მნიშვნელოვანი დეტალებია, ასევე ის შეცდომები, რომლებიც თავად დაუშვით.**

- შესაძლებელია, თუმცა ვცდილობ, ნაკლები შეცდომა დავუშვა. ასე, ფილმში "სარკმელი" მაყურებელს ვაფრთხილებ, რომ ორ შემთხვევას ვეყრდნობი. ერთი პატრიკ მარმის საქმედაა ცნობილი, მეორე - დოქტორ კრიპინის საქმედ. დოქტორმა კრიპინმა ცოლი მოკლა. ის პირველი მკვლელი იყო, რომელიც რადიოს მეშვეობით დაიჭირეს. მისი სიტყვიერი პორტრეტი რადიოთი გადმოსცეს, და დამნაშავე დააპატიმრეს. პოლიციას ისიც დაეხმარა, რომ მეზობლებმა, კერძოდ, ვინმე მისის მარტინელიმ, შენიშნა, რომ კრიპინის მდივანმა უბედური ცოლის კუთვნილი სამკაულების ტარება დაიწყო. ყველაფერი ეს ფილმში ზუსტადაა "ციტირებული".

**- თქვენ მრავალი მსგავსი შემთხვევის შესახებ იცით. იქნებ თქვენ მიპასუხოთ კითხვაზე, რომელიც დიდი ხანია, მაწვალებს: რატომ კლავენ ადამიანები თავისნაირებს?**

- ადრე ეკონომიკური მოსაზრებებით კლავდნენ. განსაკუთრებით, ინგლისში. კერძოდ, იმიტომ, რომ განქორწინება ძალიან ძნელი იყო და ძვირიც ღირდა.

**- რა ხალხს ახასიათებს მკვლელობისკენ სწრაფვა და რატომ?**

- ჩვეულებრივ, ამას სასოწარკვეთილების გამო აკეთებენ ხოლმე. მაგალითად, როცა არ იციან, სად გაიქცნენ. შეიძლება, იმ დღეს მოტელში ადგილი არ იყოს და კაცს პარკში, ბუჩქებში მოუწიოს ღამის გათენება. ასეთ სიტუაციაში ჩავარდნილი ადამიანი სასოწარკვეთილებისგან მკვლელი ხდება.

**- მაგრამ თუ მკვლელი რეციდივისტია?**

- ეს ფსიქოპათები არიან. ხშირად - იმპოტენტები. მსგავსი შემთხვევის შესახებ "ფრეზიში" მოვყევი. კაცი აბსოლუტური იმპოტენტი იყო, სანამ მორიგ მკვლელობას არ ჩაიდენდა.

**- ერთხელ მეც მესროლეს. როცა თავს დამესხნენ, უცებ მომეჩვენა, რომ კინოს იღებენ, ან რომ ვზივარ და ტელევიზორს ვუყურებ. ხშირად პირიქით ხდება ხოლმე: ტელევიზორს უყურებ და გგონია, რომ ყველაფერი შენ გემართება. მე მგონი, ის ხალხი, რომელიც კლავს, ასეთსავე რამეს განიცდის.**

- შეიძლება, და მერე ყველაფერი შენგან დამოუკიდებლად ხდება, სპონტანურად.

**- მაგრამ თუ ასეთი რამ ერთხელ უკვე ჩაიდინე, შეიძლება ეს კვლავ და კვლავ გაიმეორო, და მერე მკვლელობა ჩვეულებრივი რამე ხდება, არა?**

- გააჩნია, პირველ გვამს როგორ მოიშორებ. პირველი მკვლელობის შემდეგ ეს ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა!

**- ხომ არ გგონიათ, რომ ეს თემატიკა ყველაზე მეტად ინგლისელებს აინტერესებთ?**

- მე მგონი, დანაშაულები ინგლისელებს ყოველთვის იზიდავდა. სულ ლიტერატურის ბრალია, კონან დოილით დაწყებული და აგატა კრისტით დამთავრებული.

**- თქვენი ცოლი თქვენს ფილმებში გადაგიღიათ?**

- არასოდეს.

**- სტატისტადაც კი?**

- ამაზე არაფრით დამთანხმდებოდა. თუმცა, კინოში ჩემზე დიდხანს "ცხოვრობს". ის ხომ მწერალია, თან ცხრამეტი წლიდან საგამომცემლო საქმითაა დაკავებული.

**- და ქალიშვილი პატრიცია?**

- ის - კი...

**- და მერე თქვენც ითამაშეთ ფილმში "დანაშაული დანაშაულის გამო".**

- ჰო.

**- ვგიჟდები ჰოლივუდზე. დიდი ფარდულივითაა, სადაც გამოჩენილი ადამიანის შვილები არიან გამოფენილი. უმცროსი დეზი, ლაიზა მინელი, ანჟელიკა ჰიუსტონი, ჯერალდინ ჩაპლინი, ტეიტუმ ო`ნილი. როგორ მოგწონთ?**

- მმმმ...

**- მაგარი იდეაა - მსოფლიოში ცნობილი ვარსკვლავების ქალ-ვაჟით ტკბობა, გამოჩენილთა ქორწილებზე დასწრება...**

- მმმმ...

**- როგორ გგონიათ, კვლავაც გადაიღებენ 100 მილიონ დოლარად ღირებულ ფილმებს?**

- იმედია, არა.

**- რატომ?**

- ჩავარდება. უცნაური ამბავია! ჩემი ყველაზე ძვირადღირებული ფილმი, "საერთაშორისო შეთქმულება", 4 მილიონი დოლარი დაჯდა. ვინაიდან მე არ მჯერა იმ თეორიის, რომ საუკთარ თავს უნდა გადააბიჯო ხოლმე, საკუთარ თავს ვუთხარი: "ახლა "პატარა" ფილმს გადავიღებ. 800 ათას დოლარად".

**- მერე?**

- ეს "ფსიქო" იყო. მან მეტი ფული მოიტანა, ვიდრე "საერთაშორისო შეთქმულებამ": სუფთა 16 მილიონი დოლარი.

**- და რატომ იყო "საერთაშორისო შეთქმულება" ასეთი ძვირი?**

- გადასაღებ მოედანზე რაშმორის მთის წამოჭიმვა მოგვიწია, რომელზეც ამერიკის პრეზიდენტების პროფილებია ამოჭრილი. ნამდვილი რაშმორი ვერ გადავიღეთ - სახლმწიფო დეპარტამენტი ნებას არ გვრთავდა. სულ იმიტომ, რომ ჩემი სცენარის თანახმად, კერი გრანტი ლინკოლნის ცხვირზე უნდა ჩამოცურებულიყო და მის ნესტოში დამალულიყო, მეორე კაცს კი უნდა ეძებნა. მერე ყველაფერი ასე ვითარდება: კერი გრანტი, ანუ მისი გმირი, ნესტოში ზის და უცებ ხვდება, რომ დააცემინებს... ჰოდა, აცემინებს კიდეც. მაგრამ სახელმწიფო დეპარტამენტმა ამ სცენის გადაღების ნება არ დაგვრთო. ასე გვითხრეს იმიტომ, რომ რაშმორის მთა დემოკრატიის საკურთხეველიაო. ჰოდა, მისი პავილიონში აშენება მოგვიხდა.

**- გადაღებების დროს ბრაზობთ ხოლმე, მსახიობებს უყვირით?**

- არა, არასოდეს მიყვირია. ყველა ამბობს, რომ გადაღებების დროს საერთოდ არაფერს არ ვხელმძღვანელობ. ასეცაა. მუშაობის დაწყებამდე ყველას ცალ-ცალკე ველაპარაკები. სხვაგვარად რატომ უნდა მოვიქცე, ვერ ვხვდები. ერთხელ, ეს 1938 წელს მოხდა, კინოკომპანია "პარამაუნტის" ტერიტორიაზე მივდიოდი და დავინახე, რომ ვიღაცა რეჟისორი რუპორში ღრიალებს, მსახიობებს ხელმძღვანელობს. ვიფიქრე: "ღმერთო, ალბათ, რა მაგარია ასე მუშაობა". მაგრამ მე სხვანაირად ვაკეთებ - გადასაღები მოედნის ფარგლებს მიღმა ვმუშაობ.

**- "ნოტორიუსზე" ზელცნიკთან** (ცნობილი პროდიუსერი - რედ.) **ერთად მუშაობდით?**

- საერთოდ, კი. მაგრამ ვინაიდან მას ურან-235-ის ამბისა არ ეჯერა, საბოლოოდ ფილმის შექმნის უფლება სხვა კომპანიას დაუთმო და თვითონ მოგების 50 პროცენტი მოითხოვა. ამ ამბავში, რომელიც 1944 წელს დავწერე, ატომური ბომბის შექმნაზე იყო საუბარი. მაგრამ ზელცნიკმა არ დამიჯერა...

**- განსაცვიფრებელია! როგორ შეძლეთ ხიროსიმას წინასწარმეტყველება ერთი წლით ადრე, ვიდრე ყველაფერი მოხდებოდა?!**

- მე მრავალი წელი ვიცნობდი რეზერფორდს - ის ატომის გახლეჩის პრობლემაზე მუშაობდა. ისიც ვიცოდი, რომ გერმანელები დიდი ხნის განმავლობაში ატარებდნენ ცდებს მძიმე წყლის მისაღებად. მერე, ამერიკელმა მწერალმა რასეო მაჰონიმ ერთხელ მიამბო, რომ ნიუ მექსიკოს შტატში არის ერთი ადგილი, სადაც მრავალი ადამიანი მიემგზავრება, მაგრამ არავინ ბრუნდება... ჰოდა, უმარტივესი არითმეტიკული ოპერაცია ჩავატარე - შევკრიბე: ორს პლუს ორი უდრის ატომურ ბომბს.

**- ჰო, გრანდიოზული რამ იქნებოდა - ბირთვული ბომბარდირების საშინელების ჩვენება ერთი წლით ადრე, ვიდრე ატომურ ბომბზე მუშაობას დაასრულებდნენ!**

- პრაქტიკულად, "ნოტორიუსი" სწორედ ამ ამბავს ჰყვება. ფილმში გერმანელები ურანის საძებნელად სამხრეთ ამერიკაში მიემგზავრებიან. ოღონდ ჩემს ფილმში ბომბი არ ჩანს, ჩემთან ეს ღვინის ბოთლია...

# მე მქვია ფლემინგი, იან ფლემინგი

## 40 წლის წინათ ჯეიმს ბონდის მამა გარდაიცვალა





*(მარცხნივ): ყველა ბონდის გოგოსთვის მისაბაძი მაგალითი - ჰანი რაიდერის როლში ურსულა ანდრესს ვერავინ აჯობა. (მარჯვნივ): იან ფლემინგი.*

თავად იან ფლემინგის ცხოვრების ამბავიც საინტერესო წიგნი იქნებოდა, მაგრამ მწერალმა თავგადასავლების საძიებლად სულ სხვა კაცი, აგენტი 007 აირჩია. სწორედ ასე შევიდა ის ისტორიაში - როგორც აგენტ 007-ის "მამა".

ჯეიმს ბონდის შექმნის აზრი მას კაზინოში გაუჩნდა. ფლემინგმა, ბრიტანეთის საიდუმლო სამსახურის აგენტმა იქ ორი მტრის ჯაშუში აღმოაჩინა. იმისათვის, რომ ისინი "გაეუვნებელყო", ფლემინგს სათამაშო დარბაზში მათთვის მთელი ფულის წართმევა ჰქონდა განზრახული. მაგრამ საქმე ცუდად წაუვიდა - დარბაზის ცარიელი ჯიბით დატოვება თავად მას მოუწია. მისი ლიტერატურული ალტერ ეგო პირველ ჯეიმს-ბონდ-თრილერში "კაზინო რუიალი" ოპერაციას შეუდარებლად უკეთ წაუძლვა...

"მან უცებ შეისხა ხორცი; ის საიდუმლო აგენტისა და "კომანდოსის" ტიპების ნარევია - ამ უკანასკნელებს ომის დროს შევხვედრივარ," - თქვა ერთხელ ფლემინგმა თავის ზნეობრივად არამდგრად გმირზე. მართლაც, აგენტი 007 სვამს (ცხადია, დიდად არ თვრება) და გამოუსწორებელი კაზანოვაა. ის, ჯეიმს ბონდი თავის შემქმნელს ძალიან ჰგავდა: ფლემინგსაც უყვარდა ქალები, კარგი სასმელი, ეწეოდა კიდეც.

გმირს მარტივი სახელი უნდა ჰქონოდა: ჯეიმს ბონდი. პირველივე თრილერი მკვლელობის ლიცენზიით შეიარაღებული საიდუმლო სამსახურის აგენტის შესახებ ბესტსელერი იყო. სულ მალე აგენტი 007 ძალიან პოპულარული გახდა, ამერიკასა და ავსტრალიაში ჯეიმს ბონდის მოყვარულთა კლუბებიც კი გაიხსნა. ფლემინგის თრილერების თავდადებული მკითხველები პრინცი ფილიპი, ედინბურგის ჰერცოგი თუ ძმები კენედები იყვნენ (სანამ ცოცხალი იყო, ფლემინგი ჯონ კენედის ყოველი ახალი წიგნის თითო ეგზემპლარს თეთრ სახლში უგზავნიდა ხოლმე).

მაგრამ ეს წარმატება არაფერი იყო იმასთან შედარებით, რაც პირველი ეკრანიზაციის შემდეგ მოხდა. წიგნების ტირაჟი ერთიათად გაიზარდა. პირველი ჯეიმს ბონდის შემსრულებლის არჩევაში თავად ფლემინგიც იღებდა მონაწილეობას, და შონ კონორის გადაღებების დროს გადასაღებ მოედანზეც დადიოდა ხოლმე.

პირველი ორი ფილმი - "ჯეიმს ბონდი და დოქტორ No" (1961) და "მოკითხვა რუსეთიდან" (1963) ფლემინგმა თავადაც იხილა, მაგრამ Goldfinger-ის ნახვა ველარ მოასწრო - როგორც მოგახსენეთ, ორმოცი წლის წინათ, 1964 წლის 12 აგვისტოს, მას იამაიკაზე გულის შეტევა დაემართა და გარდაიცვალა.

■ ■ ■

იან ფლემინგი 1908 წლის 28 მაისს, ლონდონში დაიბადა. მამამისი პარლამენტის წევრი და ოფიცერი იყო, თან იმდენად ბრწყინვალე, რომ პირველ მსოფლიო ომში მისი დაღუპვის შემდეგ "თაიმსში" გამოსამშვიდობებელი წერილი თავად ვინსტონ ჩერჩილმა დაწერა.

თავიდან იანსაც სამხედრო კარიერა იტაცებდა, მერე კი, ჟენევასა და მიუნხენში სწავლის შემდეგ, გადაწყვიტა, ჟურნალისტი გამხდარიყო. მრავალი წლის განმავლობაში მას მოსკოვში, სააგენტო "როიტერში" უწევდა მუშაობა. შემდეგი სამუშაო ადგილი ლონდონში ჰქონდა, საბანკო საქმეში იყო ჩართული, და იმდენი ფულიც გააკეთა, რომ თამამად შეეძლო, ფუფუნებაში ეცხოვრა.

მაგრამ ფლემინგს ფუფუნება მალე მობეზრდა. მეორე მსოფლიო ომის დროს ის მოხალისეთა რიგებში ჩადგა, ბრიტანული საზღვაო ფლოტის რეზერვში. სწორედ იქ გაიცნო მან საზღვაო ფლოტის საიდუმლო სამსახურის უფროსი, კონტრადმირალი ჯონ გოდფრი, და მისი მარჯვენა ხელიც გახდა. ამბობენ, რომ ამ სფეროში ფლემინგს საარაკო საქმეები ჰქონდა ჩადენილი - მთლად ჯეიმს ბონდივით.

ომის დამთავრების შემდეგ კი მეგობარმა, ლორდ კიმსლიმ, იან ფლემინგს "თაიმისა" და "სანდი თაიმის" უცხოეთის განყოფილების ხელმძღვანელობა ჩააბარა. ამიერიდან მამაც მებრძოლს იმის შესაძლებლობა მიეცა, რომ მეტწილად თავის მეორე, "არჩეულ" სამშობლოში, იამაიკაზე ეცხოვრა და 50-იანი წლების დასაწყისში თავისი პირველი რომანიც დაეწერა - "კაზინო რუიალი".

ასე დაიბადა ჯეიმს ბონდი, რომელიც დღესაც ცოცხალია და დღემდე სულ ნაირ-ნაირი სახით გვევლინება

ნინია კაკაბაძის სვეტი

# რაო, რაო?...



"ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ..." არ გეგონოთ, რომ შუა ღამე იწვის. არა, დღის ხუთი საათია, გარეთ მზიანი ამინდია და ზღვის ნაპირზე გდების მაგივრად, კომპიუტერთან მიწევს ჯდომა და სვეტის წერა. დიახ, ზღვაზე ვარ, ბათუმში და ყველაფერი, რასაც ახლა დავწერ, მხოლოდ ყურმოკრულ ინფორმაციას დაეყრდნობა. ყურმოკრული კი იმიტომ რომ, აქ არც პრესას ვეცნობი, არც ტელევიზორს ვუყურებ და შეიძლება ითქვას, რომ ინფორმაციულ ვაკუუმში ვარ. მაგრამ, ეს არაფერს ცვლის, სვეტი მაინც უნდა დაიწეროს და ამიტომ იმას მიეძღვნება, რასაც ამ დღეების მანძილზე ყური მოვკარი და ცოტა რამეს, რაც ჩემი თვალით ვნახე. გეთანხმებით, რომ არსებობს ისეთი ზოგადსაკაცობრიო თემები, რომელიც ცხელ "ნიუსებს" არ ეყრდნობა და რომელზეც მეც სიამოვნებით უნდა ვწერდე და თუკი ნაწერი კარგი გამოვა, თქვენც სიამოვნებით უნდა კითხულობდეთ, მაგრამ ხომ იცით ზღვას რა თვისებები აქვს - ისეთ სენტიმენტებს აღძრავს, მით უმეტეს, კარგი ამინდი, რომ ყველაფერი ამის პუბლიკაციად ქცევა, ზედმეტად კომიკური იქნება და საყოველთაო თუ არა, პრესომბუდსმენის კრიტიკას ნამდვილად ვერ გადავურჩები. ამიტომ, ისევ ჩვეულ სტილში გავაგრძელებ და ვეცდები, ჩემი აქაური შთაბეჭდილებები ნაწილობრივ მაინც გაგიზიაროთ.

პირველი - მიშა. მიშა ჩემი ქვეყნის პრეზიდენტია და თქვენიც. თბილისში, ბევრისგან მსმენია და გარკვეულწილად მეც ვუერთდები მათ საყვედურს, რომ ის ზედმეტად ბევრია ქალაქში. გარდა იმისა, რომ ბევრს დადის, ბევრს მოძრაობს, სულ ლაპარაკობს, მეტროში, სხვათა შორის, დიდი ხანია არ ჩასულა, და გარდა მისი ცოცხალი კადრებისა, მისი ფოტოსურათებიც ძალიან ბევრია. დიდი ბილბორდები - მიშა და ვარდი, პატარა პლაკატები - მიშა და ვარდი, ვარდი მიშას გარეშე და ხანაც მიშა ვარდის გარეშე. დამეთანხმებით, რომ ნამდვილად ბევრია და ცოტა ზედმეტად ბევრიც. ჩემი და სხვა აღშფოთებულ მოქალაქეთა პრეტენზიები, პირველ რიგში, თავად მიშასკენ იყო მიმართული. თხოვნა - ცოტა მეტი თავმდაბლობა. და მგონი, ცოტა თავადაც უნდა ღიზიანდებოდეს. არც მიშაა მერლინ მონრო და არც ლალი მაროშკინა სოფი ლორენი, მათ დიდ გამოსახულებას რომ ვუყუროთ გამუდმებით. მოკლედ, ლალისი არ ვიცი და ჩემი ქვეყნის პრეზიდენტს ეს უნდა ესმოდეს და საკუთარი სურათების მოხსნას უნდა ითხოვდეს. მით უმეტეს, რომ უმეტესი ნაწილი წინასაარჩევნოდ არის გაკრული. მაგრამ, ჩემი უკმაყოფილება პრეზიდენტის მიმართ ოდნავ შემსუბუქდა, როდესაც აჭარაში ჩამოვედი. აქ ხომ ნამდვილად ვერ ხედავს სააკაშვილი საკუთარ ფოტოებს, ყველა ტაქსის მძღოლს რომ გაუკრავს (ქრისტიან მძღოლებს ხატებთან ერთად, მუსულმანებს კი მარტოსულად), ყველა ოთახი, რომელიც ქირავდება თუ თავად ცხოვრობენ, მიშა და ვარდი ისევ იქ არის, ყველა მცირე თუ მსხვილი ბიზნესის სავაჭრო ობიექტების კედლებიდან მიშა მიყურებს, თან არც იღიმება. მოკლედ, საქმე ის არის, რომ პრობლემა არა მხოლოდ მიშაშია, პრობლემა ჩვენ გვაქვს. ჩემს ბავშვობაში და, ვფიქრობ, ამის შეხსენება არავის სჭირდება: სტალინი გვიმზერდა მანქანებიდან, თუ მაღაზიის კედლებიდან; აჭარაში, სადაც ყოველ წელს მიწევს ჩამოსვლა, უკანასკნელი ათი წელიწადია ასლან აბაშიძის არწივისებური მზერა მტანჯავდა, ახლა კიდევ მიშა. ისიც წინ გადადგმული ნაბიჯია, რომ დღევანდელი პრეზიდენტი არც სტალინია და არც აბაშიძე, მაგრამ თვითონ ფაქტი - გამუდმებით ძლიერი მეთაურისკენ ლტოლვა და მისი ფანატიკური სიყვარული, უკვე ზედმეტია. როგორც ზემოთ ვთქვი, სააკაშვილი არც ჯალათია და არც დიქტატორი, მაგრამ ძლიერი მეთაურია (ჯერ-ჯერობით) და თუ ასე გავაგრძელებთ, დიქტატორადაც ვაქცევთ და ჯალათადაც. დიქტატორები დიქტატორებად არ იბადებიან, მათ ხალხი ქმნის ან ხელს უწყობს. და ასეთი ფანატიკური დამოკიდებულება თუ დიდხანს გაგრძელდა, შესაძლებელია არც თუ ისე სანუკვარ შედეგამდე მიგვიყვანოს. ამის პოტენცია კი, როგორც ჩვენთან, ასევე ჩვენს პირველ პირშიც არსებობს. მე არ მინდა ვინმემ ჩემი საუბარი მხოლოდ ცალმხრივად გაიგოს, გასაგებია, რომ დღეს საქართველოს პრეზიდენტს ჩვენი, ანუ ხალხის მხსნელის სახედ ყოფნის საბაბი ნაწილობრივ აქვს, მაგრამ ესეც ხომ (ჯერ) ნაადრევია და ხსნამდე ჯერ კიდევ დიდი გზა გვაქვს გასავლელი. და ჩემი სურვილი მხოლოდ ერთია: ზედმეტად სუბიექტური, ზედმეტად ფანატიკური და ზედმეტად პოზიტიური დამოკიდებულებით შეიძლება კარგად დაწყებული ამბავი ცუდი ფინალით დავასრულოთ. მაპატიეთ ამგვარი სკეპტიციზმი, მაგრამ ამდენი მიშას სახე-ხატება, რომელიც წმინდანებთან ერთად მიმზერს გამუდმებით, ოდნავ შემაშფოთებელია. ალბათ, ყოველივე ამის პოზიტიური თვალით აღქმაც იყო შესაძლებელი, მაგრამ აქაურმა მზემ და კამკამა წყალმაც ვერ უშველა ჩემს სკეპტიციზმს.

და ახლა ის, რასაც სვეტის სათაური ეხმიანება, ის, რასაც აქ ყური მოვკარი. რაო, რაო?... ბენდუქიძემ გაჩეჩილაძეს რა უთხრაო? შეაგინაო! ეს ადამიანი, ანუ ჩვენი ახალი იმპორტული მინისტრი სანიმუშოდ დახვეწილი მანერებით, ინტელიგენტური სჯა-ბაასით და კაი სიტყვა-პასუხით რომ არ გამოირჩევა, მისი იმპორტის პირველი დღიდან ნათელი იყო. ერთხელ იყო და სწორედ ტელეკომპანია "მზის" პირდაპირ ეთერში ჟურნალისტებს ისეთი უხერხული კითხვა დაუსვა (ეტყობა მზე მასზე განსაკუთრებულად ცუდად მოქმედებს), რომ სტაჟიანმა ჟურნალისტებმა, დაბნეულობისგან პასუხი ვერ მონახეს. ახლა იყო და გაჩეჩილაძეს გაუზრდელად "შეუკურთხა". მოკლედ, მგონი, ტელეკომაპანია "მზე", თვეში ერთხელ ერთ უზრდელურ სკანდალზე, საკუთარი რეიტინგის ასამაღლებლად რაღაც გარიგებებს აწარმოებს ბენდუქიძესთან. მაგრამ ჩაწყობილია თუ არა ეს ამბავი, ფაქტი ჯიუტია და ისიც ნათელია, რომ ელემენტარული ეთიკის ნორმები ოდესლაც ბატონ ბენდუქიძეს არ შეასწავლეს და ეს სრულიად სამართლიანად გახდა საყოველთაო აღშფოთების მიზეზი. მაგრამ, მგონი, ეს ის შემთხვევაა, როდესაც სამზარეულოში (როგორც "ძველ, სანუკვარ დროში") ჩაისა და გემრიელი მურაბის თანხლებითაც საკმარისი იქნებოდა ამ საკითხით აღშფოთება. ამისათვის სპეციალური პრესკონფერენციის გამართვა ზედმეტი კეკლუცობა ხომ არ არის. მესმის, ძალიან ცუდია, რომ ბენდუქიძე ისედაც ბინძურ მედიასივრცეში, კიდევ ერთ უზნეობას ნერგავს, ბილწსიტყვაობის სახით, მაგრამ მაშინ, როდესაც უფრო დიდი და მნიშვნელოვანი პრობლემების წინაშე ვდგავართ და თუკი ამ მნიშვნელოვან პრობლემებზე არ ვაძლევთ თავს უფლებას ვისაუბროთ (ამდენი თავმდაბლობა გვყოფნის), ბენდუქიძისა და გაჩეჩილაძის "ტელე-შაირობაზე" ამდენი ჟურნალისტის შეწუხება, მოწვევა და აღშფოთების გამოხატვა, მგონი, ცოტა უსაქმური საქმიანობაა. მით უმეტეს, რომ აღშფოთება მხოლოდ ბენდუქიძის მისამართით იყო გამოთქმული, არადა გაჩეჩილაძესაც ისეთივე პათოსით და ენაწყლიანობით შეუბრუნებია სიტყვა. მაგრამ დიდი "წიწიბურა" (გრეჩიხა) ინტელიგენციასთან დაახლოებული პირია და ეს ფანდები კი, ახლად იმპორტირებულმა ბენდუქიძემ ჯერ არ იცის და არც იმის იმედი მაქვს, რომ ოდესმე, ისევე როგორც ზრდილობას, ისწავლის.

ფეხბურთი

# კომპლიმენტები "დინამოს"

## მარცხი, რომელსაც არ ვიმსახურებდით



"დინამოელები" მელქაძის გოლს ზეიმობენ.



ჩაპლარი ლამის ჭკუიდან შეიშალა.

მიხეილ აბაიშვილი
აკა ტონია

UEFA-ს თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი.

**სლავია 3:1 დინამო**

**სლავია:** *ჩერნი, კრატოხვილი, დოშეკი, შვეცი, ლატკა, კუკა, ადაუტო (ხლებუნი 84`), ფორტი (კალივოდა 46`), სედლაჩეკი (ტაბორსკი 90`), პიტაკი, ბეიბლი*
**დინამო:** *ზოიძე, ჭიჭვეიშვილი, კანდელაკი, კალუქვაძე, შაშიაშვილი, ალადაშვილი (ბურდული 69`), ნემსაძე (გრიგალაშვილი 78`), კაშია, მელქაძე, კაკალაძე, კანკავა*
**გოლები:** *0:1 მელქაძე (12`), 1:1 ადაუტო (60` პენ.), 2:1 პიტაკი (3:1`), კალივოდა (76`).*
**გაფრთხილება:** *დოშეკი, შვეცი, სედლაჩეკი, კანკავა.*
**მსაჯი:** *ლორენ დუჰამელი (საფრანგეთი).*

გაიხსენეთ, როგორ იმუქრებოდნენ ჩეხები ამ მატჩის წინა დღეებში. "სლავიას" მწვრთნელი იოჟეფ ჩაპლარი ამბობდა, დიდ პატივს ვცემ ქართულ ფეხბურთს, მაგრამ "სლავია" მაინც უფრო ძლიერი გუნდია და შემდეგ ეტაოზეც ჩვენ გავალთო. სამწუხაროა, რომ გუშინდელი მატჩის მსვლელობისას, ჩაპლარის გატანჯული სახის ხილვის საშუალება "დინამოს" გულშემატკივრებს არ მიეცათ. მაშინ, როდესაც "დინამოს" ანგარიში მიჰყავდა და ამ ანგარიშის გასაზრდელად ერთმანეთის მიყოლებით ქმნიდა სახიფათო მომენტებს, "ევჟენ როსიცკის" სტადიონის გაზონთან ჩამუხლული იოჟეფ ჩაპლარი ლამის იყო ტიროდა. სად იყო ის "სლავია" ასე ცხვირაბზეკილი რომ დაუხვდა "დინამოს"?

გუშინდელ მატჩში მხოლოდ ერთი გუნდი თამაშობდა ფეხბურთს და ეს თბილისის "დინამო" იყო. შეხვედრა თავიდანვე სტუმრების უპირატესობით დაიწყო და ეს უპირატესობა მალევე დაგვირგვინდა გოლით, თანაც როგორი გოლით! კახა ალადაშვილი მარჯვენა ფლანგზე გაირღვა, მის წინ მდგომ მცველს ფეხებს შუა გაუძვრინა ბურთი და კაკალაძეს გადააწოდა. ამ უკანასკნელმა, ალადაშვილის მსგავსად, ასევე ფეხებს შუა გაუტარა ბურთი თავის მეურვეს და პასით მელქაძე მოძებნა, რომელმაც მარცხენა დაბალ კუთხეში, დაახლოებით 12 მეტრიდან გაუტანა მეკარე ჩერნის - 1:0.

გატანილი გოლის შემდეგ მატჩის საერთო სურათი არ შეცვლილა. "დინამო" ისევ უტევდა, "სლავია" კი კვლავინდებურად სტატისტის როლში იმყოფებოდა. შეტევის განხორციელება მასპინძლებმა პირველად 32-ე წუთზე მოახერხეს, თუმცა მათმა ნახევარმცველმა პიტაკმა არაზუსტად დაარტყა.

"დინამო" კი შეტევებს განაგრძობდა. პირველი ტაიმის მიწურულს გოლის გატანის შესანიშნავი შანსი ჰქონდა ალადაშვილს, რომელმაც ექვსი მეტრიდან დაარტყა, თუმცა "სლავიას" მცველებმა მარჯვენა ფრთის მოგერიება შეძლეს.

ძნელი სათქმელია, თუ რა დავალებები მისცა ჩაპლარმა თავის ფეხბურთელებს შესვენებისას, მაგრამ თამაშის მსვლელობიდან გამომდინარე, დიდი ჭკვიანური ვერაფერი მოუფიქრებია. მეორე ტაიმიც "დინამოს" უპირატესობით დაიწყო და პირველი ტაიმის მსგავსად, თანაც ისევ მე-12 წუთზე, გოლის გატანის რეალური შანსი ისევ ლევან მელქაძეს ჰქონდა. "დინამოელთა" მე-18 ნომერი მარცხენა ფლანგზე გაიჭრა, ცრუ მოძრაობით ჩამოიშორა მეურვე და ძლიერი დარტყმით "სლავიას" კარის შორეულ მარჯვენა კუთხეში გაგზავნა ბურთი. სამწუხაროდ, მელქაძის დარტყმული ძელს მოხვდა.

მე-60 წუთზე კი მასპინძლებმა მატჩში გარდატეხის შეტანა მოახერხეს, თუმცა მსაჯის დამხარებით. კარელ პიტაკი აშკარად თამაშგარე მდგომარეობაში იმყოფებოდა, როდესაც თანაგუნდელმა მას პასი მისცა. მსაჯმა წესების დარღვევა არ დააფიქსირა და ჭიჭვეიშვილიც იძულებული გახდა, რომ პიტაკი შეეჩერებინა. ამის გაკეთება კი წესების დარღვევის გარეშე არ მოხერხდა და მსაჯმაც უყოყმანოდ დანიშნა თერთმეტმეტრიანი. "სლავიას" ბრაზილიელმა ლეგიონერმა ევანდრო ადაუტომ პენალტი ზუსტად დაარტყა და ანგარიშიც გაათანაბრა - 1:1.

ამის შემდეგ დაიწყო ის 15-წუთიანი მონაკვეთი, რომლის დროსაც "სლავიამ" აშკარად ხელთიგდო უპირატესობა და რომლის დროსაც მთელი ამ მატჩის ბედი გადაწყდა. ადაუტოს პენალტს პრაღელებმა კიდევ ორი გოლი დაუმატეს და გატანილი გოლების რაოდენობა სამამდე გაზარდეს.

ამ ავადგასახსენებელი 15 წუთის შემდეგ "დინამო" კვლავ გააქტიურდა, კაკალაძემ და კანკავამ ზედიზედ ორჯერ დაურტყეს ჩერნის კარში, თუმცა გოლის გატანა ვერა მოხერხდა.

მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე, "დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა გია გეგუჩაძემ, თავისი უკმაყოფილება გამოთქვა შედეგით, თუმცა თავისი შეგირდების გარჯით დიდად კმაყოფილი იყო: "მატჩის 58-ე წუთამდე თითოეული ფეხბურთელი ზედმიწევნით კარგად ასრულებდა ჩემს დავალებებს, რითაც ძალიან კმაყოფილი ვარ. სამწუხაროდ, ამის შემდეგ, უპირატესობა მეტოქეს დავუთმეთ და დავისაჯეთ კიდეც. თუმცა, სათასო მატჩები სწორედ იმით არის განსხვავებული, რომ გამარჯვებული აქ ორი შეხვედრის შემდეგ ვლინდება. წინ კიდევ ერთი მატჩია და შევეცდებით, რომ თბილისში წარმატებას მივაღწიოთ".

ამავე აზრზე იყო გეგუჩაძის ვიზავი იოჟეფ ჩაპლარი. "სლავიას" მწვრთნელი კარგად ხვდება, რომ განმეორებით მატჩში, მის გუნდს ძალიან გაუჭირდება "დინამოს" წინააღმდეგ. თუმცა, იმასაც ამბობდა, რომ გუშინდელ შეხვედრაში მისმა გუნდმა უჩვეულოდ ცუდად ითამაშა. "საშინლად ვითამაშეთ. "დინამო" კი ჩინებული გუნდია, რაც სრულებით არ გამკვირვებია. ქართულ ფეხბურთს კარგად ვიცნობ და ვიცი მათი შესაძლებლობები. მიუხედავად იმისა, რომ 3:1 გავიმარჯვეთ, არავინ იცის, თუ ვინ გავა შემდეგ ეტაპზე. ყველაფერი თბილისში გაირკვევა", - განაცხადა ჩაპლარმა.

თბილისში კი მართლაც ბევრი რამ გაირკვევა. მიუხედავად არასახარბიელო ანგარიშისა, გუშინდელმა მატჩმა ყველას თვალნათლივ დაანახა, რომ "დინამოს" "სლავიას" დამარცხების უნარი ნამდვილად შესწევს. თანაც, განმეორებით მატჩში "დინამოს" ის ფეხბურთელებიც დაემატებიან, რომლებმაც ტრავმების გამო ვერ ითამაშეს პრაღაში. გუნდის ექიმის, დიმიტრი ზაალიშვილის თქმით, "სლავიას" წინააღმდეგ მომავალ შეხვედრაში მონაწილეობის მიღებას კვირკველიაც შეძლებს, ახალაიაც და რომეროც.

# "თბილისმა" გუშინ ფეხბურთი ითამაშა

## თუმცა, გასამარჯვებლად გამოცდილება დააკლდა

UEFA-ს თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი.

**თბილისი 0:1 ლეგია**

**თბილისი:** *დევაძე, ქემოკლიძე, კვარაცხელია, ორბელაძე, სამხარაძე (ლოლაძე 35`), გოგუა (ელიავა 60`), აფციაური, ოდიკაძე, ჭელიძე, მიკუჩაძე (მიქაძე 65`), ხოჯავა.*
**ლეგია:** *ბორუცი, შალა, იუჟვიაკი, სოკოლოვსკი-2 (ვრობლევსკი 80`), სურმა, ვკოდარჩიკი, საგანოვსკი, კიეკბოვიჩი, მაგიერა, დუდეკი (კურავზიონე 78`), სოკოლოვსკი-1 (კოვალსკი 45`).*
**გოლი:** *სოკოლოვსკი-2 (77`).*
**გაფრთხილება:** *სურმა, აფციაური.*
**მსაჯი:** *იორგ კესლერი (გერმანია)*

როდესაც UEFA-ს თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩების კენჭისყრამ თბილისის "თბილისს" მეტოქედ ვარშავის "ლეგია" არგუნა, მავანმა ქართველმა გულშემატკივარმა თავში ხელები წაიშინა, - რას გადაგვეკიდნენ ეს პოლონელებიო! კრაკოვის "ვისლამ" რომ "ვიტ ჯორჯიას" შავი დღე აყარა გუშინ, ეროვნულ სტადიონზე შეკრებილ თითოეულ გულშემატკივარს, ცხადია, კარგად ახსოვდა. გულშემატკივარი ვახსენეთ და, აქვე ისიც აღვნიშნოთ, რომ ასეთები გუშინ უჩვეულოდ მრავლად იყვნენ თამაშზე. "თბილისი"-"ლეგიას" მატჩის სანახავად, დაახლოებით, 15 ათასმა კაცმა მოიყარა თავი. ეს, ალბათ, იმის დამსახურებაცაა, რომ დასწრება უფასო იყო.

ასეა თუ ისე, ქომაგებმა "თბილისს" იმედები არ გაუცრუეს და "ლეგიას" წინააღმდეგ მატჩში, მართლაც, მეთორმეტე მოთამაშედ მოევლინენ. საკითხავი მხოლოდ ის იყო, იქნებოდა კი ეს საკმარისი? "ლეგია" ხომ გამოცდილი, დიდი ტრადიციების მქონე გუნდია, "თბილისი" კი ძალიან ახალგაზრდა, გამოუცდელი, ევროთასების დებიუტანტი, რომელიც, ბოლნისის "სიონის" დისკვალიფიკაციის წყალობით, მოხვდა UEFA-ს თასის საკვალიფიკაციო ტურნირზე. აბა, რისი იმედი უნდა ჰქონოდა "თბილისს" ვარშავის "ლეგიასთან"?.. რისი და - თავისი ფეხბურთის, თავისი თავბრუდამხვევი ფინტების, სისწრაფის, მოულოდნელი გადაწყვეტილებების... "თბილისის" ფეხბურთელებმა ეს, მართლაც, იციან და სწორედ ამის იმედი ჰქონდა გუნდის მთავარ მწვრთნელს გიორგი დევდარიანს გუშინდელი მატჩის წინ.

შეხვედრის პირველივე წუთებიდან ნათლად გამოჩნდა, რომ "ლეგია" მთლად "ვისლას" დონის გუნდი არ ყოფილა. გამოჩნდა ისიც, რომ არც "თბილისი" არის ხელწამოსაკრავი და რომ ამ გუნდს, მართლაც, უდიდესი მომავალი აქვს.

სტუმრები, როგორც მოსალოდნელი იყო, 3-5-2 სისტემით თამაშობდნენ, ძალიან აქტიურობდნენ განაპირა ნახევარმცველები. თუმცა, "თბილისი" აშკარად ასრულებდა დანაპირებს. ტექნიკის თვალსაზრისით, პოლონელები ახლოსაც ვერ მოვიდოდნენ მათთან. თითოეული "თბილისელი" უპრობლემოდ ატყუებდა ერთ-ორ პოლონელს. მოწინააღმდეგე გუნდის ფეხბურთელთა ფინტებმა აშკარად დააბნია "ლეგია". მიუხედავად ამისა, სტუმრები ეფექტურად თამაშობდნენ კონტრშეტევებზე, რომელთა უმრავლესობა მეტად დიდ ხიფათს ქმნიდა აკაკი დევაძის კართან. მატჩის მე-15 წუთზე "თბილისელთა" კარი სასწაულებრივად გადაურჩა გოლს - "ლეგიას" თავდამსხმელს სიზუსტე დააკლდა.

მატჩის მსვლელობისას ნათელი გახდა, რომ "ლეგიას" შეტევების მოსაგერიებლად სამი მცველი საკმარისი არ იქნებოდა. მატჩის 35-ე წუთზე დევდარიანმა, მიკუჩაძის ნაცვლად, ლოლაძე გამოუშვა მოედანზე, "თბილისმა" ოთხი მცველით დაიწყო თამაში.

ამ შეცვლამ, მართლაც, გამოიღო შედეგი - მასპინძლები გაცილებით ადვილად იგერიებდნენ "ლეგიას" შეტევებს. თავის მხრივ, "თბილსიც" ბევრს უტევდა, თანაც - ძალიან ლამაზად. 70-ე წუთიდან კი მასპინძლებმა ნამდვილი შტურმი მოუწყვეს მეტოქეს. დაახლოებით, ათი წუთის განმავლობაში "ლეგია" საკუთარ კარს იყო მიჯაჭვული და ცენტრს იქით ბურთის გადატანას ვერ ახერხებდა. "თბილისს" უხვად ჰქონდა გოლის გატანის შანსები, თუმცა, ისევე, როგორც მთელი მატჩის განმავლობაში, შეტევების წარმატებით დაგვირგვინება ჭირდა. შედეგად, მოხდა ის, რაც ძალიან ხშირად ხდება ფეხბურთში - ვერ გაიტან, გაგიტანენ. "თბილისელთა" შტურმის შემდეგ "ლეგიას" პირველივე შეტევა გოლით დასრულდა. 77-ე წუთი იყო, როდესაც "თბილისის" საჯარიმო მოედნის სიახლოვეს უყურადრებოდ დატოვებულმა ტომაშ სოკოლოვსკი მეორემ *("ლეგიაში" ორი ტომაშ სოკოლოვსკი თამაშობს)* მეკარისაგან შორეულ კუთხეში დაარტყა და ანგარიშიც გახსნა - 0:1.

დარჩენილი 15 წუთის განმავლობაში "თბილისი" კიდევ ცდილობდა გოლის გატანას, თუმცა ამის ძალები აღარ იყო. ამბობდნენ, - "ლეგია" ფიზიკურად ძალიან ძლიერი გუნდიაო, - და ეს მართალი აღმოჩნდა. თუმცა, ფეხბურთის თამაში "თბილისმა" უკეთესად იცის. ამ ახლაგაზრდა გუნდმა გუშინ ბოლომდე იბრძოლა და თავისი ლამაზი ფეხბურთით გულშემატკივარს, მართლაც, დიდი სიამოვნება მიანიჭა. გუშინდელი მატჩის შემყურე, ალბათ, ველარავინ იტყვის, რომ ქართველებს ფეხბურთის თამაში დაავიწყდათ... წაგება კი უფრო გამოუცდელობის ბრალი იყო.

ძნელი სათქმელია, თუ რა შედეგს მიაღწევს "თბილისი" განმეორებით მატჩში. გამარჯვებაზე ფიქრი, ალბათ, არარეალურია, მაგრამ იმის იმედი კი ნამდვილად უნდა გვქონდეს, რომ ამ ბიჭებს დიდი მომავალი აქვთ.

24 საათი

ფართო საინფორმაციო სპექტრი, ანალიტიკა, საბიუჯეტო, საბანკო, ენერგეტიკული სფეროს მონიტორინგი, ჟურნალისტური გამოძიებები, კულტურისა და სპორტის სიახლეები, საკუთარი კორესპონდენტების მიერ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოწოდებული უახლესი ამბები.

"24 საათის" დანართები - "სამართალი", "ბიზნესი", "დედაქალაქი", "მონადირე", "ავტომობილი", "ევროისტორია", "სპეცსამსახურები", "მეცნიერება და ტექნიკა", "გულახდილად".

ერთობლივი პროექტები "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან" და "სოროსის ფონდთან" განუმარტავს მოქალაქეებს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, გაათვითცნობიერებს მათ სამართლებრივ და საგანმანათლებლო საკითხებში.

"24 საათი" ექსკლუზიურად აქვეყნებს სახელმწიფო დოკუმენტებს - პრეზიდენტის, მთავრობისა და სხვა სახელისუფლო სტრუქტურების ბრძანებებს, დადგენილებებს, სახელმწიფო მნიშვნელობის ნორმატიულ აქტებს.

ხელშეკრულებები ხელმომწერის თაობაზე უნდა დაიდოს უშუალოდ გაზეთის დირექციასთან, რათა გამოირიცხოს გაუგებრობები და უზრუნველყოფილი იყოს მოწოდების სტაბილურობა.

ხელმომწერის ტარიფები: 1 თვით - 13 ლარი;
3 თვით - 39 ლარი;
6 თვით - 78 ლარი.

რედაქციის მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული
ტელეფონი: 20 24 24 ან 20 24 10.
საბანკო რეკვიზიტები: "თიბისი" ბანკის ცენტრალური ფილიალი.
ბანკის კოდი: 220101000, ა/ა 26467440.

ოლიმპიადა

# ათენი ოლიმპიადისთვის მზად არ არის

პაატა თოთაძე

სკეპტიკოსთა მოსაზრება გამართლდა - საბერძნეთის დედაქალაქი მზად არ აღმოჩნდა ოლიმიური თამაშების მასპინძლობისთვის. შესაძლოა, ვინმეს ეს გადამეტებულ ნათქვამად მოეჩვენოს, მაგრამ სპორტსმენები და ათენში შეკრებილი მედიის წარმომადგენლები უკვე გადააწყდნენ უამრავ პრობლემას. ბერძნული უპასუხისმგებლობის პირველი მსხვერპლნი გახდნენ ოლიმპიური თამაშების გახსნამდე ერთი დღით ადრე შეჯიბრში ჩართული სპორტსმენები - კოტეჯებში უხარისხოდ შესრულებული სამუშაოებიდან დაწყებული, სასროლეთზე იატაკის ვიბრაციით დამთავრებული. როგორი საქმეა, ემზადები სროლისათვის, ამ დროს კი იატაკი ვიბრირებს. ყველაფერს კი საფეხბურთო მატჩის რეპორტაჟის გათიშვა დაემატა.

წარმოიდგინეთ, როგორ ელოდნენ ბერძნები, რომელთაც მატჩზე ბილეთის ყიდვა ვერ მოახერხეს, ევროპის ჩემპიონების თამაშს. საბერძნეთი-კორეის მატჩის დაწყებიდან ათ წუთში ჩვენება გაითიშა და მისი აღდგენა მხოლოდ ტაიმის მიწურულს მოხერხდა. კიდევ კარგი, გულშემატკივრებმა საყვარელი გუნდის გოლები მაინც იხილეს. როცა ტელევიზია გაითიშა, გოლი მხოლოდ კორეელებს ჰქონდათ გატანილი. შედეგად, საბერძნეთის სახელმწიფო ტელეარხის ორი მაღალჩინოსანი თანამდებობას დაემშვიდობა.

პრობლემებია ოლიმპიური ობიექტების მხრივაც - მაგალითად, აუზი გადახურული არაა. ამის გამო, მზემ პრობლემები შეუქმნა წყალში მხტომელებსაც და მოცურავეებსაც. წარმოიდგინეთ, რა ვითარება შეიქმნებოდა, შეჯიბრი დღისით რომ იყოს გასამართი. ახლა კი საორგანიზაციო კომიტეტმა შეჯიბრის დაწყების დრო მხოლოდ ნახევარი საათით გადაიტანა. სხვათა შორის, თავდაპირველი გეგმის მიხედვით, ამ აუზს სახურავი უნდა ჰქონოდა, მაგრამ ბერძნებს დღემდე ვერ გაურკვევიათ, რაში დაიხარჯა საამისოდ გამოყოფილი თანხა. როგორც ბრიტანული მედია იუწყება, მზადებისათვის გამოყოფილი თანხის ნაწილი მოიპარეს. ამას ისიც ადასტურებს, რომ ოლიმპიურ თემასთან დაკავშირებით აგორებულ სკანდალს შეეწირა საბერძნეთის მთავრობის რამდენიმე მაღალჩინოსანი.

ზემოთ სასროლეთი ვახსენეთ. რვა დელეგაციამ პროტესტი შეიტანა საორგანიზაციო კომიტეტში სასროლეთის იატაკის უხარისხობის გამო. როგორც აღმოჩნდა, ბერძნებს იატაკზე ლამინატი დაუგიათ, მას კი ვიბრაცია აქვს, თანაც იატაკი უსწორმასწოროა. "ჯერ ბეტონი დაესხათ, გაესწორებინათ და მერე ზედ რაიმე გადაეგოთ, თუნდაც - ხალიჩა, მაგრამ არამც და არამც - ლამინატი. ეს ყოვლად წარმოუდგენელია. ნუთუ არ იცოდნენ, რას აკეთებდნენ", - აღშფოთებას ვერ მალავდნენ დელეგაციების წარმომადგენლები.

რაც შეეხება კოტეჯებს, აქ ჯერჯერობით მხოლოდ რუსებს და ბრიტანელებს შეექმნათ პრობლემები. საქმე ისაა, რომ სააბაზანოებში წყალგაყვანილობა მოუწესრიგებელია, რის გამოც, წყალი აბაზანიდან ოთახებში ხვდება. მალევე გამოვასწორებთ ყველაფერსო, - ირწმუნებიან ბერძნები. თუმცა, ასეთი პრობლემების არსებობა ორგანიზატორებს კარგს არაფერს უქადის.

ცალკე საუბრის თემაა კვება. ამასთან დაკავშირებით უკმაყოფილების გამოხატვა უკვე ხუთმა გუნდმა "მოასწრო". ყველა მათგანი ირწმუნება, რომ სპორტსმენები სანახევროდ მშივრები რჩებიან. ყველაზე ცუდ მდგომარეობაში მსროლელები ყოფილან - დილით ასაუზმებენ, მერე კი სასროლეთზე გაჰყავთ, რომელიც მოშორებითაა და, რაც მთავარია, იქ ჭამის არანაირი საშუალება არ არის; თან იატაკიც ვიბრირებს.

ამასობაში კორეელმა მშვილდოსანმა ქალებმა უკვე ორი მსოფლიო რეკორდი დაამყარეს. პირველად ეს სუნ ხიუნ პარკმა მოახერხა. წინასწარ შეჯიბრში მან 682 ქულა დააგროვა, რაც სამით აღემატება იტალიელი ნატალია ვალეევას მიერ ზაფხულში დამყარებულ მსოფლიო რეკორდს. მეორე რეკორდი კი გუნდურია. წინასწარ შეჯიბრში სამმა კორეელმა მშვილდოსანმა პირველი სამი ადგილი დაიკავა, რითაც კორეელთა გუნდურმა მონაგარმა 2030 ქულა შეადგინა. ეს კი 36 ქულით მეტია აწ უკვე ყოფილ მსოფლიო რეკორდზე, რომელიც, სხვათა შორის, ისევ კორეელებმა დაამყარეს ოთხი წლის წინათ სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე.

და ბოლოს, საბერძნეთი - დემოკრატიის სამშობლო. ბერძნები ამით ძალიან ამაყობენ და, როცა კი შესაძლებლობა მიეცემათ, აუცილებლად აღნიშნავენ. ბერძნულ დემოკრატიას გამოცდა გუშინ მოუწყეს. საბერძნეთში დიდი ხნის განმავლობაში იხილებოდა საკითხი, მიეცათ თუ არა აკრედიტაცია საბერძნეთის ყოფილი მონარქის კონსტანტინესთვის. საბოლოოდ ეს საკითხი დადებითად სწორედ გუშინ გადაწყდა. ერთი მხრივ, მონარქი სპორტთან ახლოსაა, 1960 წელს მედალიც კი აქვს მოგებული აფროსნობაში, თუმცა "შავი პოლკოვნიკების" ჩამოგდების შემდეგ ის უარს აცხადებდა, დამორჩილებოდა ხალხის მოთხოვნას, ქვეყანაში რესპუბლიკური მმართველობა შემოეღოთ. ამის გამო, მან არაერთ სასამართლოს მიმართა, რომელშიც არამარტო მონარქიის აღდგენას, არამედ ქონების დაბრუნებასაც ითხოვდა. არც ერთი და არც მეორე მონარქს არ დაუბრუნეს, ოლიმპირ თამაშებზე აკრედიტაცია კი მისცეს, პრინციპით - სპორტი პოლიტიკა არაა.

# ძმაო, ასეა წუთისოფელი

სანდრო ნავერიანი

ოლიმპიადა დაიწყო, ოლიმპიადა.

გაიხარეთ სპორტის მოყვარულებო: მძლეოსნობის ფანებო და ძალოსნობის გადამკვდარო გულშემატკივრებო; ფეხბურთის ტიფოზებო და კალათბურთზე შეყვარებულებო. დიახ, ოლიმპიადა დაიწყო, მასთან ერთად კი ჩვენი "წამებაც". იჯექი ახლა დილიდან საღამომდე რედაქციაში და წერე მსოფლიოს ახალ რეკორდებზე თუ გახმაურებულ დოპინგ-სკანდალებზე. რას იზამ, ძმაო (დაო), წუთისოფელია ასეა.

1992 წელს ბარსელონაში, ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე ჩოგბურთს ოლიმპიური სპორტის სახეობის სტატუსი დაუბრუნეს. როგორც მოგეხსენებათ, ჩოგბურთი, თითქმის, ნახევარსაუკუნეზე მეტ ხანს არ ითვლებოდა ოლიმპიურ სპორტის სახეობად. ასე რომ, ახლა ჩოგბურთი დიდი ოლიმპიური ოჯახის ნამდვილი, სრულფასოვანი წევრია. ამიტომაც, მსოფლიოს უძლიერესი ჩოგბურთელები ათენში შეიკრიბნენ, რათა გაარკვიონ ვინ არის მათ შორის ყველაზე, ყველაზე, ყველაზე ძლიერი.

ოლიმპიური ოქრო ნებისმიერი სპორტსმენისათვის ოცნებას წარმოადგენს. ძალიან ბევრისთვის ეს ოცნება უტოპიად იქცევა ხოლმე, მაგრამ ისინი ოცნების დევნაში ღაფავენ სულს, ეს კი უკვე მიღწევაა. ოცნებასა და ოლიმპიურ ოქროზე იმიტომ გითხარით, რომ ათენში ქართველი ჩოგბურთელი ირაკლი ლაბაძე ეცდება, დანარჩენ ჩოგბურთელებს აჩვენოს, სად იზამთრებენ კიბორჩხალები. ძალიან არ მინდა, რომ ლაბაძე იმ სპორტსმენების რიცხვს მიეკუთვნებოდეს, რომლებიც ოცნებას მისდევენ... თუმცა, მინდა, კიდევ ერთხელ ხმამაღლა განვაცხადო, რომ ზოგიერთს, ზოგიერთს კი არა და, ძალიან ბევრს ესეც არ გამოსდის. ასე რომ, მოდით, ირაკლი ლაბაძეს ვუსურვოთ წარმატება, რომელიც მას ფრიად სჭირდება. პირველივე შეხვედრაში ის გერმანელ ნიკოლას კიფერს დაუპირისპირდება. კიფერი, ტურნირზე მე-14 ნომრად არის განთესილი.



ოლიმპიადაზე ირაკლი ლაბაძის მეტოქე გერმანელი ნიკოლას კიფერი იქნება.

გუშინ ათენში პრესკონფერენცია მოაწყო აშშ-ს ჩოგბურთის ოლიმპიურმა გუნდმა.

**ენდი როდიკი:** თითქმის, ორი თვეა, ყველა ჟურნალისტი ერთსა და იმავე კითხვას მისვამს: შემიძლია თუ არა, დავამარცხო როჟე ფედერერი. დამიჯერეთ, რომ შეუძლებელი არაფერია, მით უმეტეს ფედერერის დამარცხება, უბრალოდ, ამისათვის კონცენტრირება და ძალების მობილიზებაა საჭირო. წარმოიდგინეთ, რომ მხოლოდ იმისთვის მოვემზადო, რომ ფედერერი დავამარცხო; როდესაც შევხვდები, დავამარცხებ კიდეც, მაგრამ დანარჩენ ასეულობით ჩოგბურთელს რა ვუყო? არ შეიძლება, სპორტსმენი მხოლოდ ერთი, სარევანშო მატჩისთვის ემზადებოდეს. ეს უკვე სპორტი აღარ იქნება.

**მარდი ფიში:** ყველა ჩოგბურთელმა იცის, თუ რა ძალის პატრონია. ამიტომაც, ვიქნები ობიექტური და გეტყვით, რომ ერთეულთა თანრიგში უფრო ნაკლები წარმატების მიღწევა შემიძლია, ვიდრე - წყვილთა თანრიგში.

**ბობ ბრაიანი:** ერთადერთი რისი თქმაც შემიძლია, ის არის, რომ მე და მაიკი ბოლომდე ვიბრძოლებთ. შეიძლება, ხმამაღალი ნათქვამი გამომივიდეს, მაგრამ ვფიქრობ, ჩვენზე ძლიერი წყვილი ამ ოლიმპიადაზე არ არსებობს. ამას არც განდიდების მანია მალაპარაკებს და არც ჩემ თავზე დიდი წარმოდგენა, უბრალოდ, ობიექტური ვარ, თორემ ისე, ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

**მაიკ ბრაიანი:** მე გაცილებით მოკრძალებული აზრის ვარ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩემ ძმას თავის თავზე დიდი წარმოდგენა აქვს. ვფიქრობ, ჩვენ ყველაზე კარგი შანსი გვაქვს, ოლიმპიური ოქრო მოვიპოვოთ.

**პატრიკ მაკინროი (აშშ-ს ნაკრების მთავარი მწვრთნელი):** ჩვენი გუნდი ძალიან კარგად არის მომზადებული, როგორც ფიზიკურად, ასევე, ფსიქოლოგიურად და ტექნიკურად. ვფიქრობ, ჩვენ ყველაზე ძლიერი გუნდით ვართ ჩამოსულები ათენში. ერთადერთი, ვინც ჩვენი გუნდს წინააღმდეგობას გაუწევს, საფრანგეთის და შვედეთის გუნდებია.

როგორც ხედავთ, ამერიკელები თავიანთ გუნდზე ძალიან მაღალი აზრისანი არიან. მე კი ვთვლი, რომ არც ერთ ამერიკელს, როდიკის გარდა, გამარჯვების არანაირი შანსი არ გააჩნია. ისე, რა ჩემი საქმეა, ვინ რას ფიქრობს, მთავარია, საქმეში გვანახონ თავისი ძალა, თორემ ლაპარაკი ისეთი შემიძლია, უფრო სწორად, შეგვიძლია, რომ მტრისას... ლაპარაკი ლაპარაკად რჩება ყოველთვის, ამიტომაც, ჯობს, ყველამ საქმეს მიხედოს. ოლიმპიადა ჯერ არ დაწყებულა და, უკვე ისეთი განცხადებებით გამოდიან ამა თუ იმ გუნდის მოთამაშეები და წარმომადგენლები, გაფიქრებინებენ, - ეს ყოფილა ვინც ყოფილაო.

სიტყვა გამიგრძელდა, არა? არა უშავს, ახლავე მოვრჩები ყველაფერს. მანამდე კი ერთს გეტყვით: რაც უნდა იყოს, როგორც უნდა იყოს და რანაირადაც უნდა იყოს, ათენის ოლიმპიადა ძალიან საინტერესოდ ჩაივლის. ამას ისიც ადასტურებს, რომ ოლიმპიადის დაწყებიდან მე-18 წუთზე ვილაც კორეელებმა მშვილდოსნობაში ორი რეკორდი დაამყარეს - ესეც ასე.

ქვევით გთავაზობთ კენჭისყრის შედეგებს, თუ როგორ დაწყვილდნენ ტურნირზე მონაწილე ჩოგბურთელები:

ნიკოლას კიფერი (გერმანია,14) - ირაკლი ლაბაძე (საქართველო)
როჟე ფედერერი (შვეიცარია,1) - ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი)
ტომაშ ბერდიჩი (ჩეხეთი) - ფლორიან მაიერი (გერმანია)
ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) - ფილიპო ვოლანდრი (იტალია)
ლამინ უაზი (ალჟირი) - ტომი რობრედო (ესპანეთი,15)
პარადორნ შრიჩაპხანი (ტაილანდი,12) - იოაჰიმ იოჰანსონი (შვედეთი)
სარგის სარგისიანი (სომხეთი) - ივან ლუბიჩიჩი (ხორვატია)
დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) - იუნეს ელ აინაუი (მაროკო)
ტეილორ დენტი (აშშ) - დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა,6)
კარლოს მოია (ესპანეთი,3) - ტომას ენკვისტი 9შვედეთი)
მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) - ოლივიე როშუ (ბელგია)
არნო კლემანი (საფრანგეთი) - ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი)
ივო კარლოვიჩი (ხორვატია) - ანდრეა პაველი (რუმინეთი,13)
ნიკოლას მასუ (ჩილე,10) - გუსტავო კუერტენი (ბრაზილია)
იურგენ მელცერი (ავსტრია) - ვინსენტ სპეიდი (აშშ)
აგუსტინ კალერი (არგენტინა) - კაროლ ბეკი (სლოვაკეთი)
იგორ ანდრეევი (რუსეთი) - რაინერ შუტლერი (გერმანია,7)
ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი,5) - ჰიხამ არაზი (მაროკო)
მარდი ფიში (აშშ) - იონას ბიორკმანი (შვედეთი)
იარკო ნიმინენი (ფინეთი) - ლიუ იენ სუნი (ტაივანი)
მაქსიმ მირნი (ბელორუსი) - ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა,11)
გრეგორი კარა (საფრანგეთი) - მარკოს ბაგდატისი (კვიპროსი)
მიხაილ იუჟნი (რუსეთი) - ხავიერ მალისი (ბელგია)
ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) - ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი,4)
სებასტიან გროჟანი (საფრანგეთი,8) - ლუის ჰორნა (პერუ)
ვიქტორ იანესკუ (რუმინეთი) - უეინ არტურსი (ავსტრალია)
რობინ სოდერლინგი (შვედეთი) - ფელისიანო ლოპესი (ესპანეთი)
კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) - მარატ საფინი (რუსეთი,9)
ფერნანდო გონსალესი (ჩილე,16) - კონსტანტინოს ეკონომიდისი (საბერძ.)
მარიანო საბალეტა (არგენტინა) - ხუინ ტაიკ ლი (კორეა)
მარიო ანჩიჩი (ხორვატია) - ტომი ჰაასი (გერმანია)
ფლავიო სარეტა (ბრაზილია) - ენდი როდიკი (აშშ,2)

ფეხბურთი

# ზიდანი წავიდა



პაატა თოთაძე

მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ზინედინ ზიდანი სანაკრებო კარიერას ასრულებს. ამის შესახებ ფეხბურთელმა გუშინ საღამოს გააკეთა განცხადება საფრანგეთის ტელევიზიით გამოსვლისას.

იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რომ მანამდე ნაკრებიდან წასვლის შესახებ სხვებმაც განაცხადეს (ფაბიენ ბარტეზი, ბიქსენ ლიზარაზუ, მარსელ დესაი, ლილიან ტურამი), გამოდის, თაობათა ცვლის პროცესი საფრანგეთის ნაკრებში დასრულებულია. "წარმოაუდგენელია, რომ ზიზუ აღარასოდეს მოირგებს საფრანგეთის ნაკრების მაისურს, მაგრამ რას ვიზამ, ყველაფერს აქვს დასასრული", - გულდაწყვეტილი წერს "ეკიპი", - "ზიდანის და ნაკრების ურთიერთობა ამიერიდან ისტორიად იქცა". რადიოსადგურმა RTL-მა კი მსმენელთა გამოკითხვა მოაწყო და ამგვარი შედეგი მიიღო: გამოკითხულთა 93 პროცენტმა განაცხადა, რომ ის არ უნდა წასულიყო ნაკრებიდან. ანალოგიური გამოკითხვა ცოტა ხნით ადრე "ლე პარიზიენმაც" მოაწყო და იგივე შედეგი მიიღო. მათი თქმით, ზიდანს 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატზეც უნდა ეთამაშა და მხოლოდ ამის შემდეგ დაეტოვებინა ნაკრები.

მიუხედავად ყველაფერისა, ფეხბურთელი გადაწყვეტილებას, ალბათ, არ შეცვლის. ევრო 2004-ზე ბერძნებთან მარცხის შემდეგ ზიზუ თვენახევარი ფიქრობდა, სანამ გადაწყვეტილებას მიიღებდა. ამგვარი გადაწყვეტილების მიღებაზე დიდი გავლენა იქონია ნაკრებიდან მისი ძველი მეგობრის, ბიქსენ ლიზარაზუს წასვლამ. არაა გამორიცხული, რომ ზიდანი ფრანგთა ახალ მწვრთნელს რაიმონ დომენეშსაც ესაუბრა. ადრე მწვრთნელმა განაცხადა, რომ მოხარულ იქნებოდა, თუკი მის გუნდში ლიზარაზუ და ზიდანი ითამაშებდნენ. თუმცა, ლიზარაზუს დაყოლიება მან ვერაფერით შეძლო. როგორც ჩანს, არ გაუმართლა ზიდანთანაც.

ზიდანის ნაკრებთან განშორება, რამდენადმე, წააგავს 16 წლის წინათ ნაკრებიდან მიშელ პლატინის წასვლას. 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, რომელშიც ფრანგებმა ნახევარფინალს მიაღწიეს, მაგრამ, ბევრის აზრით, ვერ გამოავლინეს თავისი შესაძლებლობები, ნაკრები ერთდროულად რამდენიმე ვეტერანმა დატოვა. იმ დროს პლატინი 31 წლის იყო, ზიდანი კი ამჟამად 32 წლისაა. პლატინისა და მისი მეგობრების წასვლის შემდეგ საფრანგეთის ნაკრები დიდ კრიზისს განიცდიდა. გუნდმა ვერ მოახერხა 1988 წლის ევროპის და 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპებზე მოხვედრა. ალბათ, ამჯერად იგივე არ განმეორდება. იმდროინდელი ნაკრებისგან განსხვავებით, ზიდანს და მის მეგობრებს ფრიად კარგი შემცვლელები ჰყავთ.

ნაკრებიდან წასვლის მიუხედავად, ფრანგი, საერთოდ, ფეხბურთიდან წასვლას სამი წლის მანძილზე არ აპირებს. მას 2007 წლის ზაფხულამდე აქვს კონტრაქტი მადრიდის "რეალთან" და ნაადრევად არ შეწყვეტს. "ყველაფერი მოგებული მაქვს, თუკი რამის მოგება შეიძლებოდა, მაგრამ ფეხბურთიდან წასვლამდე მინდა, ერთი დიდი ტურნირი კიდევ მოვიგო "რეალთან" ერთად", - განაცხადა ფეხბურთელმა.

TV-სპორტი

**პარასკევი. 13 აგვისტო**

**НТВ+ФУТБОЛ**
06:00 NBA TV. NBA-ს ლეგენდები
07:00 NBA TV. სეზონი 1986. PHILADELPHIA 76 ERS - WASHINGTON BULLETS
10:15 ოლიმპიური თამაშები. ფეხბურთი. კაცები. კოსტა რიკა - მაროკო
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 ოლიმპიური თამაშები. ფეხბურთი. ქალები. აშშ - საბერძნეთი
14:00 ოლიმპიური თამაშები. ფეხბურთი. კაცები. ტუნისი - ავსტრალია
15:45 თავისუფალი დარტყმა
16:00 ოლიმპიური თამაშები. ფეხბურთი. ქალები. გერმანია - ჩინეთი
17:45 ოლიმპიური თამაშები. ფეხბურთი. კაცები. იტალია - განა
19:30 თავისუფალი დარტყმა
19:45 სახვალიო პროგრამა
19:50 ბრაზილიის ჩემპიონატი
22:15 ოლიმპიური თამაშები. ფეხბურთი. კაცები. პარაგვაი - იაპონია
0:00 ბრაზილიის ჩემპიონატის მიმოხილვა
03:00 NBA TV. ყველაფერი NBA-ს შესახებ
03:30 NBA TV. მიმოხილვა

**НТВ+СПОРТ**
10:00, 13:00, 16:15, 18:00, 21:10, 00:05 ოლიმპიური პრესცენტრი
10:15, 21:25 "ოლიმპის შვილები"
10:20 კიდევ ერთი კვირა გავიდა
12:00 ოლიმპიური ცეცხლის ისტორია
13:15 "საუკუნის ათლეტები"
14:00 სეზონის საუკეთესო ტრანსლაციები. ჰოკეი. სტენლის თასის ფინალი
16:30 "საუკუნის ათლეტები"
18:15 ჩვენი ჩემპიონები
20:15 ოლიმპიური თამაშების ისტორია
21:30 სახვალიო პროგრამა
21:35 მითი და რეალობა
